

180 /
1960 №8

საქართველო
ბიბლიოთეკა

1960

8

საბჭოთა
ხელოვნება

მთავარი რედაქტორი — ოთარ მგახე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი,
გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი,
ნათელა ურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე,
ვანო წულუკიძე (მ/ზ. მდივანი).

საბჭოთა ხელოვნება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ორგანო



8062

8



სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი

1960



ო. ბოსკო
სტალინგრადის ჰესის
ჩვეულებრივი დღე



ა. ბოსკო

ვოლგაზე (გამოფენიდან „საბჭოთა რუსეთი“).

გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“



ამოფენა „საბჭოთა რუსეთი“, რომელიც 15 აპრილს გაიხსნა მოსკოვში, ცენტრალურ სა- გამოფენო დარბაზში, სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დიდი ინტერესით დაათვა- ლურა ათიათასობით მნახველმა. მისი ასეთი პოპულარობა შემთხვევითი არ იყო. გამოფენის მომზადების პროცესში რუსეთის ფედერაციის მხატვრებმა უდიდესი და ნაყოფი- რი მუშაობა გასწიეს, — შეიქმნა ოცდაათი ათასამდე ნაწარმოები, რომელთა ნახევარზე მეტი ექსპონირებული იყო ადგილობრივ, შერჩევით გამოფენებზე. ამ გამოფენებმა ხალხის ფართო მასები მიიზიდა; განსაკუთრებით დიდი გამოხმალურება ჰპოვეს მოსკოვისა და ლენინგრადის გამო- ფენებმა.

ორიათას ხუთასზე მეტი ნაწარმოები იქნა შერჩეული ცენტრალური საგამოფენო დარბაზისათვის, ხოლო სამ- ხატვრო აკადემიამი ცალკე იყო დემონსტრირებულ დე- კორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ექსპოზიცია.

გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“ ნათელი დადასტურებაა საბჭოთა ხელოვნების შემდგომი იდეურ-მხატვრული ზრდისა, სოციალისტური რეალიზმის პრინციპების ახალი გამარჯვების, ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების კავში- რის განმტკიცებისა. ხელოვნების სხვადასხვა დარგის ოს- ტატთა შთავაძენი შრომის ნაყოფის აქ წარმოდგენილი უმდიდრესი კრებული ყოველი მხრიდან ვეჩივრებს საბ- ჭოთა ხალხის ცხოვრებას. სწორედ ამითაა განპირობებუ- ლი გამოფენის უდიდესი წარმატება. ნაწარმოებებში ჩანს მხატვართა დიდი მისწრაფება — მეტყველ მხატვრულ სა- ხეებში ასახონ კომუნისმის მშენებელი ადამიანის სისხლ- სავეს ყოფა. მისი ყოველდღიური მოღვაწეობა; იგრძნობა მათ მიერ ცხოვრების ღრმად შესწავლა, იმ ადამიანებთან უშუალო სიახლოვე, რომელთაც ისინი ასახვენ. ემზადე- ბოდნენ რა გამოფენისათვის, მხატვრები იყვნენ ბრატსკის ჰესის მშენებლობაზე და ჩრდილოეთის ზღვაზე, დონაზსა და ურალში, რიაზანის ოლქის კოლმეურნეობებსა და მაგ- ნიტოგორსკში, დედაქალაქის დიდ ქარხნებში, რუსეთის

ფედერაციის ბევრ სხვა ინდუსტრიულ და სასოფლო-სამე- ურნეო რაიონში. სინამდვილის ასახვისადმი ღრმა მიდგო- მამ განაპირობა მათი ნაწარმოებების ფორმაც. სურათებში მრავალჯერის ვხვდებით საზოგადოებრივ ხერხებს, დიდი ფორმის ძიების ტენდენციებს, სახეთა ფსიქოლოგიური გახსნისაკენ სწრაფვას. რასაკვირველია, ამ უზარმაზარ გამოფენაზე არის უფერული, ნაკლებმეტყველი და შინაარსობრივად უმნიშვნელო ნაწარმოებებიც, მაგრამ ძირითადი მაინც არის დიდი იდეებით შთაგონება და ეპოქის გრძნობა. აქე- დანაა თემების მონუმენტურ-ეპიკური გადაწყვეტა, ტიპი- ურობის, სახის განზოგადების ძიებები.

დიდი თემატური და ქანობრივი მრავალფეროვნება, როგორც აღინიშნა, დამახასიათებელია ამ გამოფენისა- თვის. ისტორიის გვირგვინი ფურცლების — ოქტომბრის რევოლუციის, სამოქალაქო ომის პერიოდის, დიდი სამა- მული ომის თემებზე შექმნილია მრავალი საინტერესო ნა- წარმოები, მათ შორის, ა. ლენინკას — „მშვიდობის საოქ- ტომბრო ლიზუნგები. ნარკის კარიბჭე. 1917 წელი“, ა. და ს. ტკაჩინების — „ბროლილები შუა“, ი. კუბაჩის — „1941 წლის ზაფხულს“, გ. კორჟევის სურათები სერია- დან — „კომუნისტები“.

გამოფენაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიდი ლენინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს. ქანდაკებებში, ფერწერულ ტილოებში, გრაფიკულ ფურცლებში ცოცხლად ეხლეუთ რევოლუციის ბელადის დაუფიქვარ სახეს.

ლენინის დიდი იდეების ზემოთ ხათლად გამოსკვივის თანამედროვეობის ამსახველ ნაწარმოებებში. თანამედრო- ვეობის თემა კი წამყვანია გამოფენაზე „საბჭოთა რუსე- თი“. ამით არის ის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი და საინტერესო. მასზე ჩვენი ხალხის ცხოვრება ფართოდ და მრავალმხრივადაა ნაჩვენები, უბრალო ადამიანები — ახალ ცხოვრების შემოქმედნი მხატვართა ნაწარმოებების შთაგარ გვიჩვენებს არიან.

მიმართვენ რა თანამედროვე ცხოვრების თემებს, გასა- გებია, რომ შემოქმედნი, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა

ი. პოლდასკო

ისინი იწყებდნენ ბრატსკის ჰესის მშენებლობას





ა. ავაბოვი

ცემბერი შენდება

შრომითი საქმიანობას უმდერაან, შრომას, რომელიც ამაღლებს და აყვითლობობს მათ, აქცევს გმირებად. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ გამოფენაზე თემატურ ნაწარმოებთა უმრავლესობა მშრომელი ადამიანებისადმი მიძღვნილი და ბევრი მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებიც ამ თემაზეა შექმნილი. მხატვრის ფუნჯი ეხება მშრომელთა ცხოვრების ყოველ მხარეს, იქნება ეს დაძაბული შრომის რიტმი თუ მხიარული დასვენება, შრომის შედეგით აღფრთოვანება თუ მომავლის გვერტით კმაყოფილება. თემის ხასიათის მიხედვით მხატვრები ჩანაფიქრს ანიორციელებენ ხან მონუმენტურ-რომანტიკულ, ხან ანარულ-ყოფით პლანში. ბევრია პორტრეტული ნაწარმოები — მუშათა, კოლმეურნეთა, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჯგუფური და ინდივიდუალური პორტრეტები, ინდუსტრიული და საწარმოო პეიზაჟები, ლირიკული ანარული სურათები...

გამოფენაზე მასალის სიუხვე ფართო მსჯელობის საშუალებას იძლევა. ცალკე ავანტიურას იმსახურებს მასზე წარმოდგენილი სხვადასხვა დარგისა და სხვადასხვა ჟანრის, ცალკეულ შემოქმედელ ნაწარმოებები. ჩვენ გვინდა მოკლედ შევეხებით მხოლოდ გამოფენის რამდენიმე საინტერესო ექსპონატს, შექმნილ ფერმწერლების მიერ შრომის თემაზე, ტილოებს, რომლებსაც ფართო საზოგადოების ეროსულოვანი აღიარება ხვდება.

დიდ ფორმათა ძიება დიდი მოვლენების გამოსახატად წარმატებითაა დაკვირვებულული ცალკეულ ნაწარმოებებში. მათში მალამხატვრულადაა აღბეჭდილი უზრალო სამკითხა ადამიანების ძლიერი, გმირული სახეები, მათი თავდადებული, შეგნებული შრომის ძალა, ხალისი, პათოსი. ტილოებში იგრძნობა დღევანდელი დღის რიტმი.


სადა და მკაცრად დიდებულ ფორმებში ხსნის ჩანაფიქრს ახალგაზრდა სტალინგრადელი მხატვარი ი. ბოსკო სურათში „ვოლგაზე“, ამ ტილოში ერთგვარად სიმბოლოურად იკითხება ადამიანის გამარჯვება ბუნებაზე, მის მიერ ბუნების ძალთა დამორჩილება. გარგნულად კი სურათში არაფერი გმირული არ ხდება. ვედათ მხოლოდ ვოლგას ზემოთ მოქ-

ცულს თავისი საქმით გართულ ორ ახალგაზრდა შემოქმედს. მათი ატლეტური ფიგურები მოხდენილ სილუეტებად გამოიყოფა ცისა და მდინარის ნათელ ფონზე. საკუთარი ძალების რწმენა, საქმით გატაცება იგრძნობა მათ მოძრაობაში. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც არასოდეს და არაფრის წინაშე უკან არ იხევენ, უშიშარნი და უდრეკნი. მათ მძლავრსა და კუნთოვან სხეულებში უშრეტე ენერჯია სჩქევს.

ადამიანის ძალისა და ვაკაცობის იდეას უსვამს ხაზს სურათის კოლორიტი ფოლადისფერი, მკაცრი და მკლერი ფერადოვანი გამა. მალალი ხედვითი წერტილი, მკაფიო სილუეტური გადაწყვეტა, ფართო ფერწერა — ყოველივე ეს მოხუშნეტურ ელერადობას ანიჭებს სახეებს. ოსტატურადაა დაწერილი უკანა პლანი — შორეული პეიზაჟი, ნა-

ბ. ვლასოვი

ველოსიპედისტები



თელი ცა და მოლაპლაპე მდინარე, შორს ქვემოთ მოცუ-
რავი ბუქსირები.

ფაქივ კომპოზიტორად, დიდი გემოვნებისა და ალღოს
მქონე მხატვარად მოგვევლინა ი. ბოსიო თავის მკორ სუ-
რათშიც „სტალინგრადას ბესის ჩეულებრივი დღე“. შრომის
სურათებში რომანტიკისა და პოეზიის დანახვა და
გადმოცემა დახასიათებელია ამ ახალგაზრდა შემოქმე-
დისათვის. აქც სურათის მთავარი გმირები არიან წყლის
სტიქიონის დაძაბვრობები ადამიანები. ვოლგას ზემოდან,
დიდი სიმაღლის ესტაკადებს შორის გაბმულ ხილზე ისინი
სწრაფად მიაბიჯებენ საბუშორად, ქარი აფრიალებს მათ სა-
მისს. სურათი აღსაყუა მოძრაობითა და დინამიკით.

შრომითის სიღარიღეს უმღერის თავის ნაწარმოებში
„ციმბირი შენდება“ მოსკოველი ახალგაზრდა მხატვარი
ი. აკაპოვიც. ისიც მოწუხებტურ ფორმას ეძებს თავის
გმირების დასახასიათებლად. საამისოდ ის პოულობს მე-
ტყველ კომპოზიციურ გადაწყვეტას — თითქმის მთელ
კადრში გვიჩვენებს ორი მუშის ფიგურას, რომლებიც მთე-
ლი ძალით აწვენიან ვაკოს. ერთ-ერთი მთავარი ფიგურის
მოძრაობის ხაზი დიაგონალურად გასდევს სასურათო
სიბრტყეს და ქმნის კომპოზიციის საფუძველს. ეს ძირითა-
დი აქცენტს რიტმულად მეორდება სურათის სხვა დეტა-
ლების მოხაზულობაში, რომელსაც პიროვნებატურად
ბუქის მალადი კლდის მუქი სილუეტის ხაზი. მუშათა
მძლავრი ფიგურები დახატულია ძლიერად, დაწერილია
დეტალიზაციის გარეშე, გახზოვადებულად. ისინი აღსაყ-
სენი არიან ენერჯითა და საქმისადმი თავდადებით. და არა
მხოლოდ კომპოზიციური სახეიდანება და მხატვრის ფართო
ფერწერული ხედავა გვიზიდავს ამ სურათში, მისი საერთო
ფერადოვანი ტონი — მოლოურჯო-მოვერცხლისფრო, კვლავ
უკასუხებს დამატული შრომის რიტმის ხასიათს. სუ-
რათის ზემოთ, მარჯვენა კუთხეში, ცის ყველაზე ნათელი
ლაქის ფონზე მკაფიოდ იხატება მუშათა სახეები, ხილო
სხვა დანარჩენი დეტალები — შორის მომუშავე ადამიანე-
ბი, მანქანები, მთელი მკაცრი ბეზოზი კვლავ მთავარის
გახსნას ემსახურება.

ბეგრ მხატვრის ტილოშია მოცემული მეფოლადების
შრომის სურათები. მათ შორის გამოირჩევა სვერდლოვს-
კელი მხატვრის, ი. სიმონოვის ტილო „ჩამომსხმელები“.
მთავარი, რითაც სიმონოვის სურათი გვიპყრობს, არის ის,
რომ ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნულ ნაწარმოებებში მის
სურათში ადამიანები უაღრესად უშუალონი არიან. მათ
თავდაქერბი, სახის გამომეტყველებაში კეთიხულობით
ღრმად გულწრფელ და ადამიანურ განცდას, ადამიანურ
სიხარულს, რასაც არც თუ ისე ხშირად ვხვდებით ხოლმე
სურათებში. ბეგრეკერ პერსონაჟთა შინაგანი ფსიქოლოგი-
ური დახასიათება შეცვლილია გარეგნული, გმირული
იერის ბოზით, ხაზგასმული პათეტურობით. სიმონოვის-
თვის მთავარია აჩვენოს, თუ როგორ იწეის თვითუული მათ-

განი საქმისათვის, როგორ ადევლებს მას ის, რასაც ემსა-
ხურება. აქედანაა და ამანა სწორედ მათი შრომითი გმე-
რობის საფუძველი. საქმისადმი გულგრილობა ადამიან-
დებთან ვერ აქცევა. შრომისადმი კომპოზიტორი დამოკი-
დებულების სული იგრძნობა ამ ნაწარმოებში და ამიტო-
მავე გვაუღლებს ის, ამით გვაყარებს მხატვარი თავის
გმირებს.

ნაწარმოების შინაგანი აზრით გვიხილავს ლენინგრა-
დელი მხატვრის ვ. პეისის ტილოც „გარეუბანში“. მისი
სურათის მთავარი გმირები მშენებელი მუშები არიან. მაკ-
რამ ამჯერად შრომის პროცესში როდი გვიჩვენებს აგტო-
რი მათ. საბარო აგტომასქანაზე, ხე-ტყის მასალაზე
მსხდარი ორი მუშა მშენებლობაზე მიიჩქარის. წინ მსხვი-
ლი პლანიტი გამოხატული მანქანა სიღრმისაყვანა მიმარ-
თული და მასზე დაყირილი სამშენებლო ფიცრების დივიკა-
ნალური ხაზებზე კვლავ შორეული პლანისაყენ მიყვარათ.
და ისევე, როგორც ამ ფიცრებზე მსხდომი ადამიანების
თვალწინ, ჩვენს თვალწინ თითქოს ერთმანეთს ცვლიან
ლამაზი მაგისტრატები, რომლებიც ეს ეს არის იხადებიან.
მთავარი სურათში კი მანაც უბრალო ადამიანებია, უბრა-
ლო გარეგნობითაც, მაგრამ სულიერად მიდღარნი, ფიზი-
კურად ძლიერი. პეისისი გმირების სახეზე აშკარად იყი-
თხება, რომ მათ იციან თავიანთი შრომის ფასი და უხა-
რიათ, სიამაყის გრძნობას ვეროთ, როცა შეეცდებიან ამ
შრომის შედეგს. ისინი ცოცხალი ადამიანები არიან,
შეუღამაზეხლად და პოზის გარეშე მოცუულნი.


ყოველგვარ გარეგნულ ეფექტურ ფერადოვნებას, ხაზ-
გასხულად სახეიდან და ამპლულულ განწყობილებას მოკ-
ლებული ეს სურათი იწვევს მშვიდი სიამოვნების გრძნო-
ბას, ისეთი, როგორიც მისი მთავარი გმირებია — მუშების
სახეებზეა აღმეტყლილი, წყნარია ტილოს ფერადოვანი ტო-
ნიც — თბილი და ნათელი მოვერცხლისფრო კოლო-
რიტი.

მშრომელი ადამიანების ნათელი სახეებია დახატული
ი. ბოლოასკის სურათში „ისინი იწყებდნენ ბრატსკის
პესს“. რომანტიკული ზეაწულობა, ფსიქოლოგიური სი-
მახვილე დამახასიათებელია ამ მეტად მეტყველი, დიდი
განწყობილებით სავსე ტილოსათვის.

ქალაქისა და სოფლის მშრომელთა გმირული საქმიანო-
ბისადმი მრავალი ნაწარმოებია მიძღვნილი გამოყენაზე
„საბჭოთა რუსეთი“, და მათი თუნდაც ნოკლე დახასიათება
შორს წავიყვანდა. მაღალმხატვრულ ტილოთა რიცხვში
მანიც უნდა მოვიხსენიოთ ა. ბუზნოვის „მინდროში“,
გ. ხარიტონოვის „ბრატსკის პესზე“, ნ. პლასტოვის „მი-
წისმხენელები“, ა. პლასტოვის „ჩაფხული“, ა. რომანიჩე-
ვის „მშვიდობიან მიწაზე“, პ. ოსოვსკის „სამი თაობა“,
ვ. სნობოვის „ჩრდილოელი მეთევზეები“ და სხვ.

გამოფენა „საბჭოთა რუსეთი“ საბჭოთა ხელოვნების
განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია.





პრებილოვსკია
ახალი ცხოვრებისაკენ
(გამოფენიდან)

მომონებები შალვა დალიანზე

სანდრო შანშიაშვილი



არტო ვარ თუ მწერალთა შორის, მივდივარ სადმე თუ მრავალრიცხოვან კრებებზე ვიძიო-ყები, არ შეიძლება შალვა არ გამახსენდეს. ხანდახან მაფიქვლავ კიდევ, რომ იგი ფიზიკურად სამუდამოდ დაგვეშორდა, და ისე გონია ხოლმე, რომ სადღაც შევხვდები და დავცელაბარაკები.

არ მახსოვს, როდის გავიცანი შალვა დალიანი. ის კი მახსოვს, რომ 1905-06 წლების შემდეგ ხშირად ვხვდებო-დით ერთმანეთს ან რომელიმე რედაქციაში, ან რომელიმე კრებაზე, ან ქოსების სარდაფში, რომელიც იმ დროს კლუბის დახიზნულუბას ასრულებდა.

წლოვანობით შალვაზე უმცროსი ვიყავი და იმ დროისთვის მხოლოდ ორიოდე ლექსი მქონდა გამოქვეყნებული, შალვა კი უკვე ცნობილი და სახელმოხვეჭილი მწერალი იყო. მიუხედავად ამისა, იგი ისე მეპყრობოდა, როგორც თანაკლუსი.

იმ დროიდან უკანასკნელ დღემდე ჩვენ შორის მეგობრობა არ დარღვეულა, პირიქით, უფრო ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა.

მე მთავარად მისი კომედიები, პროზაული ნაწარმოებნი, ხოლო მას — ჩემი ლექსები და პოემები. და ერთი ჩემი ლექსი „პატონიშვილის გული უწუხს“ ისე მოეწონა, რომ თავის „გუმინდელში“ შეიტანა ერთი-ერთი მოქმედი პიროს მონილოვად.

საზღვრეგარეთ წასვლისა შალვა-დალიანის მიჩვენდა. და აქი წავედი კიდევ. იქ დავეწერე დრამატული პოემა „უფერ-ვენიო ძეგენი“ და რედაქციას გამოაუჯავაზე.

შალვას წაქეზება და ძალიან გახარებოდა. დასადგმელადაც გავმზადებინა. თურმე ამბობდა: „ჩამოვა ახალ-გაზრდა დრამატურგი და ბიესის დადებითი წყაბალოსე-ზი“. ასე მიამბო ალ. იმედაშვილმა, რომელმაც ეს პიესა პირველად თავის საბუნებისოდ დღედა და შადიანის რთლი ითამაშა.

1913 წელს, ზაფხულში საზღვრეგარეთიდან დროებით თბილისში ჩამოვედი.

შალვამ მაშინვე შემოიკრიბა მსახიობები. ჩემი თანდასწრებით რამდენიმე რეპეტიცია ჩაატარა და სექტაკალი უკვე მზად იყო. ასე იღვებოდა მაშინ ბიესისი. იგი დაიდაც ზუნალაშვილების სახლით, დღევანდელს, უკვე სახეშეცვლილს, მარჯანიშვილის თეატრში.

აიხადა ფარდა და, ის იყო, სექტაკალი დაიწყო, უცბად, მოყოლებილად სინათლე ჩაქრა.

შალვა იხიხადა: რა ამბავია? რატომ ჩაქრაო? ვერაფერ გავიცინე. ვიღაცამ ფანარი აანთო. ფარდა დაეშვა. გელოდებოდი სინათლეს.

გაიარა ერთმა საათმა... მეორემ... საზოგადოება ჯერ ჩუმად იყო. მეგრე აღაპარკა. სინათლე მაინც არ მოიღოდა. დასწრენი დღეაღებენ, ყველაზე მეტად — შალვა დალიანი. იძილებული ვიყავით სექტაკალი გადაგველო და ბილოთების ფული უკან დავებრუნებინა. მაგრამ ხალხმა არ ისურვა ფულის უკან მიღება. აცხადებდნენ: დავიცდით, თუნდაც გათენებამდეყო.

შალვა ასე რიკად განირისებული და შუბლმეკრული არ მინახავს. მუხამ მოიღიზირა და კეთილი სახე მიერღობო-ლა. არ იცოდა რა ედინა. მონტიორი სადღაც ლექსის და-სალოდეს წასულოყო, იქნებ გაგებაც: „ვიღაც სინისი-გარეცხილდა ვეინტრო!“ — ამბობდა შალვა. მე მიუხედავ, რომ რომელიღაც მწერალს გულისხმობდა, მაგრამ სახელს არ ვიხსენებოდა. სექტაკლის დაწყებამდეც შალვა მწერ-ლებს ემედურბოდა.

— ნუთუ ჩვენი მწერლები არ უნდა დაინტერესებუ-ლიყვნენ, თუ რა დაწერა ახალგაზრდა დრამატურგმა? სინათლის ჩაქრობის დროს კი ამბობდა:

— არც ერთმა არ ინება მოსვლა, მაგრამ ერთმა უშმაკი დაანთხია!

ვინ იყო ის ერთი, მანც არ მიხიხა. ამ დროს საზოგადოებიდან გამოგვეცხადა ერთი ჭალა-რა კაცი. უბრალო მუშის ტანსაცმელში.

გვითხრა: მე ელექტრომონტორი ვარ. იქნებ, სადგუ-რი არაფერი შეუშია და აქვე თეატრშია გაფუჭებუ-ლიო.

შალვას გაეხარდა. წაუღვა ფოიეში და, მართლაც, ნახეს ერთ ადგილას გადაჭრილი მავთული. იმ მუხამ უშალ შეაკეთა და სინათლე აინთო.

ვერ წარმოიდგენთ, როგორი სიხარულის ხმაური და-ტვირილად მიუღს დარბაზში.

განახრებს წარმოდგენა, მაგრამ ძალიან გვიან... იგი სამის ნახევარზე დამთავრდა.

მე ძალიან გულდაწყვეტილი ვიყავ, შალვა კი ხალისი-ანი და მხიარული. დარწმუნებული იყო, რომ „ბორტსა სძლია კეთილმა!“

ძალიან გვიან იყო, მაგრამ შალვას მოწადინებით რამ-დენიმე მსახიობმა ერთად ეტლებით ქალაქგარეთ გავე-შურენით, „ფიქრთ გასართვლად“ და სველის გასაქა-რებლად.

მეორე კვირას ეს პიესა შალვამ ქუთაისში წაიღო. მეც მიიხიხა — უნდა წამოხვიდო! იქ დიდ უარზე ვიდედი, მაგ-რამ როცა შალვამ მითხრა: ბიესა მიწეზნა, მე მივსა ქუთა-თურბნმა გავიცნონო, დავვეცი მის დაბეჯითობით თხოვნას და მატარებლით გავემგზავრენით რამდენიმე მსახიობით, რადგან დანარჩენ მსახიობებს, შალვას იმედს ჰქონდა, იქ შეგვრედა და თვითონაც ითამაშებდა.

დახა, აი, ასე იღვებოდა მაშინ ბიესი. რიონის სადგურზე აუარებელი ხალხი დაგვხვდა. ალ-ბათ, შალვამ წინასწარ თუ აცნობა. უთოოდ ასე იყო, რად-გან ადგილობრივი მსახიობებიც მზად იყვნენ.

შალვასთან ერთად ჩამსვეს თოთრცხენებიან ეტლში. მძიმედ მივდიოდით, გზადაცა ყვეაცილები თაიფულებს გვესროდნენ.

შალვას ვუთხარ: ეს შენი მოწყობილი ითინა-მეთქი.

— არაი! აქ ასეთი პატეისცმა იცინიო, ეს თბილისი არ გვეკონის, ჩვენ რომ სინათლე ჩაგვიტრეს... შენ ნახე, წარბოვანებზე არ ამბავი იქნება!

შალვა სულ იღიმებოდა. დიდად გახარებულ იყო. სად მიგვეყვანეს, ვისთან ვამსულს სუფრა, აღარ მახსოვს.

ისე თაბერდასხმული ვიყავ, რომ არ გამხსენებია მე-ციონხა: ვინ იყო ჩვენი მასხმებელი?

როცა შალვას ვკითხე, მიამსუხა: მთელი ქუთაისისი სუფრაზედაც შალვა ლაპარაკობდა ჩემს მაგიერ და მიხ-დებოდა სადღერძემოებსაც ამბობდა.

იმავე საღამოს მიდიოდა ჩემი „უფერეკვინიო ძეგენი“. ერთ-ერთ პატარა როლს თვითონ შალვა ითამაშობდა ექსპრომტად, რადგან მისი შემსრულებელი მსახიობი თბი-ლისში დასტავა.

წარმოიდგენით, თეატრი ხომ იყო ხალხით გაუქვილი, ვით თეატრის მისასვლელთანაც ვაგლა გაგვიძინებოდა.

მწერმოდგენა ძალიან უფერულად მიდიოდა. როლები არ იცოდნენ. მოკარხისი ხმა პარტურამდე აღწევდა.

უხრანისი ზღვაპირეთისადა სექტაკალი იხსნა შალვა დალიანმა. ფარდის წინ გამოვიდა და საზოგადოებას აც-



ნობა: ნუ დადევრებათ, თუ პიესას სათანადოდ ვერ ვთავაზობთ. ეს სპექტაკლი საბაზი იყო, რომ თქვენ თეატრში შეკრებილიყავით და გავეცნით ახალგაზრდა პოეტი სანდრო მანანაშვილი.

დიდი ტაში და ოვაცია გაიმართა. ჩემი ლოკა ყვავილებით აივსო. თითქოს ვანგებ, ლამაზი ქალიშვილები თავს დაგვტრიალებდნენ და დალაღი დავარდნილი ყვავილების თავლებს ან თვითონ იკვებდნენ ხელში, ან გვერდით ალაგებდნენ. მოსაგონებლად ეს დარჩა ჩემთვის დაუვიწყარ ამბად. ეს მოხდა ქუთაისში შალვა დადიანის მეთაურობით. ვიგობე 1913 წელს.

ამ სპექტაკლს მოჰყვა დიდი ბანკეტი, ხოლო იქ, რაკი შალვამაც თხოვა, წყავითხე ორიოდე ლექსი. ერთის წაწილის დროს ისე დავიბენი და ისე ამერიას ლექსი, რომ წაწილებულმა ძლივს დავამთავრე და სირცხვილს გადავრჩი.

შალვა დადიანს „უბედური რუსი“, ანუ „გოგორჯი ბოგოლუსკი“ მე გაძიეულ დავამთავრებინა. აი, რა ვარგოვებში მოხდა ეს: შალვა დადიანმა რევოლუციამდე ამ მოთხრობის ერთი ნაწილები დაბეჭდა „ცნობის ფურცელსა“, თუ „სახალხო გაზეთში“. რამდენიმე წელიწადამა გავლო, აღარ გავუტრელებია. 1917 წელს, როცა მე გავიხე „საქართველოს“ გრადატრობი, გაავსენე შალვის ამ მოთხ-

რობის ამბავი, შევასხი ფრთები, და ივიც დამპირდა წერას გაავარძლებდი. დააიბედა დააიბედალ რჩებოდა. კვლავ გაავსენე კიდევ დამპირდა. შემდეგ ვუსაყვედურე: გავითითის მითხრობა მჭირდება, შენ ეს შეგიძლია და არც კი მეხმარები-მეთქი.

— პო, მოვალედი მოვლო? — და თავისებურად ჩაიკინა. უბრალო ჩაიყო ხელი და ხელთნაწერი გადმომაწოლა: — აპა მიიღე! — მას უკვე დავამზადებინა.

ქუჩას მოჰკიდა ხელი, შემომანათა თვალბედი და დიდხანს გაჩურჭურული მიცქერდა. ბოლოს მითხრა:

— მე შევასრულე შენი დავალება და ყოველ კვირათითო ფელტონს მოგაწვდი, ხოლო ახლა შენც უნდა შეასრულო ჩემი დავალება.

ვივთხე: რას მავალებს მეთქი. ჯერ სადღევრძელი დამაცდევინა და შემდეგ მითხრა: ქართული მითოლოგიადან დამაწერე ისეთი ლექსები, როგორც კითხვად გამოქვეყნებული — „აგუნა“! და კიდევ დალია ჩემი სადღევრძელი.

შალვამ პირობა პირნათლად შეასრულა, ხოლო მე — ნაწილობრივ. და დარჩინი დღემდე მის მოვალედ.

შალვა დადიანის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება იმ დრომდე, სანამ საქართველო და ხალხი იარსებებს. საქართველო და ხალხი კი მარად იარსებებს!

ილია ჭავჭავაძე და ბალაკტიონ ტაბიძე

აკაკი ხინთიბიძე

როცა ლაბარაია ისტორიულ ატმოსფეროზე, რომელმაც განსაზღვრა მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის, კერძოდ, პოეზიის საერთო მიწორული კლერა-დობა, შეუძლებელია დავიწყებულ იქნას ისეთი ტრაგიკული მოვლენა, როგორც ფოქართული ხალხის გრავიული ბეღლის ილია ჭავჭავაძის ვერაქული მკვლელობა. ამ ფაქტში — წყარად კიტა აბაშიძე. — „წარუბოცელი კვლი დამაჩნია ჩემი ახალგაზრდა მგოსანთა ღირსი, მისი ჯერბა უცნაურ სამპლოვიარო პანგზე მომართა...“ („სახალხო გაზეთი“, 1913 წ., № 901).

ამ აზრის სამართლიანობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. ილიას მკვლელობამ არა მხოლოდ გამძაბილი პიოვა ჩვენს იმდროინდელ მწერლობაში, იგი ერთგვარი სთავიეც გახდა იმ მოზრუნებისა, რაც ქართულმა პოეზიამ განიცადა მე-20 საუკუნის დასაწყისში.

მწუხარე, სუდალინი განწყობილება, ძლიერი ვენებათა დღევა, ზოგჯერ პროტიკული და ბრძოლისაკენ მიოქრედემა, მოუსვენარი სულის მძაფრი და რამდენადმე გაურკვეველი მოძრაობა, როგორც საერთო დამახასიათებელი ნიშანი მამონდელი ქართული პოეზიისა, 1905 წლის რევოლუციის დამარცხებასთან ერთად, ილია ჭავჭავაძის მკვლელობითაც აყო განყოფილება. ამის საილუსტრაციო მაგალითებს ვიპოვნი თითქმის ყველა იმდროინდელი ახალგაზრდა ქართველი ტაბის შემოქმედებაში. ამჟამად ჩვენს მიზნს შეადგენს გ. ტაბიძის რამდენიმე ლექსის მოშეყვანილი მივითითოთი აღნიშნული გარემოებაზე.

გ. ტაბიძე თხოუმეტი წლის ჭაბუკი იყო, როცა ი. ჭავჭავაძე მოჰკვლეს. ახალი მტლავრი სიმღერის წამოწყებინასაგის მომწიფებულ ქართველ ახალგაზრდას, რომელიც სწორედ მაშინ თავისი სადებიუტო გამოსვლებისათვის ემზადებოდა, არ შეუძლებელია ეს დიდი ეროვნული ტრაგედია თავისი სულის მივლემებში არ გადაატანა. თავის შემოქმედებებში არ გაემდღებებინა. ლექსი „ღარა გვყავს ილია“ მისი დაწერის თარიღის გაურკვეველობისა და სადავო მხატვრული ღირსების მიუხედავად, ამის სასარგებლოდ

მეტყველება. მაგრამ გ. ტაბიძის მხატვრული წარმოსახვის ერთი ძირითადი თავისებურება მდგომარეობს მოვლენათა არა პირდაპირი, უშუალო აღქმაში (როგორც ეს დასახელებულ ლექსშია), არამედ მოვლენათა ერთგვარ გასაილუმოვებულ ხატებაში. ცხოვრების სურათები ჯერ ზოგადი დასკვნების სახით ყალიბდებოდა ღირსიის პოეტის შემეცნებაში, მის საკუთარ ფორმალად და განცდებლად იტყვიდა და მხოლოდ ამის შემდეგ, გადაეცემადა მკითხველს, როგორც პოეტის სულიერი ცხოვრების გამოსახივება.

გ. ტაბიძის არჩინდელ, რევოლუციამდე ლექსებზე დაკვირვება, პოეტის მწუხარე სულიერ საძყაროში დეგრადაციულ ელემენტს, რომ მის შემოქმედებას სდგრატად შედო ილიას ეროვნული გოდება, ილიას თავგამოდებული ბრძოლა ეროვნული და სოციალური იდეალებისათვის, რამაც მსხვერპლად შეიწირა ამ დიდი ადამიანის სიცოცხლე.

გ. ტაბიძე რთული, მრავალმხედვროვანი ასოციაციებით ეხმარება ერთგული ტეკილის ილიასულ განცდას. ილიასებურ ასპექტში ვიზუატავს მოვლენებს და მცირედი მინიშნებით ვგავრმონინებს, რომ წყარო მისი ამგვარი გაგებისა ილიას პატრიოტული ღირსია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი მხრივ ილიას „ელეგია“ და გალაკტიონის „პრიმიტივი“, ხოლო მეორე მხრივ ილიას „განაფხული“ („ტყემ მოისხა ფოთილი“) და გალაკტიონის „მამული“.

„ელეგია“ ილიას ეროვნული პროგრამის ქვაკუთხედიის ძირითადი მოვლენებია, რაზედაც ამ ლექსში ვამაზვიელებულია ყურადღება, შეიძლება ასეთი თანმიმდევრობით ჩამოვაყალიბოთ:

1. „არსილამ ხმა, არსით ძახილი!“
2. „ზოგჯერ კი — ტანჯვით ამოძახილი ქართლის ძილშია კვლას სიმოლა!“
3. „აბ, ღმერთო ჩემო სუფ ძილი, ძილი!“
4. „რისღა გვეღირსის ჩვენ გალიდებმა?“ ბუნებაში სიმშვიდე და სიწყნარება: „მკრთალი ნათილი საყვ მთვარისა

მშობელს ქვეყანას ზედ მოჰყენოდა და თეთრი ზოლი შორის მივიძსა ლაჭვარდ სივრცეში დაინოქმებოდა“.

ბუნების სიყვარესათაა შეფარდებული ქვეყნის ძილი: „მთების ჩრდილი კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალრესება“.

გ. ტაბიძის ლექსიც მთავრით განათებული თეთრი ღამის სურათით იწყება: „ყოველ თეთრ ღამეს, მივგარინა ღამეს...“ არავლად ღუმილია გაემიჯნებოდა: „მთებს სინანეს, სინანეს, სინანეს მდინარეს“, სინავეთ ადამიანებსა.

მაგრამ ბუნებისა და ადამიანის ამ, ერთი შეხედვით, წყნარსა და ნეტარ ძილში დროგამოწვებით ტანჯვის მცენესარე ხმა ისინა; ჩანს, ქვეყნის მაკიცხლებელი ძარღვი მთლიანად არ მოღუფნებულა, სადღაც ერთი ნერივ კიდევ ცახცახებს და კენესით მიგვანიშნებს წყლულზე („ზოჯერე-ვი ტანჯვით ამოძახილი ქართლის ძილშია კენესა ისმოდა!“).

გ. ტაბიძის ლექსში ქვეყნის წუხილი გადმოცემულია გრძნობით ატირებული სალამურის ხმით. არც „მშობელი ქვეყანაა“ ნახსენები, არც „საქართველო“. მათ მაგიერობას სწევს ერთადერთი სიტყვა „სალამური“. ვითხოვლობით:

„ყოველ თეთრ ღამეს, მივგარინა ღამეს ვილაც სალამურს გრძნობით ატირებ, ვასკვლავნი რთავებ ამ დროს მიდამოს უკეთრ დიდებებს, ცისფერ ნაპირებს“ — და საბრთველოს ბუნების წიაღში გვგრძნობთ თავს: წყნარ, მივგარინა ღამეში სალამურის „ოხრა და გინგა“ ეს იგივეა, რაც ილიასეული — ტანჯვით ამოძახილი კენესა ქართლის ძილში; ეს ამიარნის კენესა ლექსიდან „მშობლიური მეგობრა“:

„მეზახსებია კლდეები კლდეებს, იქ ვილაც კენესის დიდი ხანია „ამირანია?“ — მივგართავ ტყეებს და ტყე ვუტყუებებს, ამირანია“.

მძივე გაცხდას შეუყვარა პოეტის: ეს გული ღმერთთან მეგრძობი ამირანისა, რომელსაც არცერთ ჰეორისტისა და მწარე კენესას გამოაკმინებს, თითქოსდა მისივე გულია — „ეს მძაფრი კენესა მიწამალს დიდებს, ეს გული ისევ ჩემი გულია...“ „დაკარგულა?“ — მივგართავ ტყეებს და ტყე ვუტყუებებს — „დაკარგულა“.

ამირანის თემის ახლებური გადაწყვეტა მოცემულია გალაკტიონის ლექსში „მთის გულისცემა“. მაგრამ აქ ჩვენ ავტოტ საუბრის მთავარ ხაზს. ილიას ლექსის კულმინაციური სიმაღლეა სტროქონი — „ოხ, დღერთი ჩემო, სულ ძილი, ძილი“. თუ მანამდე პოეტის მიძინებულ ქართლის სურათს ხატვდა, ახლა გვიმტკავნებს თავის აქტიურ და-მყოკიდებულებას დახატულასადმი. პოზიცია ნათელია. ეგვე პოზიცია ასევე ნათელაა გადმოცემულია გალაკტიონის ლექსში:

„და მჯერა: ვინმე განთიადამდე ისმები და ოხრებს და მწარე გინებს, კივის... დაიქნეს სათესეს, ლახდებს და ყველას სინანეს, სინანეს... ოჲ სინანეს“.

უკანასკნელი „ოჲ სინანეს“ უხსტავდ იმავე შინაარსის შემცველია, რისაც ილიას „ოხ, დღერთი ჩემო, სულ ძილი, ძილი“. იმ განსხვავებით, რომ გალაკტიონის ნათ-ქვამს ლაკონიურობითა და ხმის აქტიურ ფორმში დასმით მტეტი ემოციური სიმძაფრე ახსიათებს. სიმძაფრე არც ილიას სტროქონს აკლია, მაგრამ მაინც ილია უფრო დინ-ჯია, აუღლებელი. იგი ვეგსაუბრება იმ კაცის ენით, რომელსაც ვადარებელითა და უკველებელი მოფიქრებული აქვს ქვეყნის გამოღვიძებისათვის ზრუნვა. ამასთან, ილია არ გამოყოფილდება მოვლენისათვის თავისი დამოკიდებულებ-ის ჩვენებით და უკანასკნელ სტროქონში კიდევ უფრო განმარტავს თავის პოზიციას — „როსდა ვეღლისოს ჩვენ ვაჩვიებმა?“ ელიკტიონი ამ ვაცდის იქით არ. მისი. და-ნაირები თუქვენ ვიცი. იგი უჭირბლს ვაგამ იქ. საიდანაც „საქმე“ უნდა დაიწყოს. მაგრამ ლოგიკური ცენტრის ემო-

ციური ხაზგასმით (სიტყვა „სინანეს“ ლექსში ხუთჯერ მეორდება), როგორც იტყვიან, იდეას თითქმის მატე-რიალურ ძალად აქცევს.

ამასთან ერთად, ზემოთ ციტირებულ სტროფში აშკარა გამოძახილია ილიასეული წუხილისა — „რომ შესს მიწაზე, ანდენ ხალხში კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანოდ, გრძნობა ჩემი განხვზარია“.

„(მას აქეთ, რაკ)“.

გ. ტაბიძის ლექსის ლირიკული გმირიც, რომელიც ყო-ველ თეთრ ღამეს ქვეყნის კენესას უღვებს ყურს, კვიციოთ უხმობს მონათესავე სულს, რომ თავისი ფიქრი ახდის და გრძნობს გაუხურებას, მაგრამ „არსადამ მნა“; ყველას და ყველავფერს გულისხმავლად სინანეს; იგი მარტოღობარტოთ თავის მწუხარებაში (შეადარეთ ილიას — „ვიდექ მარტო-კა“).

ამასთან, ეს მდგომარეობა შემთხვევითი და ეპიზოდურ-რია არაა. ილიამ მხოლოდ ერთხელ განცდილი გამოვიგმა-ლა, წარსულში ნანახი სურათი აღადგინა („მოჰფეროდა“ „დანიშნებოდა“ „მეტყობს“, „ისმოდა“). თუმცა აწყმოს-თან ანალოგიასთან და მომავლის გასათვალისწინებლად („ეაღერება“ „ვეღლისოს“). გალაკტიონის ლირიკული გმირისათვის ეს წარსულის განცდა კი არაა, ჩაგლოდი და დამთავრებული, ეს მისი აწყმოს, მიმდებარე ცხოვრებაა, რომელიც მეორდება ყოველ თეთრ ღამეს (სწავთაშორის, ასე ერეკა ლექსს, როგორ იგი პირველად გამოქვეყნდა): საგულისხმოა ის ვარებობაც, რომ, ილიას მსგავსად, გა-ლაკტიონიც დროის გრძნობას ზნისეული რითმებით აძ-ლიერებს და მოქმედების აწყმობს გადმოტანა („ატირებს“ „ახშირებს“, „აპირებს“) განცდას უფრო მახლობელსა და რელიეფურს ხდის.

დასასრულ, თვალში საცემია ორივე ლექსის მსგავსი რიტმული კერალობა: ათამარცვლიანი ფესტიკული ჯეა-რდონი რითმით; მირთადა, II და IV ტეტისებრს დამაკე-შირეველი რითმა — ზნისეული, ხოლო არამირთადა — ძი-ლიერებელი. შესაძლებელია ამ ლექსების იდურ-შინაარსო-ლდვი თანხედრობისათვის ხელი არ შეეშალა განსხვავ-ებულ მეტრას და რითმებს, მაგრამ იმის უარყოფა შეუძ-ლებელია, რომ შინაარსობრივ მსგავსებას კიდევ უფრო მყარს ხდის რიტმული წყობის თანხედრობობა, თავი რომ დაუნებოთ იმის, რომ თავისთავად ფორმისეულ კომპოზი-ტა ერთნაირობა შეიძლება ვახდეს ერთი ლექსის მეორეზე დამოკიდებულების საფუძველი.

ილიას „გაზაფხული“ და გ. ტაბიძის „მამული“ სრუ-ლიად განსხვავებულ საექტრში ხვდებოდა ერთმანეთს.

გაზაფხულია, — ვითხოვლობით ილიას ლექსში, — ტყეში ფოთოლი მოისხა, ზაღში ოხოლი ვაზი სიხარულის ცრემ-ლივს ღვრის, აყვავდა მდგლო და მთები, მაგრამ მამული, ქვეყანა, ხალხი ჯერ კიდევ არ გამოფიზრულბულა ზამირის ძილისკან და აქაც, ისე როგორ „ეღვიგაში“, ოცნება მო-მავლზე — „მამული საყვარელი, მერ ორსა და აყვავდები“.

გალაკტიონის „მამულშიც“ გაზაფხულის სურათია და-ხატული: ცვრანა მაღაზზე ვენბნებულა სიარული, აქედან მამული სიტკობების შეგრძობა და მოკონება ვენახში სასხლავით ხელში მოსიარულე მოხუცი მამისა. შესაძლებ-ლია აქ ავტორი საკუთარ ბიოგრაფიაზეც მიგვივითოდებს: მას მამა არ უნახავს, იგი ვარაიაცვალა შვილის დაბადე-ბამდე ორი თვე ადრე. ალბათ, დედისა და ახლი სათეს-ვების ნამშობიდან მის შეგნებაში ამკვარად ჩამოყალიბდა მამის სახე:

„ვაშლა ველი ნელმა ნიავმა და მელანდამა მშ მის ღელში მოხუცი მამა, მოხუცი მამა სასხლავით ხელში დალის ვენახში“.

ეს მოკონება, რომელიც გაზაფხულის მოსვლას უკავ-შირდება, პოეტს მწუხარებას ჰკვირის. ამ ენახში ვაზის თეთოული ღერევი მამის სახეს ავგონებს და ახლა, როცა ენა ამწუხად მძიამო, როცა ვაზუნა ისევ აუშვეს ყლორ-ტები, იგი დალის მამისეულ ვენახში, წუხს მამის გამო, თა-

ვისი ობოლი არსებობის გამო და ენანებდა უსატრონოდ, ობლად დათვებულნი მამისეული ვენახი (როგორც რთული ასოციაციების გზა გამოიარა პოეტმა ილიასეული „ობოლი ვაზიანები“):

„აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი
მასზე ოცნებას დაეგანება,
ისევე ამყვანდა მდელი და კორდი!
დადევიარ... ვწუხვარ და მენანება“.

ამრიგად, მამულის განცდას პოეტს სრულიად ლოკი-კუსად მამის სახემდე მიყვება. მაგრამ სა კავშირი აქვს ამას „გაზაფხულს“ მოტივთან? საქმე ისაა, რომ მამულის განცდილად მომდინარე მამის სახე აქ ისევე გამოიხატა გავა-ბანდა ანალოგიური და ლექსის ბოლო სტრიქონებში ვენ-სიმის არა მარტო როგორც წუხილი იმის გამო, რომ „წინა-პარტაგან წვიდაც ყველა“, არამედ როგორც წუხილი იმის გამოც, რომ მზუნების აყვავება კაცთა იმედების აყვავებას არ იწვევს, ბუნების გაზაფხულს ადაინანებისათვის არ მო-აქვს სიხარული და მედიანობა.

ბრავად, ორსავე ლექსში გაზაფხულის საერთო ფონზე მოცემულია ადამიანთა ბედზე დაფიქრებულ, დამწუხრებ-ბული პოეტის სახე. იმ განსხვავებით, რომ, როგორც წინა მაგალითში, ისე აქაც, ილია უფრო იმედიაინა, გალაკტიონი კი — უფრო მწუხარე.

ეს უნიდობასა და მწუხარებას თავისი ობიექტური მი-ზეზეში ტყვანდა: ხალხის განათარსუფლებლის იმედები რევო-ლუციის კეცლის ჩაქრომასთან ერთად ჩაიფრვდა; ეროვ-ნული იდეა კვლავ განუზარცელელებელი დარჩა; ყოველივე ამას ზედ დაერთო იმპერიალისტური ომის საშინელაუცავ (ორივე ლექსი 1915 წელსაა დაწერილი). თვითიული ამ მიზეზთაგან სრულიად საკანონო იქნებოდა პოეტის მწუ-ხარე განცდას ამოციცნებისათვის. კერძოდ, ჩვენ გვინდა ისევ ილიას დავუბრუნდეთ. 1913 წელს მოაწმინდაზე ცხვის ძვალის კურთხევა (ნ. ნიკოლაძისეული ქანდაკების განხნა) ქართველი ხალხისათვის წიწამურის ტრავადიის ხუმლოდრ განცდა იყო. გ. ტაბიძე ერთ პირად საუბარში უთქმობს, რომ ამ ფაქტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, დიდი ზეგავლენა იქონია მის შემოქმედებაზე (მხედ-ველობაში გვაქვს დოკ. მ. დღუფჩაძის სიტყვა ლიტერატურ-რის ინსტიტუტის XX სამეცნიერო სესიაზე, 1960 წლის 16 თებერვალს). პოეტი მაშინ ფიქრობდა, რომ ილიას დიდი იმედები მთლიანად ვაკაპარწყლა წიწამურში დაღვრილმა სისხლმა, ილიას მკვლელობამ მოკლა რწმენაც ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისა. სრულიად ბუნებრი-ვია, რომ განსაკუთრებით იმ ხანებში გ. ტაბიძის ყოველი დავაობა ღრმულ საკითხზე ილიას შემოქმედებასთან იქნებოდა დაკავშირებული, წიწამურის ტრავადიით იქნე-ბოდა შთაბეჭდილობა.

თუ ლექსში „პრიმიტივი“ ეს კავშირი აშკარა და თვალ-ნათლავა, „მამულში“ უფრო საკანონოა დასწორება, ვიდრე სიალოვე. მაგრამ მხოვდავად ამისა, ორსავე შემთხ-ვევაში ნათლია, რომ ამისდავალ ბუნებრივია. ილიას პატივრტულმა ლექსებმა, ილიას უაღრესად ეროვნულმა ზღერებმა და ბოლოს მისმა ტყვეით გაგებრტულმა შუბლმა შთააბრუნეს გ. ტაბიძე ეროვნულ ჰანაზე მოემართა თავისი ქანაი.

გ. ტაბიძის შემოქმედებითი ფესვების ძიების დროს, როცა მითითებენ გ. ტაბიძის კავშირზე ნ. ბარათაშვილთან და ა. წერეთლთან, ეს გარკვეულად გათავისუფლებულ უნდა იქნას.

ილიას სახეს გ. ტაბიძე არაკურთხეულ უბრუნდება. ზოგ-ჯერ ინტიმურ ფერებში ხატავს მას („ილიას მოტივი“, „ილია მღერის“ — ვაჟაშვილი), ზოგჯერ კი იძლევა მისი უნი-ვერსალუბრისა და მოღვაწეობის საერთო შეფასებას. გ. ტაბი-

ძემ კარგად იცოდა, თუ როგორ განუზომელი იყო მას ჰანა ჰანაში მნიშვნელობა ჩვენი ეროვნული კულტურისათვის. მთელს ეპოქას მე-19 ს. 80-იან წლებიდან მე-20 ს. დასაწყისამდე — ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ამ უდიდესსა და უნივერსალუბრის ხანას, მან ილიას სა-ხელი მისცა:

„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია,
მამის ეპოქა გათავდა დილა“.

(„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“).

წარსული საუკუნის პოეტური ხილვა გალაკტიონისა-თვის, უპირველეს ყოვლისა, ილიას გახსენება იყო:

„მეცხრამეტე საუკუნე! გვეგებება ოხვრა კაკლის“
(„მშობლიური ჩემი მიწვე“).

ამავე ლექსებში გ. ტაბიძე თავის თავზედაც ვეცსაუბ-რება:

„დადგა ცხრანს რვა. ახალი ლანდი
ჩემთვის სიზრბეში უცნობია ჯერ
ახალი ნიშნა, ქარი, დალანდი
და მთელი ხანა წვიანს: „Crain aux fleurs“.

(„წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“).

ანდა: „მეცხრამეტე საუკუნე! გვეგებება ოხვრა“

კაკლის...“

ახალგაზრდა გოლიათი ენლა ავსებს ამ დასაჯლის“.
(„მშობლიური ჩემი მიწვე“)

როგორ გავიგოთ ეს სტრიქონები?

ლექსი „წიწამურში რომ მოჰკლეს ილია“ სწორედ სა-თურად გამოტანილი ამ ტაბიძით იწვება და თავდება ზემოთ ციტირებულნი სტროფით — „დადგა ცხრანს რვა...“ 1909 წელი გ. ტაბიძის სამწერილო ასპარეზზე გამოსვლის თარი-ღია. მანამდამდე, 1907 წელს მოჰკლეს ილია, ობოლი 1908 წელს ქვეყანას მოველინა ახალი ლანდი პოეტისა, და აქ გალაკტიონის ასახელებს თავისი ლექსების წიგნს — „არ-ტისტული ყვავილები“ („Crain aux fleurs“). მეორე ლექს-ში, რომელიც 1941 წელსაა დაწერილი, უფრო ვარკვევითაა ნათქვამი, რომ ახალ საუკუნეში ილიამ თავისი შემოქმედ-იზოვა (ამ ლექსის შიგნით ვერაინანტი აღნიშნული სტრიქონები გამოშვებულა). ორსავე შემთხვევაში გ. ტაბიძის თავისი თავი ჰყავს მხედველობაში. მას ილია ჰკავებდა მიაჩნია თა-ვის დიდ წინამორბედად, დიდ ხუროთმოძღვრად, რომელ-მაც ბლომოდ მიიყვანა მის მიერვე დაწყებული დიდებუ-ლი შენიდა და ფართო ასპარეზზე გადაუშალა შთამომავლო-ბას ახალი ესთეტიკური იდეალისათვის (საგულისხმობა, რომ გ. ტაბიძის არც ერთი სხვა მწერლის სახელთან არ დაუკავშირებია თავისი თავი). მაგრამ გ. ტაბიძე არ ყოფი-ლა ილიას უშუალო მემკვიდრე, მის კავალზე შემდგარი, მისი გზის გამაგრებლებელი. ილიას გზის პირდაპირი გავრ-ცელება შეუძლებელი იყო, რადგან მას ვასაგრებულელი, დასამთავრებელი არაფერი დაუტოვებია; ილიამ დაასრულა უნდა ეპოქა, თვითონ დაიწყო და თვითონვე დაასრულა. უნდა დაწყებულიყო ახალი ლიტერატურული ეპოქა, სა-ძირკული უნდა ჩაყრდა მის მხატვრულ აზროვნებას და ეს დიდებული მისია ისტორიამ გ. ტაბიძის დააკისრა. ესაა ნაგულანსმევი გ. ტაბიძის სტრიქონებში.

უკანასკნელი პერიოდის ქართულ კრიტიკაში არაერთ-ხელ გამოთქმულა მოსაზრება, რომ მე-20 საუკუნის ქარ-თული პოეტური აზროვნების ფუძემდებელი არის გ. ტაბი-ძე. მაგრამ დეკლარაციები საქმეს ვერ შეუღებს. გ. ტაბიძე უკვე ისტორიას ეკუთვნის. საჭიროა ფაქტობრივი მასალის კეთილსინდისიერი შესწავლით, იმ პერიოდის მწერალთა იდეური კრედიტისა და მხატვრული პრინციპების გულდასმი-თი ახალიობით ვაჩვენო გ. ტაბიძის ადგილი, რომელი და მნი-შვნელობა მე-20 საუკუნის ქართულ პოეზიაში.

ფრანგი „პარსკვლავები“ თ ბ ი ლ ი ს ი ს ც ი ს ქ ვ ე შ

გასტონ ბუაჩიძე

„გრანდ ოპერას“ ბალეტის მსახიობების ლიან დაიღვესა და მიშელ რენოს ჩამოსვლის შესახებ თბილისელებმა ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ შეიტყვეს ქუჩებში გაკრული უბრალო ლურჯი ფიშებისა და გაჭეობში წინასწარ მოთავსებული ინფორმაციების საშუალებით. რაც უფრო ახლოვდებოდა „ჩიხელის“ ორი წარმოდგენა, მით უფრო იზრდებოდა ჩვენი მაყურებლების მოუთმენლობა.

დაიდესა და რენოს სახელები ჩვენთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ მათი აღრიწდელი გასტროლებით საბჭოთა კავშირში, და მათი ტრაუმულური გამოცდებით მსოფლიოს სხვადასხვა სკენაზე. მით უფრო სასიამოვნო იყო ფიქრი იმაზე, რომ ზ. ფაფიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კედლებს შორის შემოქმედების ცეცხლით აინთებთან ფრანგული კლასიკური ცეკვის „ვარსკვლავები“.

ზ ი ნ კ რ ი ა ნ ი ს ი ნ ი ?

ლიან დაიღვე 26 წლისაა. 8 წლის იყო, როცა ოპერაში მიიღეს და 17 წლისა რომ გახდა, პარიზის ოპერის „პირველ ვაისკელავად“ გამოაცხადეს.

ლიან დაიღვე გამოდის კლასიკურ და თანამედროვე ბალეტებში. შექმნა მთელი რიგი ტრაგიკული, დრამატული და კომიკური სახეებიც კი. იგი წამყვან პარტიებს ასრუ-

ლიან დაიღვე — მიშელი
მიშელ რენო — გრაფი ალბერტი („ჩიხელი“)



ლებს შემდეგ ბალეტებში: „ჩიხელი“, „რაინდი და ქალწული“, „კოპილია“, „ფედრა“, „სტიტა თეთრში“, „ბროლის სასახლე“, „რომიო და ჯულიეტა“, „ველები ტბა“, „დონ-კიხოტი“ და სხვ. დაიღვე გამოდის აგრეთვე დადგმებში: „რქიანი ქალი“ (ლიბრეტო თანამედროვე ცნობილი ფრანგი მწერლის ჟან კოკტოსი, მუსიკა მ. შაიესი), „ნიჰომია“ (მუსიკა ანდრე მესაჟესი); „სამი შეყვარებული“ (მუსიკა თანამედროვე ფრანგი კომპოზიტორის დარიუს მილიოს).

ლიდი წარმატება ხვდა ლიან დაიღვეს საკასტროლო მოგზაურობის ბრაზილიაში, არგენტინაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, შვეიცარიაში, დახიაში, გერმანიაში, ავსტრიაში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებში.

შესრულების თავისებურებით ლიან დაიღვეს ადარებენ მსოფლიოში ცნობილ ბალერინებს, — ტალიონს, პავლოვას, სპეზიციასა...

გამოჩენილმა ფრანგმა მოცეკვავემ მიშელ რენომ მრავალი საინტერესო იერსახე შექმნა ფრანგული ნაციონალური თეატრის სკენაზე. იგი 31 წლისა. 12 წლის ასაკიდან ირიცხება ოპერის თეატრის დასში, 14 წელია ატარებს გრანდ ოპერის „პირველი მოცეკვავე-ვარსკვლავის“ სახელს. ლიან დაიღვესთან ერთად მან შემოიარა მთელი მსოფლიო. 1957 და 1958 წლებში ორივე წარმატებით გამოიღო საბჭოთა კავშირში. მიშელ რენო და ლიან დაიღვე თანამედროვე ფრანგული საბალეტო სკოლის ყველაზე დამახასიათებელი წარმომადგენლები არიან.

მიშელ რენო დაიბადა პარიზში, მონპარნაზზე, უბრალო ოჯახში. მამა მუშაობს რენოს საავტომობილო ქარხანაში მუშად, მამაკამ მიშელის ოჯახს არაერთი ნათესაური კავშირი არა აქვს ქარხნის დამაარსებელთან, სინამდვილეში ისინი ერთი გვარისანი არც კი არიან, რადგან ფრანგულად ეს ორი გვარი სხვადასხვანაირად იწერება.

5 წლის ასაკიდან მიშელ რენომ დაიწყო ცეკვის შესწავლა ქან სებრონთან და პირველად გამოჩნდა დასვენების საღამოებზე „ტეატრ დიუბტე-მონდისა“ და საოპერის თეატრის ბალეტის სკენაზე. 1942 წელს პარიზის საოპერო თეატრის ბალეტის დასში მისაღებ გამოცდებზე პირველი ადგილი დაიკავა 30 კანდიდატს შორის. ჟიურის წევრები იყვნენ ბალეტის სოლისტები ჟაკ რუმეს თვამჯდომარეობით. 1946 წლის ოქტომბერში მიშელ რენო დაინიშნა დასის პირველ სოლისტად. სწავლობდა და სრულყოფდა თავის ოსტატობას ცნობილ მედაოგებთან (კარლოტა ზამბელი, გუსტავ რიკო, აველინი, სერგეი ლიფარი, კნაზევი, პეტეტი).

1957 წელს მიშელ რენომ მიიღო სერგეი ლიფარის როლი ბალეტ „ჩიხელში“.

პეტასა შემდეგ მიშელ რენო პირველი ფრანგი მოცეკვავეა, რომელიც გამოვიდა მოსკოვის დიდი თეატრის სკენაზე.

ნაციონალური ოპერის თეატრში მიშელ რენომ განასახიერა მთავარი პარტიები ბალეტებში: „პეტრუშკა“, „რომიო და ჯულიეტა“, „ჩიხელი“, „მოჩენება“, „ბროლის სასახლე“, „ეტაოლები“, „თალითობა“ და სხვა.

მსოფლიო პრესამ მაღალი შეფასება მისცა ფრანგ მოცეკვავეებს. ქვემოთ მოცეკვას ამონაწერები ზოგიერთი წერილიდან, რომელნიც მიძღვნა ლიან დაიღვესა და მიშელ რენოს ცეკვას.

კრიტიკა ლიან დიძისა და მიხეილ ჩინოს შესახებ

„როდესაც ლიან დიდი გამოდის სცენაზე, კლასიკური ცეკვა აღწევს თვალისმომკრელ ბრწყინვალეობას. ამ ბალერინამ, რომელიც ცოცხალ ქანდაკებას ჰგავს, არ იცის არავითარი სიძნელე. სცენას კეთილად, როგორც მანათობელი ელვა და ადამიანის თვალს მტრად წელია, რათა დაავიწყდეს მისი მოძრაობების კალიგრიფიკაციის“.

მოსკოვი, „იზვესტია“, ნიკოლაი ვოლკოვი.

„ლიან დიდი გონებაში ხელი და შეუდარებელი დედას მოცეკვავს როლი ბალეტისა და „ორ შემოვლის შორის“. „ეტიუდში“ იგი გულს ხედება და ცრემლებსაც კი იწვევს“.

მოსკოვი, „პრავდა“.

„ლიან დიდი განსახიერებს თანამედროვე ფრანგული სახალე-ტო სკოლის საუკეთესო თვისებებს: გამოამბატოვებლობას, ჰაეროვნებას, ენერჯიას და სიცოცხლეს აღტაცებს“.

„ვეტერნი ლენინგრადი“ გ. გოლოვჩენკო.

„შეიათია, როცა მსახიობი დაჯილდოებულია ასეთი მრავალფეროვანი ბუნებრივი ნიჰით. მის იშვიათ გარეგნულ სილამაზეს ემატება გამოამბატოვებლობა და ხელოვნების სრული დღეულეობა. ლიან დიძეს „ეტიუდი“ დიდხანს დარჩება ჩვენს მესხიერებაში, როგორც ქორეოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლენება. გმადლობთ, ლიან დიდი“.

„იიტა-სანომატ“, ჰელსინკი.

„ლიან დიდი ხელოვნების ღმერთის აღიარებული საყვარელი შვილია. ის თანდაყოლილი ბალერინაა“.

„კანს ურტიტეტი“.

„ლიან დიდი არაჩვეულებრივად მომაჯადოებელი და გასაოცარი პიროვნება ხელოვნებაში“.

„ნიუ-იორკ ტაიმს“.

„ოპერას შეუძლია იამაყოს შესანიშნავი ბალერინით — ლიან დიდი, რომლის შემოკმედებითი სახე უდავოა“.

„ილი მატინი“, ნეაპოლი.

„შემდეგ ჩვენ ვიხილეთ „შეი. გელი“ ლიან დიძისა და მისი პარტნიორის რენოს შესრულებით. ეს სანახაობა უსახესებდა ყველა სურვილს და მკურნალობის აღტაცება და ოჯახი გამოიწვევა“.

„კორიერ დელა სერა“, მილანი.

„როგორი პოეზია გამოამბატოვებულაში! როგორი სრულყოფილი ვირტუოზობაში! მიუხედავად გრძელი და ძნელი როლისა, ლიან დიდი შესწავლია ერთი კიდევ ერეგნობის თვისის თავდამკერძობაში, მოქნილობა, მომხიბლობა, ამტანიანობა. იგი მისი გვირის თვითმომხიბლობაა“.

„ილი ტრიბუნე დე ენეე“.

„პირველობის პალმას ჩვენ ვაძლევთ მიხეილ რენოს; იგი ფლობს მოცეკვავის აუცილებელ ფიზიკურ მონაცემებს, მან გამოამბატოვებინა განსაკუთრებული ვირტუოზობა“.

„ილი კანადა“, მონრეალი, ე. კ. დუსტრი.

„...ბატონი მიხეილ რენო ცოცხალი ჰარმონიაა; მისი ნახტომი არაჩვეულებრივია; მას არა ჰყავს მტრულად ოპერის სცენაზე“.

„ლ'ენფორმაციონი“ ა. დავიდი

მიხეილ რენო, — ექსკლუზიური, მოქნილი, დახვეწილი მოცეკვავე...“

„ბარსელონა“, ესპანეთი უ. ფ. სანატი.

„მიხეილ რენოს სახით ჩვენ გავიცინით ჩამოყალიბებული მოცეკვავე, რომელსაც გადალბა კლასიკური ცეკვის სიძნელეები. ეგებს გარეშეა, რომ მას შეუძლია გავგავიწყდოს სახასიათო ცეკვნიში“.

„სონეს ოსტერისი“, ავსტრია.

„პირველმა მოცეკვავე-ვარსკვლავმა, ბატონმა რენომ აღგვაფრთოვანა ექსკლუზიური ძალითა და აგებულებით, აგრეთვე შესანიშნავი ნახტომებით“.

„პოლიტიკენი“, კომუნისტური.

„მიხეილ რენო ნამდვილი ფრანგია სცენაზე, დიდი სინატილის მსახიობია. ცეკვავს მსუბუქად და თავისუფლად, მისი მოძრაობა ელასტიური და გამოამბატოვებელი“.

„სოვეტსკაია კულტურა“ მიხაილ გაბოვიჩი.

„ცნობილი მოცეკვავე მიხეილ რენო გრანდ ოპერას დასის ერთი ვარსკვლავთაგანია. ცეკვავს მსუბუქად, ამავე დროს მისი ტენიკა მოწმობს უდიდეს ძალას. იგი რბილად და გამოამბატოვებულად ქმნის განუხილავებელი არისტოკრატიის სახეს, რომელსაც გალანუფრებილი აქვს გაერთოს მსუბუქი ფლირტით გამოუცდელ სოფელ გოგონასთან. მსახიობის გარეგნობის მრავალი ნაკეთი გვაგონებს ძველებურ გრავიურას“.

„სოვეტსკაია კულტურა“, 7 იანვარი, 1958 წ. მია პლესნიკაია, რუსის-სახ. ოპიტი.

„მრავალი ცნობილი ტიტულთან მიხეილ რენოს აქვს ერთი მეტად საყვარელი, რომელსაც ვერავენ შედეგება: ის არის საფრანგეთის პირველი დიდი მოცეკვავე. ამასთან მხედველობაში გვაქვს ბალეტის მივილი ისტორია“.

არისტისლავ მოლმანი. საფრანგეთის მუსიკალური ახალგაზრდობა.

„იგი, უპირველეს ყოვლისა, „მოცეკვავეა“. ეს არაა ყარგად ნაგარჯიშევი წყვილი ფეხი, რომელიც იძულებულია მტაროს უსიცოცხლო სხეული, იგი გადდის ერთი ადგილიდან მეორეზე შესანიშნავად. ასოლოტური მოქნილობით“.

„ჩიკაგო ტრიბუნე სანდი“ კლავდია კასილი.



ამჯერად ლიან დაიღე და მიშელ რენო გამოვიდნენ მოსკოვში, კიევში, რიგაში, ლინინგრადში და 4 მისს ჩამოფრინდნენ თბილისში. ჩვენს ქალაქში გამართული სპექტაკლების შემდეგ კვლავ მოსკოველები ელდნენს პარიზში ორი ღღის დასვენების შემდეგ — ლისაბონსა და ამერიკას უნდა სწვევოდნენ.

რეპეტიციის დაწყების წინ შესაძლებლობა მოგვეცა გვესაუბრა მიშელ რენოსთან სასტუმრო „თბილისში“.

— ჩვენ უკვე ორჯერ ვიყავით საბჭოთა კავშირში — თქვა რენომ. — და არც ერთხელ საქართველოში. ამიტომ ლიანთან ერთად მტკიცედ გადავწყვიტეთ დაგვაფლიეროთ თქვენი მხარე. მართალია, ჯერ მეტად ცოტა რამის ნახვა მოვასწარი, ვნახეთ საღამოს თბილისის ხედი ფუნჯიკულორის პლატოდან, სადაც მივიწყებია ვ. ჭაბუკიანი. თქვენი დედაქალაქი მეტად თავისებურია. თბილისი თავისი ადგილმდებარეობით მაკონებს საბერძნეთის ქალაქებს ან გრენადას. მეც და ლიან დაიღეცა ვესსურ თბილისში ჩამოსვლა უფრო ხანგრძლივი დროით, გვიხდა ვაიკოვილი მთელ რიგ სოლო კონცერტებში და მონაწილეობა მივიღეთ სებასტეო წარმოდგენებში. შესაძლებელია, ჩვენი სურვილი შესრულდეს ამ შემოდგომაზე.

შემდეგ მიშელ რენომ გაგვაცნო ბალეტის მდიდმარეობა თანამედროვე საფრანგეთში: „ფრანგულ კლასიკურ ბალეტს არაფერი აქვს საერთო ფოლკლორთან, — თქვა მან —

ლიან დაიღე — ქიხელი მიშელ რენო — გრაფი ალბერტი („ქიხელი“)



ჩვენში ხალხური ცეკვების ანსამბლები არსებობდნენ გასულ საუკუნეში. ახლა ისინი ღარ არიან. რაც შეეხება კლასიკურ ბალეტში ვარიეტებს, რევიუს ელემენტების შეტანას, ამ მიმართულებით არსებობს მხოლოდ ცალკეული ცდები, ძივბანი, ექსპერიმენტები. ამჯერად ექსპერიმენტებს ატარებს, მაკალოთად, როლან პეტი თავის მოცეკვავე დასთან“.

პარიზში შემდეგ, ბალეტის ძლიერი დასია სტრას-ბურგში, ლილსა და სხვა ქალაქებში. მიშელ რენო საგასტროლოდ იყო საფრანგეთის ყველა ქალაქში, სადაც კი ბალეტის. ის და ლიან დაიღე მეტად პოპულარული არიან მთელს სამშობლოში. მაგრამ საერთოდ ბალეტის საფრანგეთში ჯერ კიდევ საკმაოდ არაა პოპულარული მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრი კარგი მოცეკვავე და ცეკვის მოყვარულთა.

ბილეთი ოპერაში ძვირია, საშუალოდ 2.000 ჰევილი ფრანკი ღირს, რაც ყველასათვის როდია ხელმისაწვდომი. ამიტომ ბალეტზე რუმბორტსად დაღის „ვანსიზერული მასკოვებელი“. სპეციალური ჯალდობები და პრემიები, როგორც, მაკალოთად, ლიტერატურაში, მოცეკვავეთათვის არ არსებობს. სტრეგი ლიფარი შეცვდა გავრცელებიანა პელოვას და ნიქისის სახელობის პრეზიტი.

მიშელ რენო ღიდ დროსა და ყურადღებას უთმობს საფრანგეთის მუსიკალური ახალგაზრდობის პროფესიულ ორგანიზაციას, რომელშიც ერთიანებს ახალგაზრდა მუსიკოსებსა და შემსრულებლებს და ხელმძღვანელობს ბალეტის პოპულარიზაციის საქმეს. თვეში 3 — 4ჯერ მ. რენო კონცერტებს მართავს სპეციალურად მუსიკალური ახალგაზრდობისათვის; მის გამოხსვლებს ყოველთვის გულთბილად ხედეზიან. გასულ წელს იგი გამოვიდა ტელეგდაცვაში „სიოცხლის სიხარული“, სადაც მასთან ერთად მონაწილეობდა ფრანგული ბალეტის სხვადასხვა თაობის ექვსი ვარსკვლავი: სიუზანა ლორისა, ლისეტ დარსანავალი, იესეტ შოიერი, სოლაჟე შვარცი, ლიან დაიღე და კლოდი ბეტი. გადაცემას აღფრთოვანებით შეხედნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი გადაცემები ჯერჯერობით ძალზე იშვიათია.

მიშელ რენო გადაღებულია რამდენიმე ფილმში, როგორც მოცეკვავე მაკალოთად. იგი გადაიღებს დოკუმენტურ ფილმში „ცეკვა ვერსალში“, აგრეთვე როჟე ვალიზის უკანასკნელ ფილმში „ვაშიარები“. გარდა ამისა, მიშელ რენოს მრავალი კინემატოგრაფიული ჩანაფიქრი აქვს.

მიშელ რენო მონაწილეობდა ბალანჩინის დაღებებში. (მიშელ რენომ შეასრულა მთავარი პარტები ბალანჩინის პარიზულ დაღებებში: „სერენადა“, „აპოლონ მუზაგეტი“, „ფერიას კოცნა“, „ზროლის სასახლე“ (ყოფი მიზუს სიმფონიის მიხედვით). ჩვენ ვკითხეთ, თუ რა აზრისაა ცნობილი ქორეოგრაფის შემოქმედლებზე.

ბალანჩინის შესახებ შეიძლება ითქვას იგივე, რაც პიკასოზე — გვიხარა გონობა, მაშ შემოქმედლებში ორი პერიოლია. მეორე პერიოდი როგორც ვთხარას, ისე მეორის, მე არ მომწონს. იგი დავამა სიუჟეტურ ბალეტებს და მათი საშუალებით ავლენდა თავის შემოქმედებით თავისებურებას. ხოლო უკანასკნელი წლების მისი დაღებები მექანიზირებულია, ამერიკანისებულია. ხოლისტები არაა ჰყავს: არის მხოლოდ კორდებალეტი. ბალეტში არ არის არავითარი სიუჟეტი, — მხოლოდ მუსიკა და ცეკვაში.

პარიზში ბალანჩინის მოღვაწეობის წლებში ლიან დაიღე ბატარა გოგონა იყო და თეატრის ბატარა „თაგუნენების“ რიცხვს ეკუთვნოდა. ამიტომ ბალანჩინის მოღვაწეობასთან უშუალო კავშირი არ ჰქონია. ხოლო უფრო გვიან დაუემეგობრდა ბალანჩინის და მის ოჯახს, და როდესაც ისინი პარიზში იმყოფებოდნენ ხოლმე, უსათუოდ მიიღიან მასთან სტუმრად.

საერთოდ ბალანჩინი, როგორც დამძღვალი, მომწონს,

რ ე პ ე ტ ი ც ი ა ზ ე



მემელ რეხო — გოაფი ალიეოტი („ციხელი“)

გაფასებ მას, როგორც მხატვარს, — ამბობს დაიდე და იქვე დასძინს: — მაგრამ ახლა იგი აღარ ღვამს სიუჟეტურ ბა-
ლეტებს.

ლიან დაიღეს ძალიან უყვარს ღვგა. მას არა მარტო უყვარს, არამედ სწავლობს და ინტერპრეტაციას აძლევს ღღი მხატვრის ნაწარმოებებს. აი, მაგალითად, მოკლე შინაარსი ბალეტისა „ორ შემოვლას შორის“ (მისი შექმნა კომპოზიტორ მარსელ-სამუელ რუსოს შთაბგონა ღღვას შემოქმედებამ, დაღმა განახორციელა სერგეი ღღფარმა).

...ღამეა. მუზეუმის ერთ-ერთი ღღრბაში. მოხუცი ღღ-
რაუი აკეთებს შემოვლას, მის ზურგს უკან პატარა მოცე-
ვავე ღღვას სურათიდან ჩამოვიღა და ანტიკური მეომრის
ქანდაკება გაცოცხლდა. მათი ცეკვის ღღილოგი ორ შემოვ-
ლას შორის მიმღინარეობს. სწორედ ასეთი წმინდა ფრან-
გული საკონცერტო ნომრები, რომლებშიც, როგორც რენომ
გამოთქვა, „შამანურის ნაბერწლები“ იგრძნობა და რომ-
ლებიც თანამედროვე ფრანგული ქორეოგრაფიის მიღწე-
ვებს ასახავენ, „გრანდ ოპერის“ მოცეკვავეებს სურთ გაც-
ნონ თბილისელებსაც.


ორის ნახევარზე ოპერაში დაიწყო რეპეტიცია კორღე-
ბალეტთან და ორკესტრთან ერთად. დაიწყეს მეორე მოქ-
მეღღებიდან. ღღიან დაიღე შავ სამუშაო ტრიკოში და ღღია
შავ წინღღებში იყო გამოწყობილი. იგი პატარა ტანისაა,
თხელი, კარგი აგებუღღების; მისი სანის პატარა და დახვე-
წილი ნაკვთები მოგაგონებთ შგლის ნუკრს. ღღმა, თაფ-
ღღისფერი, მოღღვარე თვაღღები, მოგრძო, თხელი, პოეტური
ხეღღები.

განსაცვიფრებღღია ღღიან დაიღეს ზუსტი და ნაზი
მოძრაობა, რიტმის საუკეთესო გრძნობა და არტისტული
ტემპერამენტი. უკვე რეპეტიციაზე გამოვღღინდა მისი
უხაკლო ტენიკა, არაჩვეუღღბრივი სიმღღუღე. მასში ორ-
განუღღად ეთანხმება ერთმანეთს მომზიბღღავი უშუაღღობა,
ქალღღობა, სწრაფი რეპეტიცია და ზუნეღღობა. მის მოძ-
რაობებში არის რაღღაც ფრანგების მიმიკის პლასტიკური-
ბიღღან და მარსელ მარსოს სკოლიდან მომღღინარე. მის შეს-
რუღღებაში მეტყვეღღებს არა მარტო პაღღები და პირუღღები,
არამედ პლასტიკური ფიგურები „ადიღღზე“; ამ ღღროს
არაჩვეუღღბრივ გამომეტყვეღღია თვითღღული კუნთის მოძ-
რაობა, თვითღღული მოზრუნება ფეხისა, უკან და გვერღღზე
გაღღანბრა, თითქმის ტანს გასწვრივ აწვეღღი ფეხი.

ეს არ იყო ჩვეუღღბრივი რეპეტიცია. მსახიობებს თი-
თქმის არ დასჭირღღათ შთაგმეღღელი. განსაკუთრებით ნათე-
ღღი იყო ღღიან დაიღეს იმპულსიერი და ცოცხალი ენა. იგი

სცენა ბალეტადან „ციხელი“





ლიან დაიდ, მიშელ რენო და ვახტანგ ჭაბუკიანი
ქიზლის სივების სცენა ლიან დაიდ — ქიზელი



უცბე შეაწყვეტინებდა ორკესტრს, მიუხედავად დებოდა რამასა და მიმართავდა დირიჟორს: „მაესტრო, ცოტა ნელა, თუ შეიძლება...“ და მისი ხელის ნარნარი მოძრაობა თავისთავად შეტყვევებდა. მაესტრო ღიმილით ემორჩილებოდა. როდესაც ორკესტრი შესრულებდა მის თხოვნას, იგი გამყოფი იტყუოდა ხოლმე: „ტრე ბიენ. კარაშო! სასიბო!“

„ქიზელი“

და აი, „ქიზელიც“! თეატრი ხალხითა გაქვდილი. დღანან კელდების გასწვრივ, გასასვლელებში, იარუსებზე, თითქოს გრძნობ მთელი ამ ხალხის ერთ ძლიერ სუნთქვას.

ფრანგმა მსახიობებმა გვიჩვენეს ნათფი, მოფიქრებული, დინამური და მხატვრულად გააზრებული შესრულება, რომლის ყოველი დეტალი ერთ მთავარ მიზანს ემსახურებოდა. პირველ აქტში მათ შესანიშნავად შეგვიყვანეს პიქმედებაში, შექმნეს მთლიანი ატმოსფერო და საინტერესოდ გამოძიქრეს მოქმედ პირობა ხასიათები.

მეორე მოქმედებაში სტუმრების შესრულება მაყურებელს იზიდავდა როგორც ნათელ სიცოცხლით სავსე სცენებში, ასევე ღრმა დრამატულ და ტრაგიკულ ეპიზოდებში. მათი ხელოვნების მიზნადეული ძალა ისეთი იყო, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს წარმოდგენა გრძელდებოდა სულ რაღაც ნახევარ საათს.

ლიან დაიდემ და მიშელ რენომ შესძლეს გადაეყვანათ ნათელი, ამაღლებული სიყვარულის მშვენიერ სამყაროში.

„ალბერტისა და ქიზელის შეხვედრის სცენაში“ გაბატონებულია ვამპვირვალე აკვარტლის ტონები. მათი პირველი სიყვარულის გამომხატველ მოძრაობაში ბევრი სიფაქიზე, ღრმა ადამიანური სიბოლო და სინაზა. ლიან დაიდ ფეხის წვერებზე მსუბუქად და გრაციოზულად სჭრის მთელ სცენას და როგორც თოვლის ფიფქი, ისე ტრიალებს შუა სცენაზე.

მეორე მოქმედებაში დაიდემ გამოდის მაყურებლის წინაშე, როგორც მარმარილოს ქანდაკება. მკაცრი, სდა თმის ვარცხნილობა, თოვლივით თეთრი კაბა კარგად ეხამება მის პროპორციულად ავებულ ტანს.

როდესაც ბალეტის თაგადან ჩამოუყარებდა თხელი ზადე, იგი ერთხანს კიდევ დგას გაუნძრევლად. შემდეგ მუსიკის ტაქტს მოყვება პირუტყვის გრიკალი. ფეხისგულიდან თითის წვერებზე გადასვლა არჩვეულებრივად მსუბუქი და მკაფიოა. ლ. დაიდეს იშვიათმა მოქნილობამ საყოველთაო აღტაცება გამოიწვია, იმდენი სინაზე, პოეზია და სილამაზეა მის მოძრაობაში.

დუეტებში რენოს მშვიდი და მამაკაცური მოძრაობები, მისი შესანიშნავი მოქნილობა გამოყოფდა და ხაზს უსვამდა დაიდეს ქალურ სინარარესს.

ბალეტი „ქიზელი“ ფრანგი მსახიობების შესრულებით უშუალოდისა და სიხალისის შთაბეჭდილებას ახდენს.

ლიან დაიდესა და მიშელ რენოზე წერა შეიძლება დაუღალავად, ხოლო მათი ყურება — შეუღარებელი სიტკბოებაა.



ქუთაისის თეატრის გასტროლები თბილისში



ვიძლება იშვიათად იყოს თეატრი, რომელსაც ისეთი რომანტიკული და ცოცხალი ლეგენდებით საუკუნო ისტორია ჰქონდეს, როგორც ქუთაისის თეატრი აქვს. თანამედროვეთა მესხობა რბაში კვლავ მძაფრად გაიღვივებს ხოლმე ამ თეატრის საუკეთესო საექტაკლეების მოიჯობა და აგრეთვე ჭეშმარიტი თავდღობა იმ ადამიანების, რომლებსაც დღეს ქართული თეატრის პანთეონში საპატიო ადგილი უჭირავთ. ამჟამინდელ ქართულ თეატრშიც ბრწყინავენ კ. მარჯანიშვილისეული ქართულის სცენის უკანასკნელი მოპიკანები და მოგაგონებენ ჩვენი წარსული კულტურის დღევანდელ დღებს.

ქუთაისის თეატრების გასტროლები ჩვენს დღევანდელ ქუთაისში გამომავლობას პოლონობს და უდავლ აზრთა საინტერესო გაცვლა-გაძივლის საგნად იქცევიან ხოლმე. ამასდა ეს ინტერესი კიდევ უფრო განცხადებული იყო. ქუთაისის თეატრის უკვე ორი წელია, რაც სათავეში უდგას ქართული სცენის სახელმძღვანელო ოსტატი აკაკი ვასაძე.

უპირველესი, რაც შეინიშნება ამ თეატრის მუშაობაში, ეს არის მისწრაფება ქართულად ორიგინალური რეპერტუარის შექმნასა. თეატრი როდი ახლოდება ამას, თუ როდის ან სა დაიდგმება ესა თუ ის ახალი პიესა, რა შეფასებას მიიღებს იგი, ერთი სიტყვით, როდის გაივლის ყველა იმ „განსაზღვრავს“, რომლის შემდეგაც პიესა „აპრობირებული“ ხდება. ქუთაისის თეატრის ხელმძღვანელობა თამამად დგამს ქართულ დრამატურგთა ახალ პიესებს. ასე გამოჩნდა მის სცენაზე ს. მანიაშვილის „არსენა“, კ. ლორთქიფანიძის, ა. ვასიასის და ლ. სანიკიძის მიერ ინსცენირებული „კოლხეთის ცისკარი“, ოთ. ჩიჯავაძის „ნისუნელა“, დ. თაქაიშვილის „შემოხრებვა“. ამას თუ დავუმატებთ, რომ თეატრის განხორციელებული აქვს ვაჟა-ფშაველას „მოკვთილი“, პ. კაკაბაძის „სუკრყვარე თუთაბერი“, ხათუნა იქნება, რომ თეატრის საცენო აქვს შეტანილი ერთგული დრამატურგიის მნიშვნელობა და აგრეთვე ის უცილობელი ჭეშმარიტება, რომ პირველ რიგში თუ თვით თეატრი არ გამოვა ახალი პიესების მხარდამჭერად, ისე ეს დარჯილიტურებისა ვერ მიაღწევს სათანადო მხატვრულ სიმაღლეებს.

თეატრის საავსტროლო რეპერტუარი მრავალმხრივ იყო საინტერესო. უპირველესად აქ შეინიშნებოდა ქართული მრავალფეროვნება, რამაც თეატრის საშუალება მისცა თავის ინტერესების სიფართოვე და მნიშვნელობა ეჩვენებინა. აქ მთავარი ის არის, რომ ამ წაწარმოება ქართულ სხვადასხვაობას თან ერთვოდა სტალიონური სხვაობანიც. რეკლამულ ტრავედიასთან ერთად ჩვენ ვხიზოვთ ტრავედიკულ გზნებადელ ასული ქართული დრამა, მაღალი კომედიის ვეგეტირთ ყოფითი კომედიის და სამჭოთა ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა პერიოდისა და სოციალური ცვლილებების ამსახველი დრამები.

მარცა საავსტროლო რეპერტუარის მხოლოდ ამ სტილისტურ მრავალფეროვნებაში არ არის საქმე. თავი და თავი ისაა, თუ რა იდეური მიზანსწრაფვა ამირატების თეატრის, რა საზოგადოებრივი, საკითხები აწუხებს მას, და ხოლოს, როგორი მოქალაქეობრივი პათოსი განასაზღვრავს ყოველივე ამას.

ორი დრამა მისასაღმებელი მომენტის შექმნება ამ თეატრის მუშაობაში. პირველი ის, რომ ამჟამაა მილიანად დანის კულტურული ღონის ზრდა. საექტაკლების კულტურა სასურთო ვაჟში უფრო ახალ, შედარებით მაღალ საფეხურს მიაღწია, ხოლო მსახიობები პროფესიული ტექნიკის დახეწვის სწორ გზას ადგანან. მეორე.—თეატრის სამ.

ხატვრი ხელმძღვანელობის ერთობ მისასაღმებელი და თვალსაჩინო ტუნდენცია ახალგაზრდა ძალოებისადმი დიდ ნდობაში მდგომარეობს. ეტყობა, თეატრის რეჟისორ გულ-მოღვივებ მუშაობის ახალგაზრდა მსახიობთან. მზრუნველად ზრდის მათ, აწინაურებს მათგარ როლებზე, გამოიყვანს აქტიური უმომქმელების ფართო ასპარეზზე. ასე გაიცნო თბილისელმა მაყურებელმა მანამდე მისთვის თითქმის უცნობი ახალგაზრდა მსახიობები ერ. სვანაძე, გ. ლახისვილი, ირ. ბალიანი, თ. ლახისვილი, ნ. წიკლაური, ც. ბერიძე, ე. დალიანი, ც. ოთიაშვილი, ლ. ვაშაკიძე და სხვ.

* * *


ქუთაისის თეატრმა გასტროლები კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარის“ წარმოდგენით დაიწყო. ამ ცნობილი რომანის გასცენოვების იდეა პირველად ამ თეატრში დაიბადა და აქვე განახორციელა კიდევ აკაკი ვასაძემ. თეატრი დაინტერესა რომანის ჩინებულად დასატრუმება ხასიათებმა, მისმა პრობლემატიკამ, ჭეშმინებმა და იმ მომხმარებელმა იმერულმა კოლორიტმა, რომლის განცდა და გადმოცემა არავის იცოდა ოსტატურად არ ეხერხება, როგორც ქუთაისელ მსახიობებს. მართლაც, ისინი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავისუფლად, თითქმის არც კი მიზართანვე რაიმე აქტიური ხერხებს, ის ქმნიან იმერული გულებების მართლ ხასიათებს.

მარცამ საექტაკლოში არ იგრძნობა ამ კოლორიტით ვატყავა, მხოლოდ მით არ იქმნება საექტაკლის საერთო სურათი. რეჟისორის უპირველესი მიზანი იყო ეჩვენებინა ის მძაფრი სოციალური კონფლიქტები, რომელთა ვითარებაში ცხოვრობდა ოცდაათანი წლების ჩვენი სოფელი, ახლის დაქვიზობისათვის ბრძოლის სინდულ და ბეჩევიკის განთავისუფლება შემოკრავი შუხუდულულობისაგან, მასში რამდენიურ ღირსებების ვატყავა. რეჟისორს ძირითადი იდეური მახეილი ვატატანილი აქვს სა სცენაზე...

...ეჭვობა მეულ დამეს უქეფიათ ერთი პირტახისა (მსახიობი გ. ვეენცამე) ტუნდენცია. გულვადილი, ღვიწის უზომო მისაგან დამძიმებული მოქიეფნი მაგელას უუქერივოდ უსხანად, სიღრმეში, აივინს მოაჯირზე ვილაც ყვეინაბეს... და ხელწლდა. დილისბირად, კვლავ ცოცხლდებდა, ახლდებდა სუფრა (აქ რეჟისორი ვეპლევს ჯგუფურ პორტრეტს იმ ადამიანებისა, რომლებიც ახალ ცხოვრებას აღორკობან წინ). ავერ ბარანსა სავეინდიქი (მსახიობი შ. პირველი), — ძლიერი ნებისყოფის, თავგანაძე ვაუტეტული კულაქი; ხათუნა (მსახიობი ერ. სვანაძე) თავისი ამღსონებით; ტუჩა დარზიანი (მსახიობი გ. მეგელიშვილი), რომელიც ღონის ეტანება „მტრის უკეთ ვაცნობის“ მიზნი, მაუზურს ატირალებს და ზორხობებს, როცა დამ-ფრთხალ სახეებს ხედავს; ერემო პირტახია — მიკიტანი და „საქმის ჩამწეველი“ და იქვე საცოვადე, სუფრაზე სა-მალდოდ მოქეფული დახუდარა; ბეჩევიკი მექი, რომელიც დაზნეული შესცევის სტუმრებს. ამ სცენის შემდეგ ჩვენ ეგრძობობთ, თუ რა შიშს შეუყრითათ სოფლის ბნელი ძაღვი, რატომ ცილოდებენ ვაგრობანებს და აღმასკობის თვე-შვილოდის ტუჩა დარზიანის ვაღმობობებს.

მეორე, ნამდვილი ქართული ოპორტი — გამსტროლი და მნიშვნელოვანი აზრის შექვეყლი სცენა — ეს არის ანტიკლ „კოლხეთის ცისკარის“ წვერთა პირველი სხდომისა და უსხანების მიღების ეპიზოდი. იმერული გულების ცოცხალი, სახასიათო სახეები შექმნეს აქ თეატრის მსახიობებს: სა-ხიერად რომ წარმოვიდგინოთ, თითქმის ყველა ისინი ერთ

2067



ისეთი მაღალი კომედი, როგორც ბ. კაკაბაძის „ყვარ-
ყვარი თუთიაში“. მოითხოვს გამოსახვის სხვა ხერხებს,
ვიღერ ყოფილი კომედი. კომედიაში ყოფილი ელემენტები
უფრო მეტად კონკრეტული არის შემცველები არიან. მა-
ღალ კომედიაში კი მსახიობი და რეჟისორი უნდა ექმდ-
ნენ იმავე ცოცხალ, კონკრეტულ დეტალებს ყოფილი
მეურნეობისადაც საკმაოდ განწმენილს, რომლებიც
ჩვენში აღძვრულ მნიშვნელობას არის, გამოიყურებენ ფართო
სასურებას. ამგვარი დეტალები არც მტკავრულებს
უნდა იყვნენ მოკლებული. სპექტაკლის (რეჟისორი ოთ.
ალექსიშვილი) მთავარი როლის შემსრულებლს აკვი-
რებას, როგორც ჩანს სურდა დეტალური ყვარვერს გან-
ზოგადებული სახე, მიეცა მისთვის პოლიტიკური და
საზოგადოებრივი მნიშვნელობა და გაერთიანებულია იგი
იმი მანერისაგან, რომელიც ყვარვერს ვიწება-
ჩლუფ ადამიანად წარმოგვიდგენს. მაგარა რაოდენსაც არ
უნდა ეცადოს მსახიობი როლის განზოგადებას, თუ როლი
კონკრეტული, ცოცხალი, მახვილონიერული დეტალებისა-
გან არ არის მოქსოვილი, განზოგადებული სახე არ შეიქმ-
ნება. ყოფილი სხვა, მთუმრებე, კომედური სახე, უწყვეტი
დეტალები, კონკრეტული შტრიხები, სახიერ მიჯნე-
ბით უნდა ცოცხლობდეს. ისე მაყურებელი არ ირწმუნებ-
სასათვის ნამდვილობას, განზოგადების მომენტს თავისთა-
ვად, ერთბაშად არ დგება. იგი იბადება ცოცხალი მხატვრუ-
ლი ქსოვილიდან და ვერავითარი წინასწარ არჩეული
ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ტენდენციამ მას ვერ
აქცევს მხატვრული სახე, და რომ ამგვარი მხატვრული
არჩევნება საერთოდ დაშახსათებელია აქ. ვასანთაივის,
ეს ჩვენთვის მრავალგზისა ცნობილი და აქ, ამ სპექტაკლ-
ში ერთხელ კიდევ გამოიხატება — მეორე მოქმედების და-
სასრულს, როცა ყვარვერე საილაშო მუშაბის მუშაების
წინაშე მაგალაზე შეშდგარი იწყებს სიტყვას, თანდათან
ექტატაში შედის, სიტყვებს ქაოსურად ურევი ერთბაშად
და ამ კიბიდან ჯერ ბუნდოვანად, შემდეგ ნათლად გა-
მოიყოფა „მარსელიონა“, რომელსაც მსახიობი ვურულ
ყარადუ მღერის. აი, ამგვარ დეტალებში ჩანს ყვარვერე,
მისი საოცარი უნარი ფერისცვალების, აღწევის, მისი
„ქება სისულელების“.

რეჟისორის დამახურება კაკუტსა და ქუქარას
სწორი გააზრება. ამ სახეებს მშვენიერად თამაშობენ
ვ. გვერცაძე და ი. ხეიანი. მათი სიმეჩაფე, სივარჯალზე
„ამრობის გომბივითი“ ყვარვერესადმი ერთგულება,
შემდებ ამ იდუალის მიმართ გულგარეუბა სიტყვით
ერთად ჩვენში რაღაც სვედას იწყებს, ყლბი იცადის,
ილუზიების რწმენა მათ საცდელ არსებობას რაღაც გა-
მართობას აძლევდა. სწორედ ამან იძია შემდგომ მათზე
შეკრა.

ყვარვერეს მეორე შემსრულებელი კ. აბესაძე ძალზე
უბრალოდ თამაშობს ამ როულ სახეს. ყოვლად მიუტყვე-
ბელია ისეთი გამოცდილი მსახიობისათვის, როგორც
კ. აბესაძეა. ბ. კაკაბაძის შესანიშნავი სიტყვის დამახინ-
ჯება და მისი „გამდიდრება“ საკუთარი ლეკსიით, უადვი-
ლო შემახილებით.

ოთ. ალექსიშვილის მიერ დადგმულ ამ სპექტაკლში
მეორხარისონიანი პერისონაჟები საკმაო ვულგოციანიები
არის დაშუშებული. ეს არის მოლაყბე ინტელიგენტი
ტიტ ნაჭტარია (მსახიობი შ. ხაჯალია), ბელიოზიტი,
გაუწყული ატორიტეტი — რწმუნებული (მსახიობი
შ. პირველი), მიშისაგან წამბდარი, აკანკალებული მწერა-
ლი (მსახიობი ვ. ლასნიშვილი), რომელიც სწრაფად იცვ-
ლება, როცა შეიტყობს რევოლუცია მიზნად და ნიღბ იცვ-
ლის, ფურე გენერალი (მსახიობი ალ. ჩიქენიძე), უზანო-
ზარი სოციალური ძვრებისაგან გაღარკული და ენაზა-
ვარდნილი ჯარისკაცი (მსახიობი შ. ცინაშვილი), კოლრი-
ტული ლირსა (მსახიობები თ. კიკნაძე და ნ. წინასწდარია).

არც ერთი დრამატული ნაწარმოები არ იძლევა მსა-
ხიობისა და თეატრის შესაძლებლობათა გამოყენების ისეთ

დიდ საშუალებებს, როგორც ტრაგედია, განსაკუთრებით
შექსპირის ტრაგედია, რომელიც დიდ ენებიანობას და
განებას მოითხოვს. შექსპირის ქარიშხლიანი, განწორული
ენებებით შეპყრობილი გმირები, რომლებიც არაჩვეულ-
ბრვი მისწრუფებებით თავიანთ დასასრულს იხსლოვებენ
(აქ მნიშვნელობა არა აქვს დადებით თუ უარყოფითი მის-
წრუფებით ამირაგებთ მათ), მოითხოვენ განსაკუთრებულ
ადამაღლებლას, ცესტვორანებას და ვანცის ტრაგედიკულ
სიძლიერეს. ქუთაისის თეატრის რეპერტუარში შექსპირის
„ოტელო“ ძირითადად რუსთაველის თეატრის სპექტაკლის
ინტერპრეტაციას იმეორებს, მხოლოდ უფრო შემწიდრო-
ვებული და შეკრული სახით. სპექტაკლის მხატვრობაც
(ი. ატრაბიძის) ასევე ლაყონურ და სავა ფორმებშია
გადაწყვეტილი.

აქ არ შეიძლება საკანგებოდ არ აღენიშნოთ ქუთაისის
თეატრის ანსამბლი ორი სახელმწიფოებრივი მსახიობის
აყ. ხორავასა და აყ. ვასაძის განსოვლად ოტელოსა და იაგოს
როლებში. ამ სადამის ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით,
თუ რა ძალის მსახიობები ჰყავს ქართულ თეატრს, თუ
როგორ არ კარავას მათ მიერ გამოხლები საკუთარი წინათ
შექმნილი როლები პირავანდელი ტრაგედიული ზემოქმე-
დების ხილველებს.

გულისტკიოვით უნდა აღენიშნოთ, რომ ოტელოს
და იაგოს როლებში შემსრულებელი მსახიობებს აკლიათ
ქემმარიტი ტრაგედიული პათოსი — ვ. მერველიძის
ადამიანის დიდუფული სულის და სიწყინდის და მ-
პ კ ე რ ე ბ ე ს. შ. ხაჯალიას კი ყოველივე ამდღე-
ბელის, კეიღობობურის უ ა რ ყ ო ფ ს პათოსი,
ორივენი თამაშობენ შემცირებულ მასშტაბში, რის გამოც
ტრაგედია ჰკარავს შექსპირულ განზოგადებას. მაგარამ
ამ გმირების როული, ფსიქოლოგიური ნიუანსებით სავსე
გაზეზ ზოგჯერ მსახიობები ბ ო უ ლ ო ბ ე ნ მ რ თ-
ე ა ლ მ ხ ა ტ გ რ უ ლ ფ რ ა ბ ლ ს. ასეთია ვ. მერველე-
დი, მოთუნივანის ჩასახვის სცენაში, როცა იგი გვიჩვენ-
ებს, რომ ოტელოს ბავშვური გულუბრყვილობა და სიწ-
ვინადე დიდი სიმტკიცით და შეუვალლობით გამოირჩევა, რომ
მიუხედავად ეჭვიანობის ქარიშხლის საშინელი ქროლისა,
იგი მაინც ირწმუნებოდა მეშაბობებს, და თუმც მის
ბუნებას ნაზნაზს იხილი ყაფიერება, მასში მაინც კვლავ
ახალის ძალით გამოხატობებს ხოლმე რწმენა, რათა გვირ-
ვენის ამ ადამიანის შინაგანი საყაროს სიწყინდე და უშე-
ვლობა. შ. ხაჯალიას ერთი რამა აქვს კარგად შენიშნული.
მისი იაგო თითქოს რაიმე წინასწარი ბოროტი ჩახაჭმული
ვან. მოქმედების რაიმე კონკრეტული გეგმისაგან არის თა-
ვისსოვლი და იქვე სცენაზე იბადება მასში ახალი ფსი-
ქოლოგიური განწყობაინი, იგი ვინცა ოტელოსი, სხვაჯ
მაგრი, მაგარამ რა მომობქმედის, მერა გეგმობიების მის
წინასაშდებ, — ეს გურე კიდევ არ იცის! და აი, სენატელ
ვანისის ბრანავციოს აუბლიბილი სიტყვა — „მამას უფოხ-
ლა, და უფირბილი შენიც ამ იკოხობლის“. ეს სიტყვები
უფრო დიდ გავლენას ახდენენ გიუმურზე, ვიდრე ოტელოზე.
იგი გველენაბინივით შეკრება, ადგენება, როგორც
შინაგად შეწყირაობდება და რომ თავი არ გასცეს, ხელებს
წვიფოვლად იმტვრებს. ოტელოს წინასაშდებ სამოქმედო
გეგმის პირველი მარეკალი დავცა მის სულს. მამასადაშე
მას შეუძლია დღეობობა გამოიყენოს ოტელოს გასანად-
გურებლად. — სწორედ დღეობობა, ოტელოსთვის უსაზო-
ვროდ ძვირფასი და საყვარელი, რომელსაც ბრანავციომ
ქვის პირველი მახვილი მოუღერა. ასევე კარავა აქვს
მოთქმებულო მსახიობის სცენა გასიის მახვილ გამბისა,
მაგარამ ეს არის ცალკეული მომენტი, — ყველაფერი ამას
აკლია, ვიმეორებ, ტრაგედიული სიძლიერე. ორივე მსახიობი
თითქოს მამურ, ყოფილი დრამას თამაშობენ, ყოფილი დრამ-
მას მისთვის დამახასიათებელი კონკრეტულობით, გნებათა
განსაზღვრულობით, რაც აგრე რიგად უცხოთა შექსპირის
დრამატურებისათვის.

დღეობობის როული ქ. კოხმედიძემ საკმაო ლირიზმი
და უშეძლობა გამოაჩინა. სიყარკრის ამდაღებელი და კე-
იღობობილი ძალა მას იმეგარ მომზიბეულობას და გან-



საკუთრებულობას ანიჭებს, რომ ეგვიპტოსის „მწვანეთობებზე“ სამინილების ვალიდებზე ოტტოლოში კიდევ უფრო ზრდის დღეგრძობას რწმუნის რააკე დფარყოლი, მიუწვდომელი საკითხის და გონიერების მიმართ. ნ. სალარაძის რბილ მანერაში მიჰყავს ემილიის როლი და თითქოს მიზანადაც იყო მოსალოდნელი ის სიძლიერე და შემართება, რაც უსახსნელ სცენაში გამოვლინდა. პატარა ხასხასათო როლებში ყოველთვის პოულობს გ. ლახინელი დამახასიათებელ დეტალებს, ასე იყო ამჯერადაც, როცა მან როლდერეოს, ამ სუსტე ნებისყოფისა და მსუბუქე ვენიანობისა ყუსილი კაცი პორტრეტი გამოკვეთა. ერ. სვანიძე ასეილი როლი საცხები საპაროლიანად უსვამს ხახს მის რაინდულ კეთილშინილობას, ვერცხეებს, რომ ზედისა და სატანის მიერ მიყენებულმა ვეერადლმა დარტყმებმა მასში ვერ დარჩილეს ვაკაცურე ღრისებანი.



თბილისელები განსაკუთრებით მოუთმენლობით ელოდნენ ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილის“ წარმოდგენას. მას შემდეგ, რაც მარჯანიშვილის თეატრმა გვიჩვენა თავისი შესანიშნავი სპექტაკლი „მოკვეთილი“, ხოლო რუსთაველის თეატრმა ვაჟას „ნახტორნის“ მოტყეუბზე შექმნილი ამაღლებული და დიდი მნიშვნელობის სპექტაკლი, ჩვენმა მაყურებლის ინტერესი ვაჟას სამყაროს მიმართ ერთბაშად გაქცოვიდა.

სპექტაკლის დამდებელი ავ. ვასაძე ერთგულად მიჰყვება ვაჟას ტექსტს და ყოველ მნიშვნელოვან სცენას აბეშავებს გულმოდგინედ, დეტალურადაც კი, რომ ნაწარმოების სიმაძაქრე სპატიო ძალით გამოავლინოს, ამ საქმეში პირველი, ვინც ხას მხარში უდგას, — ეს მხატვარი ფ. ლაბიაშვილია. რააკის მოლოდინით, სიმკაცრით და დიდებულებით სუნუნა ეს სპექტაკლის რაღდენიბი სცენა. სირცხვიში ძალზე ევეჭვებოდა არის აღმოჩენილი კოშკი, რომლის მკვეთრი, ტიხლი სირცხვიზე კიდევ უფრო გამოიკვეთვნი მთის სულის ამაღლებულობის, მის თავისუფლებას ყოველდღიური ბუნებისაგან. ეს კოშკი თითქოს განსაკმეყვითი დგას თავის ფიჭვში წაუხლო და მის აივანზე ავ. ვასაძე აყენებს ჩონთას დღას მოქიანის (შახიობი თ. დღინიაშვილი). იგი ანალოგიაზე, კომპლექს გავსებული სირცხვი, მდლდარე წინათგანმობით აღსადეს. მისი ხეილი სახე ამ მუდმივ მოლოდინს გაუმკაცრებს — იგი გამოკვეთილი და ჩამოშლილია. მასაობი მკაცრ, ძუნჭ ვიგრაფიის მიმართავს, — მიუსვლავ ხანდაზმულობისა, იგი მაგარი ქალია, რომელიცაც აცოცხლებს ორი რამ: ჭუნუვა თავისი ვაკაცური შეილის ზედმეტე სიჩაუქის გამო და სიამაყე, რომ ჩონთა ვაშეკლებს ვაკაცობის სიმბოლოდ მიუჩნეობა. რეკისორი ფსიქოლოგიურად აზნადებს სცენებს, რომ ჩვენს წინ მდლდარე, მძაფრი სურათები გადაიშლის. უშაბარესი სიმაძაქრე ამ ნაწარმოებისა და ძალა ვაჟას ვენიალობისა, რითაც იგი ძველი ანტიკორ ტრაგედის მოტივებს უახლოვდება, ეს არის ორი მართალი ხასისათე შეჯახება. მთელი ნაწარმოების არსი იმაში მდგომარეობს, რომ უშაბარეს საკითხში ორივენი, — ბაბაც და ჩონთავე საკუთარი თავის ვინაში მართლები არიან, მაგარამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი შინაგან ტრაგიულ ვინაღმდეგობებს მოკლებულნი იყვნენ. ჩონთას აწვალებს იმის შეგნება, რომ იგი ბაბას ვინაზე დამნაშავეა, რაგან ბაბას „ხეღდაღებული“ ქალი მოიყვანა, მაგარამ სწამს, რომ მართალიანად სჯის ბაბას, როგორც ქვეყნის მოღალატეს. ხოლო ბაბას ის აწვალებს, რომ უსახსნე ნენებს აჰყავ და უნებლიე სამშობლოს მოღალატედ იქცა. თუმცა ბაბა ფშავეს ხევის მიღალატ არ არის („მე მარტო ჩონთას მტერი ვარ“) სუბტიტულად, მაგარამ ყველაფერი ამის საწინააღმდეგობის ანტიკიქებს. ამგვარად, ეს ორი ადამიანი შინაგანად მართალი არიან და მათი დარბორისიერების სირთულე და სიმაძაქრე სურათე ამაში მდგომარეობს, ჩონთას და ბაბას როლების შემსრულებლებს ე. მგერელიშვილს და გ. ნაცვლიშვილს არ აკლათ ამ შინაგანი სამართლიანობის, ასევე შინაგანი წინააღმდეგობის განცდა.

კარგი სცენა გულქანთან, სადაც ე. მგერელიშვილი

თავისი გმირის დიდ ადამიანურ სიტობის და უშუალოდ ავლენს. მისი გოლიათური ტანი თურმე ბავშვურე, მარამ ბეჭდავ სულის მატარებელი ყოფილა. ეს არის ერთ-ერთი შესანიშნავი მტრები ამ როლის შესრულებში.

შემდგომე, ძლიერი სახე, ასევე ძლიერი, თუმცა ნიუანსირებას მოკლებული ხმა აქვს ბაბას როლის შემსრულებელს გ. ნაცვლიშვილს. ტრაგიკულობის რააკე ბეჭედი ატყია მის იერს, მაგარამ იგი უშაბარესად ერთ ნენას — ჩონთას მიმართ სიძულვილითა და მტრობის ნენებს წარმოგვიდგინებს, რაკ ამ ხასისათე სირთულეს და მრავალფეროვნებას არ გულისხმობს. ძლიერად ატარებს მასაობი თავის მიოკლის ცდას, როცა იგი ცალი ხელით ხანჯავს ჩაბრტობს მიწაში და როგორც სალოცავ ხატს ისე მიმართავს, თითქოს თავდავიწყებულ ლოცვისაგან ექსტაზში შესული.

სპექტაკლი ერთადერთი ტრაგიკული ფიგურა მ. გულაშვილის ჯავარია. ეს არის დასრულებული ხასითი მძღარე ნებისყოფის, მოტივებული, ამაყი და თავის მიწა-წყალზე უსახლოდ შეყვარებული ადამიანისა. შესანიშნავად აქვს მიზეზებული მასაობის ჯავარამი ტრაგიკულობის გრძობის ზრდა. ჯერ იგი დამწუხარებულია შეილის სიგლახით, რომ შეჯავს ვერ იყარა მტრზე (ფშაველი ლექსი ამბობს — „ჯავრის ვერ ამოღებულა, მამ რალა ვაკაცური არს“), შემდეგ როცა იგი ხატობაზე მოდის და ხევისხორი არ ღებულობს მის შესაწირავს, იგი ხედება შეილის უშიშეს დანაშაულს და კიდევ უფრო მუდებდა ტრაგიკული ფიგური მის სახეზე, ხოლო საბოლოოდ, უკანასკნელი ტქვილი, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს მასზე, — ეს სამშობლოსკან მძღარე, რამდენი მწუხარებაა მის სიტყვებში, როცა იგი სამშობლოზე და მამაპაპათა არღილებზე მოსთქვამს.

უკვე აღვინიშნო, რომ ავ. ვასაძე გულმოდგინედ ამუშავებს სცენებს ნაწარმოების სიმაძაქრის გამოსაყვინებლად. ეს სცენები უშაბარესად მრავალფეროვან ქურთაობაზეა აგებული. მეორე სურათში, როცა დამწუხარებული მოქიანის ვაჟს ელოდება, შემოდინან ვიგრაფ და იყვან (ამ ჩოლეს ძალიან ცოცხლად, მსუბუქად და ვაჟას იუმორის ჩინებულ გრძობით თანამშობინ ირ. ბალიაშვილი და შ. ხავალია). იმართება ვარსული სცენა ტრაგიკული მუსიკის ფონზე (გვერდზე, მუხომლად, მკვდარს დასტარება და ისმის გლოვის ზარი—საღაბობელი). ეს კონტრასტული ხერხი კიდევ უფრო აქვს გამახვილებული რეკისორის ხატობის სცენაში, როცა მხიარულ სურათებს სცელების ამაღლებული, დიდებული რიტუალი ლაშარის დრომის თავყინისცემისა, ჯავარას განკიცხვა (რეკისორის შესანიშნავი მიგნება, რომ გახლებლად იანვარა — ე. გვერცამე დამჯდარი უყვირის მაგედრებულ ჯავარას) და ბაბას მოკვეთა.



ჩვენ საკანებულ ვენად შეგვჩერებთ თანამედროვეთა ამასხებელ სპექტაკლებზე უპირველესად უნდა აღვინიშნოს, რომ სამივე ბიესა — ოთ. ჩიჯავაძის „თხუდილი“, და თაქიაშვილის „შემობრუნება“ და ნ. ვირტას „თღალწუდანი სიკვცები“, ქართული თეატრის სცენაზე პირველად ქუთაისში დაიდგა. ეს ადასტურებს თუ რაოდენ შემუშავებული თაოსნობის იჩენს თეატრის ხელოვნებლობა, თუ პრინციპაღმდგარ როგორ სწორ პოზიციაზე დგას იგი. ქუთაისშიაღმდგამ ნათლად უჩვენებს ჩვენს მრავალ თეატრს თანამედროვე თეისაში ნამდვილი ერთგულება. ცხადია, ყველა ეს ნაწარმოები როლია თანამართ მხატვრული სიძლიერის, მაგარამ სწორედ იმართეა თეატრის ძალა, რომ ზეერი კარგე არს ამბოსალა, მოლიტიკურად და სასულდაღობებივად გაამახვილა ამ ნაწარმოებში.

ოთ. ჩიჯავაძის „თხუდილი“ სატრიული კომედია და ეს უკვე გულისხმობს, რომ ავტორი პიპერბოლოურ, მკვეთრ ფერებს მიმართავს უარყოფითი ხასიათების გამოსახვებებს. მართლაც, ეს ასეა. კონფლიქტის ჩასახების მიზნე თავისთავად კომედიურია და შევეფერება სატრიულ ტანს. ასეთივე საღებავებით არის დახატული ამ გაუგებრობაზე



ქუთაისის ლ. შესხვივის სახ. თეატრის გასტროლების საზემო გახსნა ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში



რესპ. დამს. არტისტი შ. ხაჯილია ივანეს როლში ←

ნ. წიკლაური შალვას როლში →



რესპ. დამს. არტისტი გრ. ნაცელიშვილი ხახის როლში →



რესპ. დამს. არტისტი თ. ღვინიაშვილი მოჭრისის როლში და კ. კოლხიძელი მზევინარის როლში

„მ
ო
კ
ვ
ე
თ
ი
წ
ი“

მაყურებელთა დარბაზი ქუთაისის თეატრის სპექტაკლზე



← რესპ. დამს. არტისტი შ. პირველი უშიშის როლში





მეყურებელი დარბაზში



სანდრო ჭორიძე — იმ, ხეიია („თხუნელა“)

სცენა სპექტაკლიდან
„უვარუვარე თუთაბერი“ —>



← ქუჩარია — იმ, ხეიია („უვარუვარე თუთაბერი“)



კაკუტა — ვ. გენცაძე
(„უვარუვარე თუთაბერი“)



სცენა სპექტაკლიდან „შემობრუნება“ *



მეყურებელი დარბაზში



სსრკ სახ. არტისტი სერგო ზეპარიძე და პოეტი გრიგოლ მამშიძე ერთმანეთს უნარებენ ქუთაისელთა სპექტაკლებიდან შიშველ შთაბეჭდილებას.





სცენა სპექტაკლიდან „თვალწვედნი სივრცეები“
მატრონა ფედოროვინა — მ. გელაშვილი,
პეტრე პოპოვი — გ. ლასნიშვილი
ლუკა ნიკიტინ ასტახოვი — ე. მეგრელიშვილი

კაბია — ე. მეგრელიშვილი
ფხაკუნა — ალ. ჩიქვინიძე
(„შემობრუნება“) →



სცენა სპექტაკლიდან „შემობრუნება“
პასიკო — თ. კონაძე, არდალიონი — შ. ხაჯალია



სცენა სპექტაკლიდან
„კოლხეთის ცისკარი“
თალიკო — თ. ლასნიშვილი
დაბუნდარა — იპ. ხვინია
←



↑
თვარის ფოიეში
← →





ერ სვანაძე კასიოს როლში

ვ. შვერელიშვილი
ოტელოს როლში →



ოტელო — ვ. შვერელიშვილი, იაგო — შ. ხაჯალაია



სცენა სპექტაკლიდან „ოვალუწვედნი სივრცეები“
ვალერია ზორისონა — ნ. საღარაძე, მატეი ზიენა
კოვი — შ. პირველი

← მ. კოლხიძელი დეზდემონას როლში



მეურებელთა დარბაზში



ასეთ კოლორიტულ გლეხებს, რომელთაგან ერთი უშეკველად ენამოსწრებული და ეშმაკია, მეორე მოუხერხებელი, მიმნდობი. მიუხედავად ხასიათთა სხვაობისა, სიტყვიერი კინელაობისა, ისინი განუსყრელი მეგობრები არიან და სოფელიც მათ ასე ერთად აღიქვამს ხოლმე. ერთი სუსტი, ჩამომხმარია, წყრილი ხმით ლაპარაკობს და არ იცის, რა ღრის რა ხიფათს შეგყრის (აფხაჭუნა), მეორე (კაბია) ფერ-ხორცილთა სახე, ხელა, ღინჯად ირეგება, გულგებრყვილი წაშობახილებით სწყვეტს ხოლმე სიტყვას, სანდოთა და უნად სიკეთეს უნდა ელოდებ მისგან, ვიდრე ცუდს. ერთი ზარმადია იმიტიმ, რომ მისუსტებულია და ლაპარაკი უყვარს, მეორე კი იმიტიმ, რომ ზედმეტადაა ღონეზე და მეგობრის საუბრის, მისი „სიბრძნის“ მისმენა სიამოვნებს.

ეს სპექტაკლი მოწმობს, იმას, თუ რა შეუძლიათ მსახიობებს, როცა ისინი თავიანთი ნიჭის შესაფერ საქმეს აკეთებენ. სპექტაკლში კარგად გამოდიან აგრეთვე თ. კიკნაძე, კ. აბესაძე, ერ. სვანაძე, ც. ოთიაშვილი, ეკ. დადიანი.

6. ვირტას „თვალუწვდენ სივრცეებში“ ჩვენი სინამდვილის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის ირგვლივ არის გამახვილებული ყურადღება. მძაფრი ადამიანური განცდებით და დრამატინზით აღსავსე სცენური სიტუაციები, გმირთა რთული შინაგანი სამყარო და უაღრესად დამახული კონფლიქტი მეტად საინტერესო მასალას აძლევდა რეჟისორსაც და მსახიობებსაც მართალი და ამაღლებული სცენური ნაწარმოების შესაქმნელად. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ თეატრი ამ სპექტაკლშიც ერთგული დარჩა აქტიორული განსახიერების იმ რეალისტური ტრადიციებისა, რაც ასე მტკიცედ არის დამყარებული ქუთაისის თეატრში.

ეს შთაბეჭდილება მაყურებელს ექმნება პირველ რიგში მთავარი გმირის — ხიფსიაკოვის შემსრულებლის — შოთა პირველის თამაშით. საკასტროლო რეპერტუარში „შ. პირველი მრავალი საინტერესო მხატვრობის იერსახის შემქმნელად მოგვეცლინა, მაგრამ ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვი, რომ აქტიორული სრულყოფისა და შთაბეჭდვითი განსახიერების თვალსაზრისით მისი ხიფსიაკოვი სხვა რომელზე მაღლა დგას.

მოულოდნელი, მაგრამ განწყობილების ზუსტად შე-

საფერი შტრიხი, ერთი სცენური მდგომარეობიდან მეორეში ბუნებრივი, ლოგიკური გადასვლა, გმირის სტრუქტურული სიღრმის ძალზე ლაკონური, მაგრამ მტკიცე ხერხებით ჩვენება, ემოციური სიმძაფრე და დამაჯერებლობა — ეს ყველაფერი შ. პირველს წარმოკვიდრებს ქართული სცენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, სერიოზულ ძალად.

თავისებური სურპრალიზი იყო თბილისელი მაყურებლისთვის არეუ პოზდნიაკოვის როლში იბოლიტე ხეიჩის გამოხატვა. ჩვენ როგორცდ მივეჩვიეთ ამ მსახიობის ხილვას მკვიდრად სახასიათო, გროტესკამდე მისული კომედიური პლანის როლებში. ამიტომ მისი პოზდნიაკოვი მოულოდნელიც და სასიხარულოც იყო ერთსადაიმევე დრის. პოზდნიაკოვის როლით აქედვ ერთხელ დაგრწმუნდით, თუ რა დიდ და ამოუწურავ კლტორულ შესაძლებლობებს ფლობს იმ. ხეიჩია.

შემსრულებელთაგან აქვე უნდა მოვიხსენიოთ ვ. კოკლაძე (სტრეშნოვი), მ. გულაშვილი (მატრონა), ქ. კოლბელი (ანა რაქინა), შ. ხაჯალია, (აგორი), ვ. მივერელიშვილი (ასტაოვი), ნ. საღარაძე (ხიფსიაკოვის მეუღლე), ნ. წინამძღვარი (მართა) და სხვ.

სპექტაკლი „თვალუწვდენი სივრცეებში“ ქუთაისის თეატრის პირველ რიგში კი მისი დამდგმელის, რეჟისორ ოთარ ალექსიშვილის დიდი გამარჯვებაა. სხვა სპექტაკლებთან შედარებით ყველაზე ნათლად აქ გამოჩნდა ოთ. ალექსიშვილის ნიჭიერება და სერიოზული სცენური კულტურა, ბიესის ლიტერატურულ მასალაზე და აქტიორებთან სწორი მუშაობის ჩინებული უნარი.

ნამდვილი პროფესიონალიზმი, მაღალი აქტიორული ოსტატობა და რეჟისორული ხარის სიმწიფე — აი ის ნიშნები, რაც გამორჩეულს ხდის ამ წარმოდგენას და რაც უფლებას გვაძლევს კიდევ უფრო ავამაღლოთ მომზოვნელობა ამ ნიჭიერი თეატრალური კოლექტივის მიმართ.

ქუთაისის თეატრის გასტროლები მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში. ჩვენ კიდევ ერთხელ დაგრწმუნდით, რომ ამ დასს მეტად მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ქართულ კულტურაში.

გურამ ნიკორწმინდელი



მ. გვერტაძე

ძველი ქუთაისი. ხარაზების რიგი



საბუნდო ღირებურობის აღზარდის აქტა

სოლიონი იობაშვილი

ამს წინათ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური მუსიკალური სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მრავალრიცხოვანი კლასის სახელმძღვანელო კონცერტი. მონაწილეობდნენ ამ სკოლის და მე-2 მუსიკალური სასწავლებლის საკუნდო-სადირიგორო განყოფილებების მოსწავლეები. ცხოველი ინტერესი გამოიწვია საკონცერტო პროგრამის მრავალფეროვნებით, გემოვნებით შერჩეულმა საკუნდო ნაწარმოებებმა. კონცერტისადმი ინტერესის ისიც აძლიერებდა, რომ გუნდს დირიგორობდნენ ორივე მუსიკალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი. მსურელად ქართველ რუს და დასავლეთურაობად კომპოზიტორთა კლასიკური და თანამედროვე საკუნდო სიმღერები — მათ შორის, გ. შტრუდის „მენუქტი“, მოიკაისის მიერ დამუშავებული „მძიური ხალხური სიმღერა“, გრენტშტეინის „პოლიური სიმღერა“, ცენტრ. მუს. სკოლის მოსწავლის კემკემანის საკუნდო ნაწარმოები „სიმღერა პარტიზანზე“, ლურანტის „ცეკვა“, ჩაიკოვსკის „ყველიერის გაკვირება“, ორლანდო ლაუსი „კეო“, მოცარტის „პორტისას“ („რეკვიემი“), ჰენდლის „დამარცხებული სამსონი“ (ორატორიიდან) და სხვ.

ამ ნაწარმოებების უმრავლესობა მხოლოდ საკუნდო ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებად ითვლება, რაც დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა მოსწავლეთა გუნდსა და მის ხელმძღვანელებს. მოსწავლეებმა დასძლიეს სა ტექნიკურად რთული პოლიფონური საკუნდო სიმღერები, გამოაღინეს ანსამბლის ფორმაზე შეგნობა და ინტონაციური სისუსტეც. ანსამბლის თანერადობას კარგად იყო შეწყვეტილი საფორტეპიანო თანხლება (კონცერტისტური ჯ. მამაცაშვილი). მომავალმა საკუნდო დირიგორობმა გ. თედევანი, ე. ბერკუნსკაია, ლ. გელეიშვილი, ა. ილიანი, ე. აკეოვაძე, ნ. ბოჭორიშვილი, ა. მამაცაშვილი, მ. რობიტიშვილი, ნ. კახანაძე, თ. პავლევი, ი. ბრიახიანი, დ. ტატიშვილი, ლ. ზაუტაშვილი და სხვებმა ვეწინაშე ნაწარმოების შინაარსის გახსნის უნარი, რიტმის გრძნობა, ხელის აპარატის ზუსტი მოძრაობა და თეორიული ცოდნის კარგი მონაცემები.

გ. კახანაძე გამოჩენილი ქართველი საკუნდო დირიგოროს გიორგი ხახანაშვილის აღზრდილია. წლების განმავლობაში თავის აღზრდებულ ბედგაფიკს ეთმობა დირიგორობა მუშაობდა საქართველოს რადიოს კასელაში. 1948 წლიდან მიწვევის საკუნდო-სადირიგორო კლასის ხელმძღვანელად ზ. ფალიაშვილის სახელობის მე-2 მუსიკალური სასწავლებელში, სადაც დღემდე წარმატებით უძღვის ამ საქმეს. პარალელურად გ. კახანაძე მუშაობს ცენტრალური მუსიკალური სკოლის სასწავლო-სადირიგორო განყოფილების თეორიული საგნების ბედაგოვად. 1957 წლიდან კი, გ. ხახანაშვილის გარდაცვალების შემდეგ, ცენტრალური მუსიკალური სკოლის დირექციამ მას საკუნდო-სადირიგორო კლასის ხელმძღვანელობა დააისარა. გ. კახანაძე თავადღებთ და ენერჯიულად განაგრძობს გ. ხახანაშვილის მიერ დაწყებულ საქმეს — საკუნდო კლასის ხელმძღვანელობას.

ცენტრალური მუსიკალური სკოლაში 1948 წლიდან გ. ხახანაშვილის ინიციატივით გახსნილი საკუნდო-სადირიგორო განყოფილება გადაიქცა საკუნდო საკლასიკოსების მომზადების ძირითად კერად ჩვენს რესპუბლიკაში. აქ აღზარდნენ და ამჟამად წარმატებით მოღვაწეობენ ნიჭიერი საკუნდო დირიგოროები ა. კაკაძე, ე. კახაძე, გ. ბაქრაძე, ა. ბეჟანიშვილი, დ. გოდერძიშვილი, თ. მელაი, ა. განუტრაძე, ა. მამუკაიანი, გ. აკოლავილი,

გ. ცომაია და სხვ. ფართო საზოგადოება ჯერ კიდევ 1950 წელს გაეცნო ამ სკოლის მოსწავლეთა გუნდს, რომელსაც, გ. ხახანაშვილთან ერთად, ხელმძღვანელობას უწევდნენ მისივე აღზრდილები — მერი ჩიკაძე (ამჟამად განსვენებული) და გრიგოლ კახანაძე. შემდგომ წლებში კი ეს ტრადიცია იმდენად განმტკიცდა, რომ იგი გადაიქცა მოსწავლე დირიგოროებისათვის პრაქტიკული ჩვეების მისაღებ საუკეთესო სკოლად.

გ. კახანაძის ინიციატივით 1958 წელს შეიქმნა ორი მუსიკალური სასწავლებლის საკუნდო კლასების მოსწავლეთა გაერთიანებული გუნდი, რაც ფართო საზოგადოების მხრივ მხარდაჭერასა და წახალისებას საჭიროებს.

ესარგებლობა რა შემთხვევით, მსურს შევიხი ერთ მეტად სერიოზულ საკითხს, რომლითაც დაინტერესებული უნდა იყვნენ სახალხო განათლების მესვეურნი.

ცნობილია, რომ 1921 — 30-იან წლებში, ყველა სკოლაში, სადაც კი ჩვენი მოზაველ თაობა იზრდებოდა, იმდენად მაღალ დონეზე იყო დაყვანილი ინტელერა-მუსიკის სწავლება, რომ ზოგიერთ საშუალო სკოლაში საბავშვო ოპერებში კი იღებებოდა.

შემდგომ პერიოდში კი სიმღერა-მუსიკის სწავლება გადაიქცა სასხვადასოროს საქმედ, უბრალო დანახდა საუნად; ბევრ სკოლაში კი მოლონად ამოღებული იქნა პროგრამიდან. შედეგად ბუნებრივ მიზეზად: მოვლ რაც საპასუხისმგებლო ობიექტებზე ამაჟამად მუშაობენ აღმანები, რომლებსაც წარმოდებავს კი არა აქვთ ოპერაზე, სიმფონიაზე და სავითოდ ხელგონებაზე.

მართალია, ამ ბოლო ხანებში განათლების სამინისტრომ და განათლების განყოფილებამ მიიღეს ენერჯიული ზომები სკოლებში სიმღერა-მუსიკის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, რასაც არ შეიძლება არ მოჰყვეს დადებითი შედეგი უახლოეს წლებში. მაგრამ, ჯერ კიდევ მოსაგვერდელია მაღალკვალიფიციური კადრების სკოლში უზრუნველყოფის საკითხი. ცნობილია, რომ მთელ რიგ სკოლებში სიმღერა-მუსიკის ასწავლებას იღლებიერებენ, რომლებსაც არ შესწევთ უნარი აღზარდონ ესთეტიკურად ჩვენი მომავალი თაობა.

გ. ხაკაშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია ყოველწლიურად უშვებს რამდენიმე საკუნდო ლიტბარს, რაც არა თუ ზოგად საშუალო სკოლების, არამედ რესპუბლიკის მხოლოდ მუსიკალური სასწავლებლებს მოთხოვნილებებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. და აი, სწორედ ამ დროს, ზოგიერთი „საქმიანი“ აღმანები აყენებს საკითხს ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლაში საკუნდო-სადირიგორო კლასის დახურვის შესახებ. დღევანდელ პირობებში ამ საკითხის დასმაც კი ზიანის მომტანია ჩვენი საერთო საქმისათვის.

ცენტრალური მუსიკალური სკოლის საკუნდო-სადირიგორო განყოფილება ძირითადი ნაზაა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის. ამავე წლების აქ აღზრდილი ლიტბარები წარმოადგენენ ჩვენი რესპუბლიკის საკუნდო საქმის ამ მთავარ ძალებს, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდში, სახელმწიფო კასელაში, საქართველოს სიმფონია და ცეკვის დამსახურებულ ანსამბლში, საოპერო სტუდიის გუნდში და წარმოება-დაწესებულებების მხატვრული თეიმორქმელების წევრებში. ამ სასწავლებელში აღზრდილი საკუნდო სპეციალისტები თავისუფლად შეიძლება გაიგავზონ ჩვენი რესპუბლიკის ზოგად საშუალო და სპეციალურ სკოლებში სიმღერა-მუსიკის ასწავლებლად, რაც ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებდა ზოგად საშუალო სკოლებში საკუნდო კადრებზე არსებულ მოთხოვნილებას. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ, რა შეიძლება, მეტი საკუნდო საქმის სპეციალისტები აღზარდოს ცენტრალურმა მუსიკალურმა სკოლამ. ამას მოითხოვს ჩვენს რესპუბლიკაში, სასიმღერო კულტურის შემდგომი აღმავლობის საჭიროება, ჩვენი ნორჩი თაობის ესთეტიკური აღზრდის ამოცანები.



ვ. როდინოვი, ნ. როდინოვა

მოსკევიანი



ლ. ბაიანევი
რევოლუციის პოეტები

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღისათვის

ჯუანშერ ამირანაშვილი



ვენს დრომდე მოღწეულმა არც ერთმა საისტორიო ქრონიკამ და სხვა წერილობითმა ძეგლებმა არ შემოგვინახეს რაიმე ცნობები შოთა რუსთაველის ცხოვრება-მოღვაწეობაზე. მით უმეტეს, არავითარი ცნობა არ გვაგვანჩია „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის თაობაზე.

როგორც საკარო ხოტბითი პოეზიის წესი და რიგი იყო, შოთა რუსთაველმა თავისი პოემა „მეფესა და დედოფალსა“ თამარს მიუძღვნა, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 12-13 საუკუნეების მიჯნაზე. თანახმად ტრადიციული აზრისა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღი ზოგადად მოცემულია უკვე იგი პოემის შესავალ ნაწილში, სახელდობრ მე-3-4 სტროფებში:

„ვის შვეინის, — ლოსა, — ხმარება შუბისა, ფარ, — შიმშერისა,
— მეფისა მზის თამარისა, ლაფე-ბაღბში, თმა-გიშერისა, —
მის, არა ვიცი, შეგვჯადორო შესხმა ხოტბისა, შე, რისა,
და მისთა მგურბეტლთა ყანდსა მითრმა ხამს მართ, მი,
შერისა.
თამარს ვაწებეთ მეფესა, სისხლისა ცემულ-დათხვეულ,
ვიძვენი ქებაში ვისნი მე, არ-ავად ვამოჩრუხული“.

პროლოგში შოთა რუსთაველი უმღერის ორ ისტორიულ პიროვნებას თამარ მეფეს და მის ლოსს, რაინდს, გმირს. მკვლევარმა მიერ აღინიშნულია ის გარემოება, რომ პოემის პროლოგში მოხსენებულია პირდაპირ ამ ლოშის სახელი — დავითი:

„ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს
სარებლად
ესე ამბავი გავლექსე მე მათად საყმათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზაფთა მარებლად,
და ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“.

შენიშნულია, რომ თამარის¹ მეუღლე დავითი ლომალა მოხსენებული ჩაბრახტის ჰქმება მეფისა თამარისნი“ (V, 32 IX, 10 და სხვა). ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის პროლოგის დროს არის თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი. უნდა აღინიშნოს, რომ შოთა რუსთაველი ისე ვერ მოხსენებდა დავით სოსლანს, თუ იგი არ იქნებოდა თამარ მეფის მეუღლე. აქედან საყვარელ ცხადია, რომ ვეფხისტყაოსანი დაწერილია თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით სოსლანის ზოგის ხანაში, ანუ 1189-1207 წ.წ.

ვიღრე უშუალოდ შევეუდგებოდეთ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის დაზუსტებას, საჭიროებ მიგვანჩია მოკვლე განხილვით ის ისტორიული გარემოება, რომლის დაწერილობითი შესწავლა საშუალებას იძლევა უფრო მეტად დაეზუსტოთ გენიალური პოემის დაწერის თარიღი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო XI-XII საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ აღორძინება-განვითარებას,

იყო საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ შექმნის პროცესი.

საქართველოს გაერთიანებას ხელი შეუწყო საწარმოო ძალების და ურთიერთობის განვითარებამ, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებამ, საქალაქო ცხოვრების ზრდამ, ვაჭრობის, განსაკუთრებით, შორეულ ქვეყნებთან, გაფართოებამ. მხოლოდ ამ გაერთიანების გზით შეიძლებოდა გარეშე მტრებთან სამეგრელო-სასიცოხლეს შიგნით შეერთების ქართველ ხალხს თავისი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის არსებითად დამთავრდა დავით აღმაშენებლის მეფობაში (1089 წ. — 1125 წ.); წერილი სამეფო-სამთავროები გაერთიანდა დიდ ძლევამოსილ ფეოდალურ სახელმწიფოდ, რის შედეგად ქართველური მოღვაწის ტომები ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა. თბილისი კვლავ იქცა საქართველოს დედაქალაქად, მის ძირითად ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. საქართველოს გაგენის სფერო ვრცელდებოდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, იმერტყვეპასილიდან არზრუმამდე და ტრაპიზომამდე.

ფეოდალური დაქუცმაცეხული სახელმწიფოს გაერთიანება თავის მხრივ იძიებოდა საწარმოო ძალების და წარმოებითი ურთიერთობების ახალ მძლავრ განვითარებას. სულ უფრო მწვავედ და ღრმავლად კლასობრივი წინააღმდეგობა და ბრძოლა, დიდად განვითარდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა.

მეუორად გაიზარდა შემოხარბა და მატერიალური დღეღათი, როგორც თვით საქართველომ, ისევე მონაბრე ქვეყნებმაც, ამ პერიოდისათვის კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს საგარეო მდგომარეობა და ავტორიტეტი. საქართველოს ეკონომიურმა აღმავლობამ და პოლიტიკურმა სიმტკიცემ განაპირობა მისი კულტურის და მეცნიერების შესაბამისი განვითარება. ამ პერიოდში უდიდეს განვითარებას მიაღწია ფილოსოფიამ, ისტორიოგრაფიამ, ფილოლოგიამ, მწერლობამ, პოეზიამ, ფერწერამ, სახვითმა ხელოვნებამ, ხუროთმოძღვრებამ და მეცნიერების სხვა დარაკებმა.

კულტურული დონის ამაღლებაზე ნათლად მეტყველებს XI-XII საუკუნეებში სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების სწრაფი გამრავლება. ამ პერიოდში არსდება მრავალი სასწავლებელი. კულტურული დონის ზრდამ უშუალოდ გამოიწვია უმაღლესი სასწავლებლების, აკადემიების აღმოცენება და ჩამოყალიბება, როგორც იყო ეკლავიის, იყალიბდა და ვრცობდა აკადემიები.

კულტურული დონის ზრდის მაჩვენებელია ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდში როგორც უცხო ენიდან ქართულად, ასევე ქართულიდან უცხო ენაზე ითარგმნებოდა ფელსაწინი თხზულებები საეკლესიო და საერო შინაარსის. ფილოსოფიური და მხატვრული მწერლობის დარგში, მედიცინაში და ასტრონომიაში კულტურის კერებდა გადაცემა მრავალი ქართული მონასტერი, როგორც საქართველოში, ისევე საზღვარგარეთ.

ყოველივე ამან განაპირობა ისეთი საზოგადო მოღვაწეების და ფილოსოფიურად ღრმა მოაზროვნე პირების გამოხსლა სამეცნიერო ასპარეზზე, როგორცაც იყვნენ: ექვთიმე ათონელი, გიორგი ათონელი, იოანე პეტრიწი,

¹ ნახ. აღ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, მონოგრაფიული ნარკვევი-ბოლხის 1958, გვ. 31-32.

იიანე შვეთელი, მისე ხონელი, ჩახრუხაძე, და ამ ეპოქის დიდი კულტურის ამხანაგელი და მისი მწვერვალი შოთა რუსთაველი.

ამ ეპოქაში კიდევ უფრო განმტკიცდა საქართველოს მეტიველი კულტურული ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებში; თავის მოღვაწეთა სამუშაოებით ქართველი ენათმეცნიერებელი და სასულიერო მოღვაწეობის და აღმსარებლობის სირიულ-არაბულ და სპარსულ კულტურას, კიდევ უფრო გაიცემეს ელნიზმის მიდარე კულტურის მიღწევები. კარგად იხსოვრება აღმოსავლეთის უდიდესი პოეტის ფიროღუსის, გურგანელის, ნიზამი განჯელის და სხვათა უკვდავ თხზულებებს.

ფეოდალიზმის ადრინდელი ეპოქაში ქართული მწერლობა ატარებდა სასულიერო-საეკლესიო ხასისს, ხოლო XI-XII-XIII საუკუნეებში კი უფრო მეტი მნიშვნელობა მოიპოვა საერო მწერლობამ, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივი აზროვნების ეკლესიის მსოფლმხედველობის ბატონობისგან განთავისუფლებას. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის განვითარებისათვის.

ამ დროს ქართულ ლიტერატურაში და სახეით ხელოვნებაში ყალიბდება ჰუმანიტური იდეოლოგია, რომელიც საქართველოში ვითარდება ვატიკოებით უფრო ადრე, ვიდრე ევროპაში, კერძოდ კი იტალიაში, რომელიც ევროპაში ჰუმანიზმის სამშობლოდ ითვლება.

საქართველოს უფრო დიდ განვითარებაზე, ვიდრე იმ დროის სხვა რომელიმე ქრისტიანული სახელმწიფო იყო, მიუთითებს მრავალი ფაქტი. ჰერეტი, რომ იგი იყო მრავალეროვანი და მაშინდელ მსოფლიოში ყველაზე მიდრინდა სახელმწიფო. ინტერესს არ აჩივს მოკლებული სპარსელი ეპოქის ამდღამა ყაზიხის ცნობა, რომ „საქართველ საქართველოს (ყმანდავიცი ქვეყნის გარდა) ყოველმეფობითი სახელმწიფო სხალარის ფუღად შემოსავალი 3.750.000 ოქრის მანეთს უღრდა და ეს იმ დროს, როცა მეტივე აზიის შემოსავალი — 2.475.000 მანეთს, არაბეთის ირანის — 2.250.000 მანეთს, და ფარსის — 2.153.460 მანეთს შეადგენდა მხოლოდ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ზომბარტით, იხლოსის მეფის შემოსავალი 1300 წელს 4.000.000 ოქრის ფრანკს, ხოლო საფრანგეთისა — 1311 წელს 3.000.000 ფრანკს არ აღემატებოდა. საქართველოს შემოსავლის ზემოაღნიშნული თანხა მხოლოდ ფულადია. ამას გარდა მას სულადად დაწესებული გადასახადების შემოსავალიც ჰქონდა². აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველო იყო იმ დროს ეკონომიურად უმდიდრესი სამეფო.

საწარმოო ძალთა და ურთიერთობების განვითარებამ, დიდგარანა თვინებობის აღადგამა, გარემო მტკრებთან ბრძოლებამ კიდევ უფრო განამტკიცა მეფის ხელისუფლება, კერძოდ — მეფის უზენაესი უფლებებით. არ უნდა დაგვაიწყდეს თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტიტი სარეგლობობდა მეფის ხელისუფლება ფეოდალური წყობილების დროს. მაშინ მეფეს და მის ხელისუფლებას ზეციურად, იმერითისგან და მკვიდრებულად სთვლდნენ. საქართველოს ბატონობის დავით წინასწარმეტყველის შიამომავლად სთვლიდნენ თავიანთ თავს ე. ო. ქრისტიანული მსოფლიოს მიერ მიღებული მოძღვრებით ბატონობებით ამათ ეკლესიას უფლებდნენ იესო ქრისტეს, რასაც საქართველოს ეკლესია სასუბით იზიარებდა. ამის გარდა ჩაეროვ კლასს — გლეხობას იმედი დამყარებული ჰქონდა „კარგ კეთილ მეფეზე“, რომელიც მათ გაუწყვედა მფარველობას და გამოუმჯობესებდა ცხოვრებას. მეფის ხელისუფლების პოპულარობა განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს პატივანების შემდგომ, რომლის პროცესშიც მეფის ხელისუფლებამ ბოლო მოუღო ფეოდალების თვინებობას. ამავე დროს მეფის ხელისუფლება აორგანიზებდა ქართველ ხალხს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. რითაც აძლევდა სასულებსა გლეხობას ცხოვრება და ემუშავა უფრო მშვი-

დობიან პერიოდში. თანდათანობით მეფის ხელისუფლებას ენიჭებოდა სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. აქედან უმუშაოლოდ გამოიშინარებოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტახტის მემკვიდრეს, როგორც ხელისუფლების გამტკიცებელს. იმ შემთხვევაში, თუ სამეფოს მემკვიდრე არ ყავდა, მთელს სამეფოში იწყებოდა შინაური ბრძოლები სხვადასხვა პრეტენდენტთა პარტიებს შორის, რაც უშუალოდ იწყებდა არეულ-დარეობას. შინაარსული არტურობით სარგებლობდა გარემო მტერი და იტაცებდა სამეფოს მიწებს არბევდა სოფლებსა და ქალაქებს, აწიოკებდა მისსა ლეონას, ჰყრდა ხელისნებს და გადაჰყავდა თავის ქვეყანაში და ხშირადაც იმორჩილებდა მთელ სამეფოს³; ამიტომაც მაც გასაგებია, რომ სამეფოს პროკლესიული ძალეტი ცდომილდნენ ჰყოლოდათ. მეფის სიკვდილის შემთხვევაში, მემკვიდრე, რითაც გარანტირებული იქნებოდა მშვიდობიანი ცხოვრება.

ამგვარად ფეოდალურ სამეფოში მემკვიდრის ენიჭებოდა უდიდესი მნიშვნელობა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მემკვიდრეს „ისტორიას და აზნაში შარავანდლდანი — ს ატორი უწოდებენ. ღმრის ძის სწორს“⁴. ე. ი. იგი აიგივებს მემკვიდრეს და „ღმრის“ ძის უფლებებს.

ასევე დიდი ქართველი მებრტეპ ჩახრუხაძე თავის „ქება მეფის თამარისა“-ში აღივარებს მემკვიდრე ლაშა-გიორგის უზინდო უჩრდილო მზეს:

„რომლისა ძემან, უზინდოდ მზემან
ლაშაყე ვიპოე წარმართებულად“
ნაწ. I, ტკეპი 21.

ამიტომაც გასაგებია, თუ როგორ აწუხებდა იმ დროინდელ საქართველოს მემკვიდრის საკითხი. ამაზე თვით სხვადასხვა ხრონიკული წყაროებშიც მითითებენ. მაგალითად ბასილი უზოსომონდარის თავის ქრონიკაში „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“ აღწერს: „ხოლო იგიინ წინააღუფებოდეს, უშვილობასა, მოაკუნენდეს, ხალხის მისისა უხაყოფობასა დრტუნვიდეს, წინამძღუარსა საბათსა ითხოვდეს“⁵.

ასევე ბოლო რა სამეფოს უმემკვიდრეობა, საქართველოს დიდებულებმა 1185 წელს რუსეთიდან ჩამოიყვანეს დიდი მთავრის ახლარი ბოლოლუბსკის შვილი — გიორგი რუსი. მაგარამ არა როგორც მეფე, არამედ როგორც მუღულე თამარისა, რაზედაც აწკარდა ამბობს „ისტორიანი და აზნაში შარავანდლდანი“ ავტორი — „ზრავდა ყვეს ძისა წაღმართისა და მოყვანა ქმრისა“⁶. მაგარამ თამარის მხიდან შვილი არ ეყოლა. რამდენიმე წლის შემდეგ გიორგი რუსი გაზჷყარეს თამარს და დიდი პლათისცემით გაეგზავრეს კონსტანტინეპოლში.

ამის შემდეგ დიდებულებმა ხელახლა დაიწყეს საქმრის ძებნა და „1188 წელს თამარისათვის საქმრის დისთა მეფის შიამომავალი დიდი ქართველი მეფეთა ბატონობით ასულის შვილი დავით უფლისწული იყო დაახსენებული“⁷.

ამავე წელსვე მოხდა ქორწილი. ამის შემდეგ „კულად იწყეს ურუდ ყოველთა, რამეთუ თამარს ხედვიდეს უშვილოდა და მარტოსა მკვდრად სახლისა თვისისა. ასეეითარ-

² ამას ნათლად დავინახათ თუ თვალს ვადავალებთ სპარსეთის ისტორიას, სადაც ხშირად იყო არფულობა მემკვიდრეობის დროს ამგვარად არტურობის ასაკილებლად გიორგი III თავის სიკვლესწეულ თანამოსავლედ დასვა თავისი ქალიშვილი თამარი, თამარის მეფის სიკოტკლემუდ თანამოსავლედ დასვა ლაშა-გიორგი.

³ ბასილი უზოსომონდარე, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა. 258 ს. უახსნიველის გამოცემა, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959 წ. გვ. 120.

⁴ ისტორიანი და აზნაში შარავანდლდანი, M 634, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 35.

⁵ ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორია, XI-XV სსუენეები (მოკლე მიმოხილვა) თბ., 1949 წ. გვ. 77.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI-XV სსუენეები (მოკლე მიმოხილვა) თბ., 1949, გვ. 96.

და წყალობათა შინა ღმრთისათა იშუებდა ერი ქრისტიანეთა, გარნა უხუცხდ და იურეოცხდ უწყყოფილებისათა თამარისა⁷. შემდეგ ბასილი ეუბსომოდარია იქვე განსაკუთრებით აღინიშნავს, რომ „შემდგომად მცირედისა ჟამისა დაორიყულდა თამარი. და ცნეს ღა ესე ყოველთა, იწყეს ლიტანიაჲნი, ღმრთისა ვედრება, მარხვითა, ლოცვითა და ტრებოვით, რათა მისცეს ღმერთმან ზვილი წული“⁸, თითო ყოველივე ეს „შეისმინა“ ღმერთთან და თამარს, ტახაჯნებისა ბეთლემყოფელმან, მუნ შვა ევ, სწორი ძისა ღმრთისადა, და უწოდა სახელი ახვიენისა მის მამის თვისისა ვიკრიტი“⁹, ყოველივე ამის შემდეგად ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მემკვიდრის ფეოდალურ სახელმწიფოში. ახლა მაჰირთა დაავაზსტრით თუ რომელ წელიწადს დაიბადა ლაშა-გიორგი.

ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე აღინიშნავს, რომ რომ „ოდეს დაიბადა, ქრონიკონი იყო თოხისა და ცამეტი... თორბიტისა წლისა იყო ოდეს მუგელ დაჯდა“¹⁰. ამჟამადმწერელი კი წერს: გიორგი იყო წლისა ათ-გეგებისა რაკაჲმ დაიდვა გარკუნი მეფობისა და მეფემან თამარი მოილოცა მეფობა. ხოლო რაკაჲმ მიიცილვა თამარი, იყო ლაშა ათგრამებისა წლისა¹¹. აქ, რაღვანაც ლაშა-გიორგის მართვს თამარმა მოილოცა მემკვიდრე, აშკარად ჩანს, რომ ლაშა მამის — დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ დამკვიდრდა ტახტზე.

ჩვენი წლითარბიცებით ქრონიკონი 413 უდრის 1193 წლისა¹². თითქმის ამ წელს ებთხვევა სხვა წყაროების თარიღებიც. როგორც ზემოთ ვახუთ ლაშა-გიორგი თამარის თანათმხარედება 1207 წლიდან. ამჟამადმწერელი კი ამბობს, რომ როცა ლაშა-გიორგი ავიდა ტახტზე, იყო 13 წლისა. რომ ვაგივთა ღირსის დაბადების თარიღი, (თუ ვაგეთაღობისწინებით იმ ვარკომებას, რომ ვიგორე-ლაშა დაიბადა წლის მეორე ნახევარში, ხოლო სოსლანი გარდაიცვალა 1207 წლის პირველ მთხიხედში), ლაშას წლვაკანება (13) 1207 წელს კი არ უნდა ვაგომეკალთს, რადგანაც 1207 წლის პირველ მთხიხედში ლაშა ჯერ კიდევ იყო ცამეტი წლის, არამედ 1206 წელს¹³. ამტობივთ თუ 1206 წლისწინის ვაგეთაღობები 13 წლის მივიღებთ 1193. ამით ორივე მემკვიდრეს ცნობა ემთხვევა ერთმანეთს. ე. ი. გიორგი-ლაშა დაიბადა 1193 წელს.

⁷ ბასილი ეუბსომოდარია, ცხოვრება მეფეთ-მეფისა, თამარის, C 260 ა, გვ. 121 და 262 a-b, გვ. 124 ს. ყუბჩიშვილის გამოცემა, ტ. II, თბილისი 1959 წ.

⁸ იგივე, C 263 a-1, გვ. 124.

⁹ ისტორიანი და აზმანი შარავანდელოანი, 659-660, გვ. 56-57. ს. ყუბჩიშვილის გამოცემა, ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ. 1959 წ.

¹⁰ ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე, 421-422, გვ. 369-370. ს. ყუბჩიშვილის გამოცემა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი 1959 წ.

¹¹ ამჟამადმწერელი, 723-724, გვ. 151, იგივე, ტ. II, თბილისი, 1959 წ.

¹² ცნობილია, რომ საქართველოს იყენებდნენ წელიწადთა აღრიცხვის რამდენიმე წესს: დღისამთხვევაჲ ქვეყნისა, მოქცევისა მსხვერთვად რა ინტეკტიონის მიხედვით, თეთრეთელ მოქცევა მოიკვება 532 წელიწადს. 12 საუკუნე შეიღოდა 13 მოქცევით, ხოლო მე-12 მოქცევა დათქურდა 780 წელს ჩ. წ. აღრ. რომ ვაგივით ლაშა-გიორგის დაბადების წელი 780 წელს უნდა მივხვებოდათ ქრონიკონი 413 და მივიღებთ 1193 წელს (780+413=1193).

¹³ როგორც ცნობილია, თამარს ტახტზელაშა ყოფნის დროს ეყოლა ლაშა-გიორგი, რადგანაც ტახტზელაშა იყო ქართველი მეფეების სახელმწიფო რეზიდენცია, ვასაგებობა, რომ ლაშა-გიორგი უნდა დასახლებულიყო წლის მეორე ნახევარში. „ისტორიანი და აზმანი შარავანდელოანი“ ავტორი წერდა, რომ დავით სოსლანს ვაგდაცვალეს — ამჟამად, ანუ მიტაცდიდ მოგოღოლთ... იყო წმინდა-მარხვანი (707-708, გვ. 100, ტ. II გამოცემა იგივე).

წმინდა ანუ ღმრთი მარხვა დაავაზობრებულია ქრისტიანული მოძღვრების უდიდეს დღესასწაულთან — აღდგომისთან, რომელიც ხდება აღსრულ და მამისა. აქედან დავით სოსლანი ვარდაციკლა დიდი მარხვის წინ ანუ 1207 წლის პირველ მთხიხედში.

ვასაგებობა, თუ რა დიდი ზეიმი და სიხარული იქნებოდნენ იმ დროინდელ საქართველოში მემკვიდრის დაბადების გამო. თვით „ისტორიანი და აზმანი შარავანდელოანი“ ავტორი მოგვითხრობს, რომ ლაშა-გიორგის დაბადების აღსანიშნავად მიიწვიეს „სუკვიართა იქნება ვაგდაქრებო, რომელი არაოდეს ვისგან ქმნილ იყო ბატონიონისა. პირველად შემკობილთა ბედსა და სუესა ზედა ლაშასა“¹⁴.

ახლა განვიხილოთ სხვადასხვა მკვლევართა შეხედულებანი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის შესახებ.

მკვლევართა უმრავლესობა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღად XII საუკუნის მიწურულს და XIII საუკუნის დასაწყისს თვლიან. ბ. იზორიუკა ბოქვის დაწერის თარიღს ვარაგავს 1184-1207 წლებს შორის¹⁵.

ალ. ბარამიძე თავის მონოგრაფიულ ნარკვევს — „შოთა რუსთაველი“ ბოქმის დაწერის თარიღად თვლის 1189-1207 წლებს და ამას ასახებოთ თამარის მეუღლის დავით სოსლანის ცხოვრების პერიოდით¹⁶.

ერთ-ერთი მკვლევარი, ავლებსანდრე სვანიძე დაწერის თარიღად თვლის 1204-6 — 1236-38 წლებს¹⁷.

აკად. კონრადი კეკელიძე ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღად თამარი მეფის ქალიშვილის რუსულადანს (1222-1245 წ. წ.) მეფობის I ნახევარს თვლის¹⁸.

ზოგიერთი მკვლევარი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ბოქმა დაწერილია XIV-XV საუკუნეებში (სარგის კაკაბაძე), ზოგი კი — მონღოლთა ბატონობის ხანაში (აკად. ნიკო მარი). მაგარი ამ მკვლევარებსა შემდეგში უარპყვეს თავიანთი მოსაზრებანი და დაუბრუნდნენ ზემოთ-მოსხინეზულ ტრადიციულ პერიოდს.

ახლა კი უნდათ დავუვადებთ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის თარიღის დაზუსტებას.

როგორც ჩვენი ნარკვევის შესავალში აღვნიშნეთ, ვეფხისტყაოსანში შოთა რუსთაველს მოხსენიებული ჰყავს ორი ისტორიული პიროვნება — მეფეთ მეფე თამარი და დავით სოსლანი:

„ვის ვეფხის... — ლომსა, — ხაზრება შუბისა, ფარ შოშერისა — მეფისა მზის თამარისა, ლაშა-ბადაშა, თმა ვიშრისა“ (3)

„თამარს ვაქვებეთ მეფესა, სისლსა ცრემლ-დათხუტულთ, ვიჟევი ქებანი იხისნი მე, არა-ავდ გამორბული“ (4)

„მობრანს მათად საქებრად თჳმა ლეკებისა ტუბლისა“ (5)

„ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებისსარებლად ვინ ამაგი ვაგულებს მე მათად საკამათოლად.“

ესე არის აღმოსავლეთით დასავლეთს ხართა მარებლად, და ორგულთა მათთა დამწველად, ეროვულთა გამაზარებულად“ (1666)

უდავო კემმარიტება, რომ შოთა რუსთაველი ვერ ვაბდელავდა დავით სოსლანის მოხსენებას, თუ კი იგი არ იქნებოდა თამარი მეფის მეუღლე; წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა შუასაუკუნოვანი სამეფო კრიტიკის დარღვევა. აქედან დასკვნა: „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია თამარის და დავითის ქორწინების შემდეგ, ბოქმაში მიითთქობს შემდეგი არაპირდაპირი ფაქტები: (5 ტატიბი I მუკარი) „მობრანს მათად საქებრად თჳმა ლეკებისა ტუბლისა“ და (1666 ტატიბი) „ესე ამაგი ვაგულებს მე მათად საკამათოლად... ორგულთა მათთა დამწველად, ეროვულთა გამაზარებულად“.

¹⁴ ისტორიანი და აზმანი შარავანდელოანი, M 661, გვ. 58 იქვე.

¹⁵ ბ. იზორიუკა, შოთა რუსთაველი, გვ. 9, თბილისი 1938 წ.

¹⁶ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, გვ. 32, თბილისი 1958 წ.

¹⁷ A. C. Историко-географические основы «Барсовый козих» стр. 68 — 70, Тифлис 1936 г.

¹⁸ აკ. კონრადი კეკელიძე, ქართველი ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 149-160, თბილისი 1958 წ.



აქ მათად, მათა მრავლობით რიცხვშია ნახმარი და იკლარისმებმა, რომე: თამარი და დავითი, საღანაც ნათლად სჩანს, ინი „ვეფხისტყაისანი“ დაწერილია მათი ქორწინების შემდეგ, თამარის და დავითის ქორწილი კი მოხდა 1189 წელს, სრასა დიდებუებასა, სანახებმა ტფილისისასა... ქრეს ქორწილი შესატყვისი და შესასმავსებელი ქემოწყოფობისა და სახელწუხობისა მათისა“¹⁹.

სასებით ცხადია, რომ შოთა რუსთაველი ქორწინებამდე კ. ი. 1189 წელს ადრე ვერ დასწერდა თავის უკვდავ პოემას და არც 1207 წელს ვეიან, რადგანაც ამ წელს გარდაიცვალა დავით სოსლანი, ხოლო პოემამი დავითი მოხსენებულია როგორც ცოცხალი (იხ. 1666 ტკუპი).

თუ პოემის დაწერის უკანასკნელ თარიღად 1207 წელს მივიჩნევთ, მაშინ საფიქრებელია თუ რატომ არ ჰყავს შოთა რუსთაველს მოხსენებული ტახტის მემკვიდრე ლაშა-გიორგი.

ეს შემჩნეული აქვს პავლე ინგოროყვას. ის ამას სხნის იმ გაიფიქრებულ, რომ „გიორგი-ლაშა მეფედ იქმნა აღიარებული და თანამმართველი გახდა თამარისა 1207 წლიდან. ხოლო თუ ჩვენ გავიფიქრობებთ საშუალ-საუკეთესთა ეტიკეტს, ძნელი წარმოსადგენია, რომ შოთას პროლოგის რფიციალურ მიმართვაში არ დაესახელებინა ლაშა-გიორგი, თუ კი იგი ამ დროს საქართველოს მეფედ და თამარის თანამმართველი ყოფილიყო. ამის მიხედვით, ვეფხისტყაისნის თარიღი 1207 წლის უწინარეს დროს უნდა მტკულოვნეს“²⁰.

ის უღვაია, რომ შოთა რუსთაველი ვერ გაბედავდა არ მოეხსენებინა გიორგი-ლაშა, მაგრამ ის რომ, თითქოს შოთა რუსთაველი მხოლოდ მაშინ მოხსენებდა ლაშა-გიორგის, როცა იგი თამარის თანამოსაყდრე იქნებოდა, ჩემის აზრით, სწორი არ უნდა იყოს. ამაზე ნათლად მეტყველებს დიდი ქართული მეხოტბის ჩახრუხადის „ქება მეფისა თამარისა“-ს ანალიზი. თავის ხოტბაში ჩახრუხაძეს მოხსენებული ჰყავს თამარ მეფე, დავით სოსლანი და ლაშა-გიორგი.

თუ კ. ინგოროყვას მოსაზრება სწორია, მაშინ ჩახრუხაძე, იმ შემთხვევაში მოხსენებდა ლაშა-გიორგის, როცა იგი თამარის თანამოსაყდრე იქნებოდა, მაგრამ მაშინ ის ვერ მოხსენებდა დავით სოსლანს, როგორც ცოცხალს, რადგანაც თამარმა გიორგი-ლაშა თავისი უმეულის გარდაცვალებით შემდეგ დასვა თანამოსაყდრედ. მაგრამ ის, რომ დავით სოსლანი ჩახრუხაძეს ცოცხლად ჰყავს მოხსენებული ნათლად სჩანს შემდეგ ტკუპებში:

„დავით მწე, ბძძეხია, რომღლსა ზენი
ქვად — ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად,
ისრვის ისრასა, — ვიტყვი: ის არსა
ეფრემის ძირთა აღმორჩებულად,
ვინ კრძალთა ბაღრობს, უშიშ-უკადრობს
მებრთა სრვისაჲვის აღმართულად“
დასყენს ომი წაუძევა ლომი
დავით დავითის მიმაძებულად,
მჭენდ და სვიანდ, აფარიანად,
არა განრისხდა გავი ვსებულად“²¹.

ამის გარდა, ი. ლოლაშვილის უღვაი მტკიცებით ჩახრუხაძემ თავისი „ქება მეფისა თამარის“ დასწერა 1205-1206 წლებში²², როცა ლაშა-გიორგი სრულადაც არ იყო თამარ მეფის თანამოსაყდრე. აქედან უშუალოდ გამოდის, რომ მტკიცება, თითქოს ლაშას შოთა რუსთაველი მხოლოდ მის თანამოსაყდრობის შემთხვევაში მოხსენებდა, საფუძველს მოკლებულია; რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ჩახრუხაძეც, რომელზედაც ისევე ვერცელდებოდა საშეფო

ეტიკეტი, ვერ გაბედავდა ლაშა-გიორგის მოხსენებას. მაშინ აქ უკვე საქმე პარადოქსთან გვექმნება, რადგანაც მას ლაშა-გიორგი მოხსენებული ჰყავს.

ამით ნათლად ჩანს, რომ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შოთას თითქოს იმიტომ არ ჰყავს მოხსენებული ლაშა-გიორგი, რომ იგი ვერ კიდევ არ იყო თამარის თანამოსაყდრე, სწორი არ არის. მაგრამ უღვაია ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაისანი“ დაწერილია 1207 წელს ადრე.
ახლა კი გაუარკვევით თუ რატომ არ ჰყავს მოხსენებული შოთა რუსთაველი თავის პოემაში ლაშა-გიორგი, ტახტის მემკვიდრე, რომლის უდიდეს მნიშვნელობაზე, ვფოადლბრემის ბოქოპაში ზემოთ ვეჭვირად აღნიშნული.

მიუხედავად ვერ გაბედავდა შოთა რუსთაველი ლაშა-გიორგის არხსენებას, თუ კი მას უბრძანეს „მათა სატყუარად თქმა ლექსებისა ტკბილისა“²³, ი. თითქოს მას საკანაგებოდ მისცეს შეკვეთა პოემის დაწერისათვის.

ამიტომაც იმდებდა აზრი, რომ შოთა რუსთაველს მხოლოდ იმიტომ არ ჰყავს მოხსენებული ლაშა-გიორგი, რომ როცა იგი პოემას წერდა, ტახტის მემკვიდრე არ იყო დაბადებული და საკანაგებია, რომ იგი ვერც მოიხსენებდა ლაშა-გიორგის.

ეს რომ ასეა, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ უდიდეს საკაო მებოტბეს ჩახრუხაძეს თავის „ქება მეფისა თამარის“-ში ლაშა-გიორგი რამდენჯერმე ჰყავს მოხსენებული²⁴.

როგორც ცნობილია ლაშა-გიორგის დაბადების აღსანიშნავად მოეწყო ლაშქრობები „პირველად მემკვიდრეთა ბედსა და სუბა ზედა ლაშასა“. ვასათვია რომ, თუ ლაშა-გიორგი დაბადდა მაშინ, როცა შოთა რუსთაველი წერდა „ვეფხისტყაისანს“, მაშინ პოეტი ვერ გაბედავდა ლაშას არმოსხენებას; რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მემკვიდრეთის საკითხს ჰქონდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა.

ახლა უკვე ნათლად სჩანს, რომ შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაისანი“ დაუწერია ლაშა-გიორგის დაბადებამდე, ანუ 1193 წლამდე.

ამრიგად, გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაისანი“ დაწერის თარიღად უნდა ჩათვალოს 1189-1193 წლები.

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის დაწერის თარიღის დაზუსტებას დიდი მნიშვნელობა აქვს ძველი ქართული მწერლობის მრავალი საკითხის გარკვევისათვის. უბირველად ყოვლისა, ირკვევა, რომ „ვეფხისტყაისანი“ დაწერილია გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე „ქება მეფისა თამარისა“.

შესაძლებელი იყო თუ არა შოთა რუსთაველს სულ სამი-ოთხი წლის განმავლობაში დაეწერა მსოფლიო მნიშვნელობის პოემა? ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი ლიტერატურის ისტორიიდან. საკმარისია მოვიკონოთ დიდი პოეტის საღის სიტყვები, რომელმაც „გოლელთანის“ შესავალ ნაწილში აღნიშნა, რომ იგი ამ თხზულების წერას შეუდგა ადრე გაზაფხულს, როდესაც მისმა ბაღმა აყვავება დაიწყო, ხოლო როდესაც მან თავისი თხზულება დაამთავრა ბალი ჯერ კიდევ ჰყვავდა²⁵.

ასე რომ სასებით შესაძლებელია, რომ გენიალურ პოეტს შოთა რუსთაველს ასე მოელოდროში დაეწერა თავისი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაისანი“, რომელიც ვერცდი ამოუღვარა მსოფლიოს ლიტერატურულ ქმნილებებს და არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას და აქტუალობას.

¹⁹ ისტორიული და აზნარა შარავანდეთიანი, M 648, გვ. 47, ფიგურა ბ. 11.

²⁰ კ. ინგოროყვა, შ. რუსთაველი, გვ. 8, თბილისი 1938 წ. ²¹ ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარის, I, 8 და 14 ტკუპები, ივ. ლოლაშვილი, ძველი ქართული მებოტბენი, ტ. I, გვ. 185 და 187, თბილისი 1957 წ.

²² ივეჯი გვ. 170-180.

²³ ი. ლოლაშვილი, ძველი ქართული მებოტბენი I, ჩახრუხაძე ქება მეფისა თამარის, თბილისი 1957 წ.

I, 9 ტკუპი „რომღლსა ძემან, უბნინდლ მზემან ლაშა-ვე გიშო წარმათებულად“, V, 36 ტკუპი „ბეგრევე ნაყოფად არსცა ნაყოფად ლაშა თქვენ მიერ ნამორჩებათ“

და სხვა ტკუპები.

²⁴ Саиди Шейх Мослихуди, Гюлестан, перевод И. Колмогорова, М., 1882 г. от 12 — 14.



ზანის ქვახთა მონასტრის ნაწილის აოოზია

შერმადინ იონიანი

IV

ეს წარწერა პროზაული სახით დაბეჭდილი აქვს ცისკარიშვილს (გვ. 178), რომელიც მას აკოთხნებს ანა რეულაშვილს. სინამდვილეში, როგორც ეს წარწერაშია აღნიშნული, მისი შემსრულებელია თუმანი ("თუმანიან" ცისკარიშვილის წაუკითხავს", თემო ანას").

წარწერის დასაწყისში ქანწილის ადიგლას გამოხატულია პატარა სტილიზებული ლომი, რომელიც სიმბოლოდ უნდა გამოხატავდეს თუმანიან მიჯნურს. წარწერა ამ ლომისადმი მიმართული. წარწერაში მოყვანილია ორი ლექსი, რომლებსაც ჩვენ აქ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

ა.

„ლომი განაღდა მცეყარხარა შენგერ ვერაის სადარად, წყალად ვეფრატად გიტყვიან, გულად — როსტომის სადარად; ტანი აზატას საროსა ნარნარად აყვავებულსა; მე გულად კელთა არა მყავს, თუ არ შენ გაზღავს სადარად.“

ლექსი მთავრდება სვედიანი სიტყვებით: „ვაიმე, იმელო, ნახვამდის თუმანიან დამიწერია“.

ამ ლექსში შეინიშნება გავლენა „ვეფხისტყაოსნისა“, „ვისრამიანისა“ და საბაშვილის მიერ გალექსილი „როსტომიანისა“. ამ ფაქტს მზიწველობა აქვს ლექსის დთარჩილებსათვის. აქ მხოლოდ „როსტომიანს“ შევხვებით.

„როსტომიანი“. ლექსში როსტომი პირდაპირია დასახლებული: „წყალად ვეფრატად გიტყვიან, გულად — როსტომის სადარად“. მთავარი მაინც ეს არ არის. ავტორი თავის მიჯნურის ტანს აღარგებს „აზატ საროს“; „ტანი აზატას საროსა ნარნარად აყვავებულსა“. ეს შედარება სტეფანეურია და გვხვდება მხოლოდ სერაპიონ საბაშვილის მიერ გალექსილ „როსტომიანში“: ზურამს „ტანი აზატ საროს უშავს, პირი — შვისა სინათლესა“ (2679) 1; როდამი მკავს „აღვის შორჩსა, ტანად სრულსა, აზატ საროს დაწერულსა“ (1319); შემდეგ „ტანი აზატას საროსა უეგავს შვის შუქთა ფენითა (1382); და სხვა. სხვათა შორის, ეს გამოთქმა არ გვაქვს კლასიკური ხანის ძეგლებში: „ვისრამიანში“, „ამირანდარეჯანიანში“, „ვეფხისტყაოსნისა“ და მხოტბებეთა. ამიტომ უნდა დავისკვნათ, რომ ეს გამოთქმა ლექსის ავტორის ნასესხები აქვს საბაშვილის მიერ გალექსილი „როსტომიანიდან“.

ამ ლექსის ავტორად შეიძლება მივიჩნიოთ თუმანიანი: 1) ლექსი დაწერილია დაახლოებით XVI საუკუნის პირველ ნახევარში, რადგანაც ის განიცდის საბაშვილის მიერ გალექსილი „როსტომიანის“ გავლენას. თუმანიანც ამ დროის მოღვაწეა. 2) ლექსის ავტორი ქალია, რომელიც სიყვარულს ეფიციება თავის მიჯნურს. ეს სასებები შეესა-

ბამება თუმანიანს ბიოგრაფიას, რომელიც უიძოდოდ ყოვილა შეყვარებულნი ვინმე გოფიძიზე. 3) ლექსის ბოლოს ნათქვამია: „ვაიმე, იმელო, ნახვამდის თუმანიან დამიწერია“. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ თუმანიანი მის მიერ მოყვანილ სხვა ლექსებზე ამას არსად არ ამბობს. აქ კი მას ეს ლექსი საგანგებოდ გამოუყვია მეორე ლექსისაგან და მისგან განსხვავებით შეგნებულად აღნიშნავს: „თუმანიან დამიწერია“, რაც ამ შემთხვევაში მის ავტორობაზე უნდა მიგვიითებდეს. 4) ლექსი მხატვრულად სუსტია. გვაქვს ტავტოლოგიური რითმა („სადარად“ სამჯერაა განმეორებული), გარდა ამისა, ერთგან წინადადებას შემსამენელი აკლია: „ტანი აზატას საროსა ნარნარად აყვავებულსა“. ყველაფერი ეს მიგვიითებებს ავტორის პოეტურ გამოუცდლობაზე, რაც ადილი საგარადებელია თუმანიანს მიმართ.

ბ.

ეს ლექსი წარმოადგენს ორტაეპიან მაჯამას. წარწერაში ის საგანგებოდაა გამოყოფილი პირველი ლექსისაგან ქანწილით:

ქ. მყო ვიშენის წალოტი ხილთა და ხევენითა, უწელადეა მოკლე მიჯნურსა და გულსა დაბე მართა.

დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვი ამ ლექსის დაწერის ზუსტი დროის შესახებ. ჩვენს აზრით, იგი XVI საუკუნეზე უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი: 1) როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში ამგვარი ლექსების არსებობა ფაქტია. თავისი მხატვრული ბრწყინვალეობითა და შეუდარებელი მაჯამური რითმით („და ხევენითა/დახევენითა“) იგი ერთგვარად გვაოგონებს „ვეფხისტყაოსნის“, „თამარისა“ და „აბდულმუსიანის“. მასზე თავისუფლად მოაწერდნენ ხელს ქართული პოეზიის დიდი ქურუმები შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე და იოვანე შავთელი; 2) ჩვენს დრომდე მოღწეულია მსგავსი ორტაეპიანი მაჯამა, რომელიც ამოქარებულია უბრალო ტილის ქისაზე. ეს ქისა სწავნიდან ჩამოთქანია აკად. ე. თაყაიშვილს და ამჯერად ინახება საქ. ხელოვნების მუზეუმში. მაჯამას აკად. ე. თაყაიშვილი ასე კითხულობს:

ქ. ვეფხვმა ლომგულსა ზომითა ბარს ჩასართა (7)

ვარლი ბადა,

ვარლი ხელობს, ლომსა ეძებს გაკრილა ვინ ვარლი ბადა... 3

ეს მაჯამა მსგავსილურ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ

2 ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში საერთოდ ასეთი მდგომარეობა გვაქვს: არასაკუთარი ლექსების მოყვანის დროს წარწერის შემსრულებელი არ აღნიშნავს ლექსის ავტორს და უბრაოდეს შემთხვევაში არც წარწერის შემსრულებელია დასახლებული. განიკონიერის წარმოდგენის მხოლოდ ერთი წარწერა, რომელზეც „როსტომიანის“ სტროფია მოყვანილია და ბოლოს ნათქვამია: „დამიწერიაან შავაბანი სტლიანს“ (იხ. ქვევთ ეს წარწერა).

3 ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმს-კანეთში 1910 წელს. გვ. 432-433; ამ ლექსის შესახებ სხვა დროს...

1 დასასრული იხ. „სასპოთია ხელოვნება“, 1959 წ. № 7.
1 იხ. შავ-ნაშვს ქართული ვერსიები, იუსტი. აბულაძის გამოცემა, 1916 წ.



ჩვენ მასზე აქ დაწერილებით ვერ შევჩერდებით. წინასწარ შეიძლება დაბეჯითებით თქვათ, რომ იგი XV-XVI საუკუნეებზე გაცილებით უფრო ძველია... ამგვარი ფაქტობრივი მასალები ჩვენ არ მოგვეპოვება XVI საუკუნის პირველი ნახევრისათვის. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარწერაში მოყვანილი მავკაა წარმოშობით XVI საუკუნეზე უფრო ძველია და შეიძლება დაახლოებით ზოგადად დავათარი-ლოთ XII-XV საუკუნეებით.

შალაბანი სულთანის წარწერა

ვანის ქვაბთა მონასტრის რამდენიმე წარწერა შესრულებულია ვინმე შალაბანი სულთანის მიერ, რომელსაც, როგორც ვხედავთ, მეტად უცნაური სახელი ჰქონია.

ამ ქალის შესახებ ჩვენ არავითარი ბიოგრაფიული ცნობა არ მოგვეპოვება. ის ან თუმიანის დროს უნდა ყოფილიყო ვანის ქვაბთა მონასტერში, ან თუმიანზე უფრო ადრე. ეს იქნაღეს ჩანს, რომ თუმიანის ერთი წარწერა შალაბანის სულთანის წარწერის შემდეგაა შესრულებული. ერთი სიტყვით, ეს ქალიც XVI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწეა.

აქ ჩვენ მოვიყვანთ შალაბანი სულთანის მხოლოდ ერთ წარწერას, რომელიც მოთავსებულია ეკლესიის შიგნით, სამხრეთი კარის ხელმარცხნივ. წარწერა ჭეჭუყითაა დაფარული და ძნელად იკითხება. ჩვენ შევიძინეთ მისი მხოლოდ ექვსი სტრიქონის ამოკითხვა (საერთოდ წარწერა 13 სტრიქონიანია). მოვყავს ტექსტი აღდგენილი სახით:

«სტენიდი(ა)ლ(მ)ე დავარდნილო დახენდილო
სულქმითი (ხ)ე, ფლაგანთა ნათესაო შვილო მო
კალ თესა შრახვე, ანდამტო მვერ გვალავითა შვე
შთავესა შევსახე. მუხარადი ტახტ-ვერგვინი სხვა
შეთან ვერგინ ვახე. დამწერან ვე შარი შხინსულთს
ვინც წაიკითხავთ იტყოფითი ღმერთო უცოცხლო ყველა.»

აქ მოყვანილია სერაპაოს საბაშვილის მიერ გაცემი-ლი „როსტომიანის“ ერთი სტროფი, რომელიც ბეჭდურ გამოცემაში ასეა წარმოდგენილი (სტრ. 2903) 4.

«სტენისაგან ჩამოიბრა, დახენდილო სულქმითი ახავს,
«ფლაგანთა ნათესაო, შვილო, მოკალ!» — ამას ზრახავს,
ანდამტო მვერ-მკლავითა, შთავე-შოსთა შეუქ ვსახავს;
მუხარადი, ტახტ-ვერგვინი სტვას შენგვინა ვისლა ნახავს.»

„როსტომიანი“ ამ ადგილას გადმოცემულია შემდეგი ამბავი: როსტომმა გოდერძი მიუგზავნა ქექაოზ მეფეს და სთხოვა წამალი სასიკვდილოდ ვანწირული ზურბანის განსაკურნადად. ქექაოზმა უარი შემოჰყოფა. მაშინ როსტომი თითონ გაემგზავრა მასთან. შუა გზაზე როსტომს კაცი დაეწია და მოახსენა: წამალი უკვე აღარაა საჭირო, ზურბანი გარდაიცვალა. ჩვენ მიერ ზვეით მოყვანილ სტროფში გადმოცემულია როსტომის დიდი მწუხარება. ეს ადგილი ყველაზე ტრაგიკული და შემაძრწუნებელია „როსტომიანში“.

ამ წარწერას დიდი მნიშვნელობა აქვს „როსტომიანის“ შესწავლისათვის. უპირველეს ყოვლისა, ის არის პირველი დოკუმენტური ცნობა ამ ნაწარმოების შესახებ. „როსტომიანის“ შემცველი ხელნაწერები XVII საუკუნეზე ძველი ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. წერილობით წყაროებში იგი იხსენიება მხოლოდ XVI საუკუნის დასასრულიდან. ეს

წარწერა კი XVI საუკუნის პირველ ნახევარშია შესრულებული.

საინტერესოა ერთი ფაქტი. წარწერა ასე მოაგრდება: „ვინც წაიკითხავთ იტყოფით: ღმერთო უცოცხლე ყოველი“. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ნაწყვეტი, რომელიც ჩვეთვის ამგვარად უცნობი თექვსმეტმარცვლიანი ლექსია. ამ მხრივ იგი ვგავრვებს ეპიტაფიებს, რომლებიც ჩველურბრვია ამგვარი მიზანთვა წამკითხველებისადმი. სხვათა შორის, ასეთი ნაწყვეტები ვანის ქვაბთა მონასტრის სხვა წარწერებშიც უნდა გვევლინოს. მაგალითად, თუმიანის ერთ წარწერაში გვითხვობთ: „მე მოლოდინსა მოუკლავ, შენს აგრე დაყოვნებასა“. ესეც თექვსმეტმარცვლიანი ტაპია (დანარჩენი არაა ამოკითხული), რომელიც არ ვიცით თუმიანისა, თუ ნაწყვეტი რომელიმე სხვა ავტორის ლექსისა.

მიჯნურობის მოტივი

«დიდ არს ძალი სიყვარულსა, რომელი მორჩილ
ყოფს გონებას შეადარებდა შეუადარებელსა»
არის ამარტოლო

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში მოყვანილია სატრფილო-სამიჯნურო ხასიათის ლექსები. მონაზონ ქალებისადმი აქ ბრველად ანა რჩეულაშვილის წარწერა უნდა მოვიხსენიოთ. მასში არასრული სახით მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ ორი სტროფი (1300-1301).

«იხებს ვზი ეზომ მაღლას, თვალნი ძლევი ვარდასწფებთან,
გზა ვვიარებთა შემოვა, მცველნი მუნ ზედა დღებთან,
ღღისით და ღმათ მოყვანილ ნობათას არ დასცდებთან,
მათა შემბეშლო დახოცენ შართ ცეტსლად მოსდებთან.

ნუთო ესენი ვგვარენს სხვათა მებრძოლთა წესითა,
ნუცა მე მომკლავ შირითა ამისგან ურაცისთა,
შენ მკვდარსა ვნახავ; დავიწვი, ვითა აბელი კვესთა,
მოვშორდი, დამთმეთ ვაღათა კლდისთა უშვარგისთა.»

ამ სიტყვებს სასოწარკვეთილი ნესტანი ქაჯეთის ციხიდან სწერს თავის მიჯნურს ტარიელს. ანა რჩეულაშვილის მხრით არ უნდა იყოს შემთხვევითი წარწერაში ამ სტროფების მოყვანა. ნესტანის მსგავსად, უნდა ვფიქროთ, ისიც ძალით მოუშორებოდა მიჯნურისათვის და სამუდამოდ გამოუკეთია ვანის ქვაბთა მონასტერში, რომელიც თავისი მიუვალობითა და ვიგრაბებით ერთგვარად მიუვაკონებს ქაჯეთის ციხეს. აქ სხვა გარემოებააა საინტერესო: ანა რჩეულაშვილის ამით ვანის ქვაბთა მონასტერი შეუდარებია ციხისათვის («იხებს ვზი ეზომ მაღლას...»). მონასტერი ციხე იყო და ციხეზე უარესიც ზოგიერთ შემთხვევაში. ციხიდან გათავისუფლება შესაძლებელი იყო, ხოლო მონასტრიდან მონაზონი ქალის გამოყვანა კი — შეუძლებელი. გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ (X ს.). ერთი ასეთი დამახასიათებელი ამბავია გადმოცემული: აშუტ კუროპალატის შინ არ ყოფნისას გრიგოლს ძალით აღუკვეცია მონაზვნად აშუტის საყვარელი. აშუტის თითონ მისულა დედათა მონასტერში და წინამძღვრისათვის სთხოვა ეს ქალი თულად ციხეც ხნით გამოეშვა მასთან სახლში, ვითომც რაღაც აუცილებელი საქმის გამო. მონასტრის წინამძღვარს ვებრინოსა მოურიდებლად უშხელია დიდი კუროპალატი ტყუილის თქმაში და გაწუბლებული მიუბრუნებია უკან: «ხოლო შეურგებულმან კუროპალატ-მან გულის შემეგრებისაგან სთქუა: «ნეტარა მას კაცსა, ვინ

4 იუსტ. აბულაძე, შპა-ნაქს ქართული ევრსიები, 1916 წ.



არღარა ცოცხალ არს-ო". და მსწრაფლ ხოლო ადგა და წამოვიდა"⁵. ამოტ კურთხევის საყვარლის მსავსად უძველ იყო ვანის ქვაბთა მონასტერში მოღვაწე მონაზონ ქალთა მდგომარობაც.

მიჯნურობა ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში კულტის სიმალემდგა აყვანილი. თუმანის ერთვან თავისი მხურვალ სიმოლოდრად სტილიზებული ლომის სახით გამოუხატავს. იგი მას სიყვარულს ეფიქტება: "ლომო, განადამს მიყვარხარ შენგერ ვერჯის სადარად". მიჯნურის უსულუ გამოხატულებას თუმანი ცოცხალი ადამიანით ესაბუძება: "ვაიმე, იმეღ, ნახემავს, თუმანიას დამიწერა". ამ ლექსში ის ჩივის, რომ სიყვარულის შედეგად "მე გული კელთა არა მაქვს, თუ არ შენ გახლავს სადარად". ამ ადგილს პარალელ დაქვებუვა "ვისრამიანში". ვისი ამბობს, "რამინს გული ასერ მეფეც სიყვარულითა და რეუნობითა, რომელ მე ჯერეთვ კელთა აღარა მაქვს. აწ ხელი და უძკუო ვარ, უკულისაგან მივარასს ვკვავ (გვ. 302)"⁶. ეს ფაქტი არ უნდა იყოს შემთხვევითი: თუმანის ლექსშიც ისეთივე ძლიერი სიყვარულთა დადომილული, როგორც გვაქვს "ვისრამიანში" და "გვეხისტყაოხანში". ვისი თავის მძას ეუბნება: "მე რამინ ესერ შემუღარებათა, რომელ უკუნისამდე გელარა მოესწყადები; და თუ გვიტ მკითხო: სამოთხე გირჩევთა ანუ რამინო, — მე შენმან მშებან, რამინს გამოიჩრევე, ამით რომელ მისი შეხედვს სამოთხედ მიჩხო" (გვ. 90). ვისის სიტყვებში ვანის ქვაბთა მონასტერში მოღვაწე მონაზონი ქალების გულმისნადებუც არის გამოხატული. მათთვისაც რომ ვინმეს ეკითხას: სამოთხე გირჩევნათ თუ სიყვარულით, ისინიც უყოფენ სამოთხეს სიყვარულს არჩევდენ, როგორც ეს მათი წარწერებიდან ჩანს.

ვევლადგერი ეს უცნაურად მოგვეჩვენება, თუ ვაგიოთვალისწინებთ იმას, რომ მონასტერში სასტიკად იყო აკრძალული ამქვეყნიურ ამბებზე არა თუ წერა, არამედ საერთოდ საუბარიც კი. გიორგი მთაწმინდელის ცნობით, სახელგანთქმულ ქართველ მხედართმთავარს თორნიკე ერისთავს ბერებთან სალაშქრო ამბების მოყოლა ჰყვარებია. მონასტრის წინამძღვარს იოვანეს დიდი ხათრი და მორიდება ჰქონია თორნიკესი, რომელიც მისი საუკეთესო მეგობარი იყო. ამიტომ ერთხანს უთმენია, მაგრამ ბოლოს მაინც რბილად უძხვლია ასეთი არამონაზვნური საქციელისასთვის და უთქვამს: "აწ დააყადე (თავი დაანებე) სოფლითა (საერო) მაკათ საქმეთა უნობთა და ამიერიტვან სხუასა ნუვის ეუბნებ, ვარნა ვაბრიელს ხოლო ზუცესსა" (გვ. 21)⁷. ამ ვაბრიელის შესახებ აგიოგრაფი სავანგებულ შენიშნავს: "ხოლო ზუცესი იგი ეცეთითარი კაცი იყო, რომელ პირსა მისის მსოფლიო სიტყუა არა გამოვიდოდა, არამედ ყოველგვ საღმრთო და საულიერი" (გვ. 21). ვანის ქვაბთა მონასტერში ვანსხავებული მდგომარეობა გვაქვს. აქ მოღვაწე მონაზონი ქალების წარწერები გამსჭვალულია ამქვეყნიური ცხოვრებისადმი მხურვალე სიყვარულის განზნობით. ისინი თავისი შინაარსით აშკარად ეწინააღმდეგებიან ქრისტიანული სარწმუნოების ბერ-მონაზვნურ

დიდოვლიანს. წარწერები წარმოადგენს ნამდვილ მტრეხელობას ეკლესიისა და სარწმუნოების წინაშე, რომლისთვისაც ეს ქალები ევროპის სინამდვილემი ინკვიზიციის ვერ ასინდებოდენ. როგორ უნდა აცხანას ეს ფაქტი? იქნებ ისინი იტაცდნენ მონაზვნებზე ასეთი კითხვა ბუნებრივია დაისვას წარწერების შინაარსის გაცნობის შემდეგ, მაგრამ ჩვენ ახვევად არ გვაქვს არავითარი მტიკიცე მონაზვნების წინააღმდეგობის, რომ ეს ქალები მონაზვნებად არ მივიჩნიოთ. იმ დროს, როდესაც ეს წარწერებთა შესრულებული, ვანის ქვაბთა მონასტერი მოქმედი იყო, ერთ წარწერაში პირდაპირ იხსენიება მონასტრის წინამძღვარი ვინმე ამა (მამა) ვანია, რომელმაც ანა რჩეულაშვილი რადაცა უჩივის. ხელის მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, წარწერები ჰგავს ვანის ქვაბთა მონასტრის განგებებს მხედრულ მონაზვნებს. ზოგიერთი მათგანი თითქოს შესრულებულია გულქანისა და თუმანის მიერ. მონაზვნების მიხედვით, ამ დროს მონასტერი მოქმედა. წარწერებიდან ჩანს, რომ ვანის ქვაბთა მონასტერში სხვადასხვა დროს შედიოდნენ ქალთა რამდენიმე თაობა უცხოელთა. ამიტომ არ შეიძლება ჩვენ ისინი მივიჩნიოთ აქ შემთხვევით მოხვედრილ პირებად ომიანობისა და შიშობის გამო, როდესაც ამ კუთხის მოსახლეობა ინიზნობდა მიუვალ გამოქვამულებებსა და მონასტერებში. არც წარწერების შინაარსის მითლიანად წარმოუდგენელი და მოულოდნელი მონაზონი ქალების მხრით. ყოველ შემთხვევაში ურიგო არ იქნება, თუ ჩვენ ამასთან დაკავშირებით ვაგვისხვებთ აღორძინების ხანის დიდი იტალიელი მწერლის ჯოვანი ბოკაჩოსი სიტყვებს: "იგი იდეს, ქვეყანაზე რამდენა... ქალი და კაცი, რომლებიც ძალზე დარწმუნებულნი არიან, რომ თუ რომელსაც ახალგაზრდა ქალს თავზე თეთრი თავსახურავი მოვახებეთ და ტანზედაც შავი ანაფორა ჩაავსციოთ, მორჩა, ის უკვე ქალი აღარ არის და ესპობა ყოველგვარი ნდობა, რაცა სჩვევია ხოლმე ქალს, თითქო, რავი მონაზვნის ვახად, ქვად იქცაო; და თუ ყური მოჰკრეს ისეთ რასმე, რაც ეწინააღმდეგება მისი შეხედულებას, საშინლად განცხადდები-ოს, თითქო ვინმე ავაზაკობა, სპობორტულე, ბუნების საწინააღმდეგო რამ ჩაიდინაო; ამ დალოცვილთ არ უნდათ ცოტათი დაფიქრდენ და თავიანთი თავი მოიგონონ — თითონ ხომ არ შეუძლათ თავი დაიკეპყოფიონ — თუქცა სრული თავისუფლება აქვთ მინებულნი, — ისა ჰქნას, რაც ჰნებავთ, — და ანგარიშს არ უწევენ იმ ვარემობას, თუ რა ძლიერი ზეგავლენა აქვს ადამიანებზე უსაქმურობას და მარტობას"⁸. ჯ. ბოკაჩოსი აზრით, "მწარედ საცდება ვინც ასე ფიქრობს" და მონაზონ ქალებში უარყოფს ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობების გამოვლინებას. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები ჯ. ბოკაჩოსი სიტყვების შესანიშნავი ილუსტრაციაა. მონასტრის ცივ კედლებს ვერ ჩაუხშვია ახალგაზრდა მონაზონ ქალთა გულში ამქვეყნიური ცხოვრების სიყვარული. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების შექმნა გასაგები იქნება ჩვენთვის, თუ ვაგიოთვალისწინებთ, ერთის მხრით, საერთო მწერლობის დიდ გავლენას XV-XVI საუკუნეებში და, მეორეს მხრით,

⁵ გ. შერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვის გამოცემა, გვ. 106, 1949 წ.

⁶ ანსამიანი (ა. პარპიანი), პ. ინგოროყვის და კ. კეკელიძის რედაქციით, 1932 წ.

⁷ გ. მთაწმინდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთემისი, ივ. ჯაბახიშვილისა და ა. შანიძის გამოცემა, 1946 წ.

⁸ ჯ. ბოკაჩო, დღემართონი, მესამე დღე, ამავე პირველი, გვ. 245 თ. სახოჯის თარგმანი.

სამცხე-საათაბაგოს იმდროინდელ მდგომარეობას. ქვეყნის შიგნით დიდი შინაური და პოლიტიკური არეულობის შედეგად კელესია, როგორც ჩანს, არ სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით მორწმუნეთა შორის. ეს საკითხი ისევ მოითხოვს შესწავლას და ჯერჯერობით შეიძლება ამითაც დაგვაყოფილდეთ*.

ვანის ქვაბთა წარწერების მნიშვნელობა მეცნიერებისათვის

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები მრავალმხრივია საინტერესო მეცნიერებისათვის. მათი მნიშვნელობა სკულდება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ფარგლებს. ეს წარწერები ერთ-ერთი უტყუარი საბუთია ქართული კულტურის სიდიადისა XV-XVI საუკუნეებში. ამიტომ ჩვენ აქ მოკლედ შეეჩერდებით მათი მნიშვნელობის შესახებ.

* წარწერების შინაარსიდან ჩანს, რომ ეს ქალები ძალით აღუკვეციან მონაზვნებად, უნდა ვიფიქროთ, მიჯნურობის ნიადაგზე. ჩვენი ვარაუდით ამ დანაშაულის გამო ისინი სავანეებოლ ისჯებიან მონასტერში: 1) მათი საცხოვრებელი გამოქვებული შეიძლება წარმოადგენდეს მონასტრის საპატრონოს, ამ შემთხვევაში გასაგებია წარწერაში „ვეფხისტყაოსნის“ ნაწევრების მოყვანა, რომელიც ასე იწყება: „ცხიხს ვაი ეგზომ მაღალსა, თვალნი ძლიერ გადასწვდებიან“. თან აქ მოყოფი ყველა მონაზონი ახალგაზრდაა, გაუთხოვარი, რომელსაც რაღაც დანაშაული აქვს ჩადენილი. თითონ ეს გამოქვებული ძალზე მიუვალა და მოთავსებულა ყველაზე მაღალ სართულზე. 2) ეს ქალები დიდგვაროვანი იყვნენ. ამიტომ მონასტრის ხელმძღვანელობა, ჩანს, აშკარად ვერ ეტოვდა მათს ცხოვრებაში და ვერ უწყევდა სათანადო კონტროლს მათს მოქმედებას. ამით საკმაოდ უსარგებლოთ მონასტრის ქალებს და კედლებზე მიუწერიათ მონასტრისათვის შეუფერებელი წარწერები. ამ ხაზით საჭიროა ისევ გავრვიდეს კვლევამება.

§ 1. ზოგადი შენიშვნა. თამარის ისტორიკოსი ერთგან ამბობს: „რამეთუ სახლთა ზედა აკროსტიხურად დაჰმარის შესხმათა დასწერდეს, ბუჭელთა ზედა და დანათა და სარგებელს განთა შეამკობდეს და ზედა თამარის ქებასა დასწერდეს“ (გვ. 354 18-20)⁹. აქ საინტერესოა ცნობა სახლის კედლებზე ლექსების წარწერისა. ამ ცნობას ამართლებს ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები. ამიტომ ძველი ქართული პოეზიის ნიმუშები დასაძენია არა მარტო ხელნაწერ ფოლიანტებში, არამედ შენობათა კედლებზე და სხვადასხვა ნივთებზე. ვინ იცის იტენება ამგვარმა ძიებამ მიგვაკვლევინოს თამარის შესახებ არსებულ რომელიმე ჩვენთვის ამჯერად უცნობ ლექსს... სხვათა შორის, ამ ფაქტში კარგად ჩანს ქართველი ხალხის დიდი სიყვარული პოეზიისადმი. ჩვენი წინაპრები არ გამოყოფილდებოდნენ ხელნაწერებით და ლექსებს აწერდნენ შენობის კედლებზე და ნივთებზე, რომ პოეზიის ძვირფასი მარგალიტები თაობიდან თაობას გადასცემოდა სამახსოვროდ.

§ 2. ლირიკა XII-XV საუკუნეების ქართულ მწერლობაში¹⁰. ძველი ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში საკმაოდ ყოფილა განვითარებული მცირე კანონის ლირიკული პოეზია. დიდი რესთაველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში იხსენიებს ამგვარი პოეზიის ნიმუშებს და ზოგიერთ მათგანს კიდევ იწონებს (სტრ. 17).

„შესამე ლექსი კარგია სანაღმოდ, სამღერეოდ, სააშოკოდ, საღაღობოდ, ამხანავთა სათრეველად; ჩვენ მითიოცა გვეამების რაჟა ოდენ თქვან ნათელად“.

⁹ ბასილი ზუბო-მოდვარი, ცხორება მეფეთ-მეფის თამარისი, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, ენიშვის მოამბე, XIV, 1944 წ.

¹⁰ აქ არ ვუხვებით ეპიკური თხზულებების „ვეფხისტყაოსნისა“ და როსტომიანის ნაწევრებს, რომლებიც თავ-თავის ადგილს გვაქვს განხილული.



კადრი ფილმიდან „ამბის მკვლელი“

ქალრები ქართული

მსახიობი კირა ანდრონიკაშვილი ელისოს როლში, ფილმი „აელისო“



სამწუხაროდ, მცირე ჟანრის ლირიკული პოეზიის ნიმუშებს ძველი ქართული მწერლობის კლასიკური ხანიდან ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. ყოველ შემთხვევაში ამგვარი ლექსები ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები ერთგვარად ავსებს ამ დანაკლისს. მათში მოყვანილია ორი სატრაფილო ლექსი („აწ შუი შენსა გაყრისა...“, „შუი გიმვენის...“), რომლებსაც ჩვენ ზოგადად ვათარილებთ XII-XV საუკუნეებით. აკვირდით დიდი მხატვრულობით ისინი თამამად უსწორებენ თვალს „ვეფხისტყაოსანს“, „თამარიანს“ და „აბდულ-შისანს“. აქედან ჩანს, რომ XII-XV საუკუნეების ქართულ მწერლობაში განვითარების მაღალი საფეხურისათვის მიუღწევია არა მარტო ეპიკურ და სახოტო პოეზიას, არამედ სატრაფილო ხასიათის ლირიკულ პოეზიასაც. იგივე უნდა გავიმეოროთ სასულიერო პოეზიის შესახებაც: ამ დროისაა ველქანის წარწერაში მოყვანილი შესანიშნავი ლირიკული ლექსი ღვთისმშობლის შესახებ, რომელიც ნამდვილი შედევრია ძველი ქართული პოეზიისა.

წარწერებში მოყვანილ ლექსებს ჩვენ ზოგადად ვათარილებთ XII-XV საუკუნეებით. ეს მოიცავს ძველი ქართული მწერლობის ორ პერიოდს: კლასიკურ ხანას და დაცემის ხანას. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, სამწუხაროდ, არ ხერხდება მათი უფრო ზუსტი დათარიღება. თუ მათ მივაკუთვნებთ კლასიკურ ხანას, მაშინ ქართული ლირიკული პოეზიის ისტორია ქრონოლოგიურად კიდევ რამდენიმე საუკუნით გადაიწევა, ხოლო თუ ეს ლექსები ჩვენ დავათარილებთ დაცემის ხანით, მაშინ ჩვენი წარმოდგენა მნიშვნელოვნად გაიზრდება აღნიშნული ხანის ქართული მწერლობის შესახებ. ეს საკითხი ისევ მოითხოვს შესწავლას. ორივე შემთხვევაში დიდი ამ ლექსე-

ბის მნიშვნელობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის: მათზე ადრეული ნიმუშები მცირე ჟანრის ლირიკული პოეზიისა ჩვენ არა გვაქვს. დღემდე ამგვარი ლექსები მოგვეპოვებოდა მხოლოდ XVII-XVIII ს.-დან.

§ 3. დაცემის ხანა. ეს ხანა იწყება XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან და გრძელდება XVI საუკუნის დასაწყისამდე. იგი ყველაზე შავი ფურცელია ქართული ერის ისტორიაში. მონღოლებმა ჩვენი ქვეყანა თითქმის მთლიანად განადგურების პირამდე მიიყვანეს. ამან თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართული მწერლობის განვითარებაზე. დღესდღეობით ჩვენ არ მოგვეპოვება ამ ხანის არც ერთი ლიტერატურული ძეგლი. იგი, შეიძლება ითქვას, ერთგვარი წყვდიადითა და ბურუსით მოცული ეპოქაა. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში მოყვანილია ორი ლექსი „დაცემის“ ხანის ქართული მწერლობიდან („ქრისტე ღმერთო...“, „გაი გარჯილო...“). სულ არაობას, როგორც იტყვიან, ეს ორი ლექსი სჯობს. ამ ლექსებზე დამყარებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პერიოდში ჩვენში ლიტერატურული საქმიანობა არ იყო მთლიანად ჩამკვდარი.

§ 4. აღორძინების ხანა. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები ქრონოლოგიურად განეკუთვნება XV საუკუნის მიწურულსა და XVI საუკუნის პირველ ნახევარს. ეს არის გარკვეული აღორძინების ხანის ქართული მწერლობისა. ამიტომ წარწერებს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ხანის ქართული მწერლობის შესწავლისათვის.

1. ლირიკა. ვანის ქვაბთა მონასტრის ერთ წარწერაში მოყვანილია ერთი სატრაფილო-სამიჯნურო ხასიათის ლექსი დაწერილი XVI საუკუნის პირველ ნახევარში. მისი ავტორია მონაზონი ქალი თუმანი გოჯიშვილი. ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ XVI საუკუნის

მხატვრული

ფილემზიდან

კარტი ფილემიდან „ელისო“



ქართულ მწერლობაში საკმაოდ იყო განვითარებული ამ ჟანრის პოეზია.

სატრფიალო ხასიათის ლირიკული ლექსები დღემდე ცნობილი იყო მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებიდან. ამასთან პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ლირიკული ლექსების კრებული „ნარგიზოვანი“, რომელსაც აკად. კ. კეკელიძე ათარიღებს XVII საუკუნის ნახევრით. ამასთან დაკავშირებით ის წერს: „შეიძლება თუ არა... მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში დაწერილიყო ასეთი შინაარსისა და ფორმის თხზულება? ნაადრევი ხომ არაა ეს ამ დროისათვის? ვფიქრობთ, შესაძლებელი იყო. შინაარსის მხრივ ეს ემგეს არ იწვევს: პატრიოტული და სატრფიალო მოტივი, თუნდაც ნაზი და მძაფრი, ამ დროის მწერლობისათვის უცხო არ არის. მეჩვიდმეტე საუკუნისათვის უკვე იჩენს თავს მოკლე მსუბუქი, და ფრიოლური სატრფიალო ლექსი“¹¹. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში მოყვანილი ლექსები ამართლებს აკად. კ. კეკელიძის შეხედულებას: სატრფიალო ხასიათის ლირიკული ლექსები საგარეოდებელი არა მარტო XVII საუკუნის ნახევარში, არამედ XVI საუკუნის პირველ ნახევარში და ამაზე უფრო ადრეც ამგვარი ლექსების არსებობა უკვე ფაქტია ძველ ქართულ მწერლობაში. ამ მხრივ არავითარი დამტკიცება არ არსებობს იმისათვის, რომ „ნარგიზოვანი“ მიეკუთვნებოდ XVII საუკუნის ნახევარს.

2. საერო მწერლობა. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების მიხედვით, XV-XVI საუკუნეების საქართველოში გაცემული ყოფილან საერო ხასიათის ძეგლებით, როგორიცაა „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „როსტომიანი“ და

სატრფიალო-სამიჯნურო ხასიათის ლირიკული ლექსები. ეს ფაქტი სინტერესოა იმდროინდელი საზოგადოების ლიტერატურული გემოვნების გასათვალისწინებლად.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში თეიმურაზი გულის-ტკივილით ამბობს, რომ სახარება და მოციქულთა წიგნი არავის უნდაო. ამასვე აღნიშნავს არჩილიც. 1670-1679 წლებში დაწერილ ერთ წერილში პატრი ბერნარდე ნეაპოლელი რომის პაპს ქართველების შესახებ სწერს: მათ „არ უყვართ მოსმენა (საეკლესიო) სწავლა-დარიგებისა: არამედ მიზიდულ არიან ბეჭანიანისა, ბარამიანისა, როსტომიანისა და მსგავსი წიგნების კითხვებზე“¹². ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების მიხედვით იგივე მდგომარეობა ვეჭონია XV-XVI საუკუნეებშიც.

საერო აზროვნებას, საერო მწერლობას ჩვენში იმდენად მძლავრად ჰქონია ფეხი მოცილებული XV-XVI საუკუნეებში, რომ მას მონასტრებშიც კი უჩენია თავი ვანის ქვაბთა წარწერების სახით. ამ ფაქტს გაუსვა ხაზი აკად. კ. კეკელიძემ, რომელმაც აღნიშნა: „ამ წარწერებში შემონახულმა ლექსებმა ჩვენ ნათლევ დაგვანახეს, როგორ აფართოებდა თავის გავლენის სფეროს საერო მხატვრული პოეზია და როგორ ასუსტებს ის საეკლესიო მწერლების ბატონობას. თუ მონაზონი ქალებიც სატრფიალო-სამიჯნურო პოეზიას ეტანებიან და მას თავისი ნაწარმოებებით ამდიდრებენ, რაღა უნდა ვთქვათ საერო პირების შესახებ. აქ პოულობს გამართლებას არჩილ მეფის ცნობილი საყვედური“¹³.

¹² გ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიციებისა ქართველთა შორის, გვ. 683.

¹³ კ. კეკელიძე, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების პოეზიკურ-ეპოქურული“ 1959 წ. 24 თებერვალი № 45; ეს წერილი დაბეჭდა რედაქციის თხოვნით.

¹¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართ. მწერლობის ისტორია, ტ. II, გვ. 510, 1951 წ.



„შე მთებში“ (1942 წ.)

ბელა — მსახიობი თინა კალანდაძე-მაკავარიანი
მაქსიმ-მაქსიმოვი — ვ. ობოლენსკი.

საირო მწერლობის გავლენა, სხვათა შორის, იგრძნობა წარწერებში მოყვანილ საეკლესიო ხასიათის ლექსებშიც. ასე, მაგალითად, ლეთისმშობლისადმი მიმართული ლექსი დაწერილია თექვსმეტმარცვლიანი რუსთველური შაირით. მეორე ლექსში გამოყენებულია თორმეტმარცვლიანი სა- ზომი ოთხმარცვლიანი მუხლებით (4, 4, 4), რომელიც აგ- რეთუ საირო პოეზიადანაა შეთვისებული.

დასასრულ, დიდად საინტერესოა თავისთავად ფაქტი მონასტრის კედლებზე საირო ხასიათის ლექსების აღმოჩე- ნა, რაც იმაზე მივიჯივითებ, რომ ძველ საქართველოში საირო მწერლობის წინააღმდეგ ბრძოლა არ გაცილებია იფლოლოგიური ბრძოლის ფარგლებს და მას არ მიუღია ისეთი ბაზაროსული სახე, როგორცაა ძველთა ფიზიკუ- რი განადგურება.


3. ჰუმანიზმი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში მოღიანად დაძლეულია ასკეტიზმი. ასკეტიზმი გულისხ- მობს ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფას. მისთვის ამქვეყ- ნიური ცხოვრება არარაობაა, რომელსაც არ გააჩნია და- მოუცილებელი ღირებულება და წარმოადგენს მხოლოდ მოსამზადებელ საფეხურს ამქვეყნიური ცხოვრებისათვის: მხოლოდ იგივე ქუმშარბიტი და მარადიული. ადამიანის მთა- ვარი მოვალეობაა ღვთაების სამსახური. მან უნდა დათრ- ეუნოს თავისში ხორციელი მოთხოვნილებანი იმისათვის, რომ საიქიოში მოიპოვოს საუკუნო სასუფეველი. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში საწინააღმდეგო შეხედუ- ლება გატარებული. როგორც აღვნიშნეთ, მათი ძირითადი თემა ამქვეყნიური ცხოვრება. მონაზონი ქალები ჰგოდე- ზენ მისი დაკარგვის გამო. ანა რჩეულაშვილი ჩივის, რომ ვერ გაიზარა ჭამა-სმით, ნათესავ-მეგობრებით და გაულ- რელი უნდა მოეცდეს გაუსარგელად. წარწერებში გვაქვს ულტი სიღამაზისა და მიჯნურობისა. სხვანაირად რომ უწვათ, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების ცენტრშია

არა ღვთაება, არამედ ადამიანი თავისი მატერიალური, ხორციელი მოთხოვნილებებითა და მისწრაფებებით. ყვე- ლაფერი ეს იმაზე მივიჯივითებ, რომ XV-XVI საუკუნეების საქართველოში მტკიცედ ჰქონდა ფეხი მოცილებული ჰუმან- ისტურ იდეებსა და შეხედულებებს. აკად. კ. კეკელიძის სიტყვით, „ჰუმანიზმი, რომელიც დასავლეთ ევროპის ის- ტორიაში შედარებით გვიანი მოვლენაა, ჩვენს წარსულში, ყოველ შემთხვევაში XI-XII საუკუნიდან ფაქტია“¹⁴. XV-XVI საუკუნეებში ჩვენში მას თავი უჩენია მონასტრის წარწერებშიც კი. ჰუმანიზმის განვითარება ევროპის სინა- მდელიეში ასე შორს არ წავიდა¹⁵.

§ 5. ქართული ფოლკლორი. ქართული ფოლკლორული ნიმუშების ჩანაწერები მოგვებოება მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებიდან. ამთვან ყველაზე ძველია ბერნარდე ნეა- პოლელის მიერ ქართულ ენაზე XVII საუკუნის მეორე ნა- ხევარში ჩაწერილი 12 ზღაპარი¹⁶, ამ ზღაპრებიდან ორი უკვე გამოცემულია და საგანგებოდ აქვს შესწავლილი დოც. ელ. ვირსალაძეს¹⁷. თუმანის წარწერებში მოყვანი- ლია ორი ხალხური ლექსი („წერილად ნახვეწი ისარ...“ „ზეცას გაველ...“). ეს წარწერები შესრულებულია XVI საუკუნის ბირველ ნახევარში. ჯერჯერობით ეს არის ყვე- ლაზე ძველი ფოლკლორული ჩანაწერი. თითონ თუმიან გოჯიაშვილი ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუ- შების პირველი ჩამწერი. აღდმდე ამისი პრიორიტეტი ჰქონდა კათოლიკე მისიონერს პატრ ბერნარდე ნეაპო- ლელს.

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებში ფოლკლორული

¹⁴ კ. კეკელიძე, ძველი ქართ. მწერლ. ისტორია, ტ. II გვ. 1, 1952 წ.
¹⁵ დაწერილებით იმაზე სხვა დროს.
¹⁶ მ. ჩიჭინავაძე, ქართ. ხალხ. სიტყვ. ისტორია, გვ. 96, 1956 წ.
¹⁷ ელ. ვირსალაძე, მასალები ქართ. ფოლკლ. ისტორიისათვის (ლიტ. მიხედვით, ტ. IV, 1948 წ.).



სოფელ კინემატოგრაფისტთა ერთი ჯგუფი სტუმრად გურჯიანში სტო ვანაბის დედის — ანდრონიკაშვილის (მარცხნიდან მეორე) ოჯახში. მარჯვნიდან მარცხნივ: ივ. პეტრესიანი, მ. მაყროვი, შ. ბერიშვილი, გ. გოგიტიძე.

АНЦИОННОЕ ОБЩЕСТВО КИНЕМАТОГРАФИЧЕСКИХ ФАБРИК
ПЕТРОГРАДЪ. А. О. Дранковъ и К^о МОС
ГРАНДИОЗНЫЙ БОЕВИКЪ СЕЗОНА!
5 СЕРИИ **СТАРОСТЬ ЛЕКОКА.** СЕ
По постановкѣ режиссера А. М. Яковлева

ლექსების არსებობა დიდი მნიშვნელობის ფაქტია. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ლექსები მოყვანილია დიდი რუსთაველის უკვდავი სტროფებისა და ძველი ქართული მწერლობის ლირიკული შედევრების გვერდით. ამასთან ერთად, წარწერები შესრულებულია უარესად ნაივითი და სათუთი ლიტერატურული გემოვნების მქონე მანდილოსნების მიერ, რომლებსაც, მიუხედავად ამისა, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მაინც უპოვიათ მაიო ინტელექტის შესაფერისი ლექსები. ყველაფერი ეს მივითითებს ქართული ფოლკლორის დიდ მხატვრულ ღირებულებაზე. იგი თავიდანვე თამამად უსწორებდა თვალს ჩვენს მდიდარ მრავალსაუკუნოვან სიტყვაკაზმულ მწერლობას. ეს კარგად ჩანს, სხვათა შორის, ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერების მიხედვითაც.

წარწერებში მოყვანილი ხალხური ლექსები სატრფიალო ხასიათისაა და ეკუთვნის უცნობ სახალხო მელექსე ქალებს. წარმომოხებით ორივე ლექსი ძველია, ყოველ შემთხვევაში XVI საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრინდელი. პოეტი ქალები ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში დღემდე ცნობილი იყვნენ მხოლოდ XIX საუკუნიდან.


ქართული ლიტერატურისა და ფოლკლორის ურთიერთობის თვალსაზრისით საინტერესოა თუმიანის წარწერაში მოყვანილი ერთი ლექსი („აწ მზეო შენსა გაყრილსა...“), რომლის ვარიანტები ახლაც გვხვდება ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. რაც მთავარია, მისი ფოლკლორული ვარიანტი აღმოჩნდა XVI საუკუნის ერთი ხელნაწერის მიწაწერში, რომელიც, ხელის მიხედვით, დაახლოებით თუმიანის წარწერის დროინდელია. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მოიპოვება ძველი ქართული პოეზიის ნიმუშები.

§ 6. ძველი ქართველი მწიგნობარი ქალები, ქალები ძველ საქართველოში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ლიტერატურულ და საერთოდ კულტურულ საქმიანობაში. აკად. კ. კეკელიძის სიტყვით, ამაში „მამაკაცებს დედაკაცებიც არ ჩამორჩებოდნენ, ე. წ. „წმინდა ქვეყნის სხვადასხვა პუნქტში ისინიც ქმნიდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს“¹⁸. მისი გამოკვლევით ამგვარი კერები ქართველ ქალებს მრავლად ჰქონიათ საშუალო საუკუნეთა მახლობელ აღმოსავლეთში¹⁹. განსვენებული მეცნიერი ლევან ასათიანი წერს: „პოეტი ქალების სახელს ჩვენს საისტორიო დოკუმენტებში ვხვდებით მხოლოდ მე-17 საუკუნიდან. მაგრამ შეუძლებელია, რომ წინა საუკუნეებშიც მწიგნობრობასთან და საერთოდ წიგნის კულტურასთან ახლოს დგომას ქალთა შორის არ გამოეწვიოს ერთგვარი შემოქმედებითი იმპულსი“²⁰. ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერები საინტერესოა ამ თვალსაზრისითაც. ამ წარწერებით, პირველად ვეცნობით XV-XVI საუკუნეებში მოღვაწე ქართველ მწიგნობარ ქალებს: ანა რჩეულაშვილს, გულქან შალიკაშვილს, თუმიან გოჯიშვილს და ვინმე შალბანი სულთანს. ზოგიერთი მათგანი შემოქმედებითი ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. მაგალითად, ანა რჩეულაშვილს და თუმიან გოჯიშვილს უწერიათ მეტად მგრძობიარე ლექსები („ვაი გარჯილო...“, „ლომო განაღამც...“). ძნელია ამ ორ ლექსზე დამყარებით ჩვენ ისინი ნამდვილ პოეტებად მივიჩნიოთ. აქ საჭიროა გვახსოვდეს დიდი რუსთაველის სიტყვები (15 1-2):

¹⁸ კ. კეკელიძე, ეტიმოლოგი, ტ. IV, გვ. 202, 1957 წ.

¹⁹ იგივე, გვ. 202-216.

²⁰ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936 წ., გვ. 13.



„ ა მ ბ ა ვ ი ე რ თ ი

(რეცისორი მიხეილ ჭიაურელი. მთავარ როლებში: აკ. ვასაძე, ვ. ანჯაფარიძე, ე. ანსიხოვი, ს. ჭიაურელი, გ. შენგელაია)

„მოშორე არა ჰქონი, თუ სადმე თქვის ერთი, ორი;
თავი ყოლა ნუ ჰქონია მელექსეთა კარგთა სწორი“;

ანა რჩეულაშვილისა და თომიან გოჯიშვილის მაგალითით გარწმუნებს იმაში, რომ XV-XVI საუკუნეებში ქართველი ქალები ძალიან გატაცებული იყვნენ ბოჟოვით და მითინაც ლებულობდნენ მასში აქტიურ შემოქმედებით მონაწილეობას. ეს საფუძველს გვაძლევს გვიარაუდლოთ ამ დროის ქართულ მწერლობაში სხვა უცნობი, ანა რჩეულაშვილზე და თომიან გოჯიშვილზე უფრო ნიჭიერი, ბოეტე ქალბები.

ვანის ქვაბთა მონასტრის წარწერებს უშუალოდ ქალთა სამყაროში შევყავართ. ამ წარწერების მიხედვით, XV-XVI საუკუნეების ქართველი ქალები ჩვენ წარმოგვიდგებიან როგორც თავისი დროისათვის უადრესად განათლებული და მოწინავე პუმანური იდეებით აღჭურვილი ადამიანები, რომელთა აზროვნებაც არ ყოფილა შემოზღუდული ვიწრო სარწმუნოებრივ-თეოლოგიური დოგმებით. მათ ვანის ქვაბთა მონასტრის ყველაზე მიუვალი გამოქვაბული თითქმის თავისებურ ლიტერატურულ სალონად უქცევიათ. აქ მოღვაწე მონაზონი ქალების წყალობით ჩვენ ამჯერად მოგვეპოვება ქართული ბოჟოვისა და ქართული ფოლკლორული ლექსების საკმაოდ ძველი ჩანაწერები, რომელთა უზრავლესობაც მხოლოდ ამ წარწერებითაა ჯერჯერობით ცნობილი. რათ მთავარია, წარწერებში ჩვენი ძველი მწერლობის 3 პერიოდი წარმოდგენილი (კლასიკური ხანა, დაცემის ხანა, აღორძინების ხანა) როგორც ეპიკური თხზულებების ნაწყვეტებით („გეფისისტყაოსანი“, „როსტომიანი“), ისე წმინდა საერო და საეკლესიო ლირიკის ნიმუშებით. აქედან თავისთავად ცხადი უნდა იყოს ამ მწიგნობარო ქალების დამსახურება ჩვენი კულტურის წინაშე. სხვას

რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ, ამის საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება თუ გავისინებთ იმას, რომ დიდი რუსთაველის უკვდავი „გეფისისტყაოსნის“ ყველაზე ძველი ჩანაწერი შესრულებულია ვანის ქვაბთა მონასტერში მოღვაწე მონაზონი ქალის ხელით...

ამ წარწერების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ XV-XVI საუკუნეების სამცხე საათაბაგოში, მიუხედავად მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, დღედა ქართული მწერლობა და ქართული კულტურა, რომლის განვითარებაც აქ მოულოდნელად შეწყდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც თურქმა დამპყრობლებმა მთლიანად მიიტაცეს ეს კუთხე და ძალით ჩამოაშორეს იგი საქართველოს — მის დედა სამშობლოს. ამის შემდეგ აქ ხანგრძლივი უკონი ჩამოწყდა და საუკუნეების განმავლობაში არ ჰქონია ადგილი რაიმე მნიშვნელოვან კულტურულ და ლიტერატურულ საქმიანობას.

ზიზლიის თანახმად, წარღვის წინ ფაუნის გადასარჩენად, ნოეს თავის კიდობანში მოუთავსებია ცხოველური სამყაროს სხვადასხვა წარმომადგენელი. ნოეს მსგავსად, თურქების დამკვიდრებამდე ვანის ქვაბთა მონასტერში მოღვაწე მონაზონ ქალებს თითქმის სავანგებოდ კედლებზე მიუწერიათ ქართული ბოჟოვის სხვადასხვა ნიმუშები იმისათვის, რომ ისინი დალუპვისაგან გადაერჩინათ. მხოლოდ კედლებს შეიძლება შემოინახა ეს ლექსები აქ მიუვალ გამოქვაბულებსა და მონასტრებში, სადაც ნაკლებად სწვდებოდა დამპყრობელთა ხელი.

ვანის ქვაბთა მონასტრის მუნჯი კედლები თავისი მრავალისმეტყველი წარწერებით მჭევრმეტყველოდ დაღაღებენ იმის შესახებ, თუ როგორ ჰყვარდა ქართული მწერლობა XV-XVI საუკუნეების სამცხე-საათაბაგოში და





როგორი იქნებოდა ეს მწერლობა აქ მომავალში, რომ მას თავისი ბუნებრივი განვითარება დასცლოდა.

მ ი ნ ა წ ე რ ი: 1959 წლის ზაფხულში ჩვენ ისევ ვსწავლობდით ადგილზე ვანის ქვაბთან მონასტრის წარწერებს. ახლად გამოვლინებული მასალა არა ნაკლებ საინტერესოა და მნიშვნელოვანი. სამწუხაროდ, 1959 წელს არ მოხერხდა ამ წარწერების გაწმენდა გასუფთავება. იმედია, სათანადო

ორგანოები იზრუნებენ ამის შესახებ... მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ამოკითხვა ვანის ქვაბთან მონასტრის ყველა წარწერისა თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც.

ერთი სიტყვით, ვანის ქვაბთან მონასტრის წარწერების საიდუმლოება ჯერჯერობით არ არის სრულად ამოხსნილი და ამიტომ ამ ხაზით საჭიროა ისევ გაგრძელდეს მუშაობა.

კადრი ფილმიდან „ბუღო კაცისა“
 ამ ფილმის დადგმისა და მასში მთავარი როლის შესრულებისათვის
 მზახიობსა და რეჟისორს სერგეი ბონდარჩუქს მიენიჭა ლენინური
 პრემია.



„ვეფხისტყაოსნის“

ლიტერატურული უხრის საკითხისათვის

ნიკო ურუშაძე



არსანდელი წელი ნაყოფიერი აღმოჩნდა რუსთველოლოგიის განვითარებაში: 1958 წელს მკითხველმა მიიღო სამი ფუნდამენტური შრომა: პროფ. ალ. ბარამიძის „შოთა რუსთაველი“, პროფ. შ. ნუცუბიძის „რუსთაველის შემოქმედება“ (რუსულ ენაზე) და გ. ნადირაძის „რუსთაველის ესთეტიკა“.

სამივე შრომა მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენაა, რომელიც აჯამებს უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენში წარმოებულ რუსთველოლოგიურ მუშაობას და აღბეჭდავს მისი განვითარების ახალ ეტაპს. ამ შრომებში რუსთველოლოგიის მრავალი საკითხის როგორად გაშუქების გამო ხაზოვლი ხდება ვეფხისტყაოსნის სიღაღდე და მისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. შრომებში ვეფხისტყაოსნი განხილულია როგორც ქართველი ხალხის მაღალი იდეალების გამოხატველი ძეგლი, რომელიც თავისი საეპიკური მნიშვნელობით სიღვივდა ქართული ლიტერატურის ფარგლებს და საბატონო ადგილს იჭერს ყველა დროის მსოფლიო ლიტერატურის ეპიკური პოეზიის კლასიკურ ძეგლებს შორის. შრომებში ხაზი უდებია იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსანი არის ქართული აღორძინების ეპოქის ძეგლი, რომელიც თავისი ჰუმანისტური მსოფლმხედველობით რამდენიმე საუკუნით უწინარეებს წინ ევროპის რენესანსს.

სამივე შრომის ავტორები რუსთაველის პოემის შეფასებაში მინარათივენ პარალელსა და ანალოგიას მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის არსებობასთან. კვლევითების ასეთი მეთოდი ბუნებრივად მოითხოვს ვეფხისტყაოსნის ლიტერატურული უხრისა და მისი თავისებურების გარკვევას, რომლის შესახებ რუსთველოლოგიაში არ არსებობს საბოლოოდ დადგენილი აზრი. ამის შესახებ შეტყვევებულნი უკანასკნელი პერიოდის რუსთველოლოგური შრომებიც.

ვეფხისტყაოსნის უხრის პრობლემას თავისი ისტორია ხქოს. ამ საკითხში ყველაზე დიდი ყურადღება მიიყრის იესო მარის კონცეფციამ, რომელიც მან გამოთქვა თავის ცნობილ შრომაში «Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовый шкуре» (1910 წ.). მ. მარია აყალიბებს შიშხაროვის იმ წერილის საფუძველზე, რომელიც პროვანსულ პოეზიას შეეხებოდა და მოთავსებული იყო ЖМНП 1909 წლის 11-12 ნომრების ფურცლებზე. ამტიცივას სიყვარულის მოტივის გაშუქების ეთნოგრაფიის პროვანსალურ პოეზიასა და ვეფხისტყაოსნის. მ. მარის აზრით, რუსთაველს ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის რაინდულ პოეზიას, ასახიათებს ქალის კულტური სიყვარულის მოტივის გაშუქებაში. ამის მიყვანე რაინდულ პოეზიასთან ვეფხისტყაოსნის შედარება მნიშრად ვებვდება რუსთველოლოგიაში. მკვლევართა ნაწილი რუსთაველის ვეფხისტყაოსანს დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში გაერვლებული რაინდული რომანის ანალოგიურ უხრად სთვლის. ასეთ აზრს აყიართებენ უკანასკნელ ხანებში ვეფხისტყაოსნის მთარგმნელი გერმანული ენაზე ჰუგო ჰუბერტი და ქართული მკვლევართა ალ. ბარამიძე და გ. ნადირაძე. ეს აზრი არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული.

რუსთაველის პოემაში არ არის ქალის კულტი. ვეფხისტყაოსანი არ არის დასავლეთ ევროპის რაინდული რომანის ანალოგიური უხრის ნაწარმოები არც ფორმით და არც იდეური შინაარსით, როგორც ამას ფიქრობს ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი მკვლევარი.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ზოგი მკვლევარი ვეფხისტყაოსანს ფილოსოფიურ პოემას, საგმირო პოემას, ან კიდევ რომანტიკულ პოემას უწოდებს. ეს სწორია, მაგრამ ამით არ შეიძლება ამოიწუროს ვეფხისტყაოსნის უხრის პრობლემა, ვინაიდან არც ერთი იდენიშნული სახელწოდება არ განასაზღვრავს ვეფხისტყაოსნის უხრულ სპეციფიკას და მის ადგილს, როგორც ქართული, ისე მსოფლიოს ეპიკური ლიტერატურის ისტორიაში.

ეს საკითხი პრინციპული მნიშვნელობისაა. ჩვენის აზრით, ვეფხისტყაოსნის უხრის განსაზღვრაში უნდა გამოირიგოს სახელწოდება რაინდული პოემა და აქედან გამომდინარე ცნებანი: მანდალფის კულტი და სიყვარულის კულტი, რომლებიც დასავლეთ ევროპის რაინდულ პოეზიის დამახასიათებელია.

პროფ. ალ. ბარამიძე შემოდასახელებულ მონოგრაფიაში, რომელმაც ქართულ პრესაში დამახებურებულად მიიღო დადებითი შეფასება, საეციოლურად აშუქებს ვეფხისტყაოსნის უხრის საკითხს, რამაც იგი სასყვარული ეთანხმება ჰუგო ჰუბერტს!

ჰუგო ჰუბერტი ვეფხისტყაოსნის თავისი თარგმანის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში სწორ ანალიზს უკეთებს რუსთაველის პოემის იდეურ შინაარსსა და მის მხატვრულ ღირსებას. ამ ანალიზიდან ლოკაციური აუცილებლობით გამომდინარეობს ვეფხისტყაოსნის სხვაგვარი უხრული კვალიფიკაცია, ვიდრე ეს მას აქვს მოცემული.

ჰუგო ჰუბერტი წინასიტყვაობის IV თავში წერს: «გარეგნული ფორმის მხრით ვეფხისტყაოსანი არის იმ ტიპის რაინდული რომანი (Ritterroman), როგორც იგი დასავლეთ ევროპაში ჩაოყალიბდა. შეიძლება დავასახელოთ „მარციფალი“, დიდი ვილფრამ ფონ ვუნდენახის სახალის ეპოსი, რომელიც XIII ს. პირველ ათეულ წელს, ალბათ, სწორედ იმ დროს შეიქმნა, როგორც ვეფხისტყაოსანი»¹.

ჰუგო ჰუბერტი იძლევა ამ დებულების დასაბუთებას; აყიართებს რა თავის აზრს, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსანი არ არის არც შუა საუკუნეების რაინდული ევროპის რაინდული რომანის უხრის ნაწარმოები და არც ემსგავსება არც იტალიის აღორძინების ბოლო ხანებში ხელახლად აღდგენილ რაინდულ ეპოსს, რომელიც ბოიარდრუსა და არიოსტოს სახელთანაა დაკავშირებული.

ჰუგო ჰუბერტის სწორი მსჯელობით, ვეფხისტყაოსანი ასახავს ისეთ ეპოქას აღმოსავლეთის სინამდვილეში, როცა იქ ადვილად ჰქონდა სავაჭრო კავშირის ადრინდელ განვითარებას თავის ძლიერ ფორმებში. ჰუბერტი ნათელყოფს, რომ რუსთაველმა სახალის ცხოვრებასთან

¹ ალ. ბარამიძე — „შოთა რუსთაველი“, 1958 წელი, გვ. 83.
² Der Recke im Figerfell ჰუგო ჰუბერტის თარგმანი, 1895 წ., გვ. 25.



ერთად ასაბ ვაჭართა წრეების ისტორიულად სწორი სუ-
რათი, მკაცრი ტიპური სახეები, რომლის მსგავსი იმ
ემპოქში არ იცის არც აღმოსავლეთისა და არც დასავლეთ-
ის ლიტერატურაში. ამასთან დაკავშირებით ჰუბერტი
წერს: „ეს პრიორიტეტი განსაზღვრავს რუსთაველის აღ-
გერას არა მარტო ქართველი ხალხის ნაციონალურ ლი-
ტერატურაში, არამედ მსოფლიო კლასიკოსთა რიგებში
საერთოდ“³.

ფეფხისტყაოსნის ფართო სოციალური დიაბაზონი,
მისი მიწარსის და კომპოზიციის მთლიანობა, ამასთან
ერთად ლირიკული სუბიექტივობი, რომელიც იგრძნობა
რუსთაველის პოემაში ყოველი საკითხის და განსაკუთრე-
ულად სიყვარულის მოტივის გაშუქებაში, განსაზღვრავს
რუსთაველის გენიალური პოემის ქართულ სპეციფიკას;
იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მითავადეს
რანდელი რომანის ქაზრის ფარგლებში, რასაც კარავდ
გრანდოს ჰუგო ჰუბერტიც; ამდენად მისი ზემოაღნიშუ-
ლ დებულება ფეფხისტყაოსნის ქაზრის შესახებ, ვარგ-
ნული ფორმის თვალსაზრისით, არ შეიძლება სწორად იქ-
ნეს მიხედული. იგივე უნდა ითქვას იმ ქართული რუსეთ-
ლოკუების შესახებაც, რომლებიც ასეთ პირველი ავითარებენ.

„რუსთაველის ესთეტიკის“ ავტორი სპეციალურად არ
განხილავს ფეფხისტყაოსნის ლიტერატურული ქაზრის
ხასიათს (თუმცა მას წიგნში აქვს სპეციალური თავი
„ქაზრების“ სახელწოდებით). ვ. ნადირაძე ამ საკითხის
შესახებ ზაზუკასთან იმეორებს იმას, რაც რუსთაველო-
გიაში დებულებად ითვლება. ასე, მაგ., იგი წერს:
„ფეფხისტყაოსანი არის რანდელი პოემა“, რომ რუსთა-
ველს ახასიათებს მანდილოსანისა და სიყვარულის კულ-
ტი. ასეთ აზრებს იგი ზნორად იმეორებს სხვადასხვა სა-
კითხის გაშუქებასთან დაკავშირებით. „რუსთაველის ეს-
თეტიკაში“ ვითხოვლობთ: „ჯერ კიდევ მარა მითითია,
რომ ფეფხისტყაოსანში საქმე გვაქვს მანდილოსანის კულ-
ტით, რომელიც ცნობილი იყო მაშინ, როგორც აღმოსავ-
ლეთში, ისე დასავლეთში“. სხვა ადგილს იგი კიდევ
უფრო მეტად უსვამს ხაზს ფეფხისტყაოსნის რომანის
ასეთ ქართულ განსაზღვრას. ვ. ნადირაძე წერს: „ფეფხის-
ტყაოსანი რანდელი რომანია, თავის მნიშვნელოვან
ნაწილში რანდელი სიყვარულის, სიქველის, ზნობის,
ცხოვრების წესისა და გემოვნების გამოხატულება“⁴.

ამ საკითხის სწორი გაშუქების მიზნით აუცილებე-
ლია მოვლედ გავარკვიოთ რანდელი პოეტიკა, კერძოდ,
რანდელი რომანის არსი და რაობა, რაც ნათელს გახ-
დის ზემოთყვანილ დებულებათა უარყოფის აუცილებე-
ლობას რუსთაველის პოემის ქაზრის გაშუქების საკითხში.
რანდელი პოეზიას დასავლეთ ევროპის ლიტერატუ-
რაში საერთაშორისო ტრადიციით კურტუზაული ლიტერ-
ატურას უწოდებენ, რომლის სინონიმს წარმოადგენს
ცნება „სასახლის ლიტერატურა“. მის პირველ ყვავილს
შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში
წარმოადგენს პროვანსული პოეზია, რომელმაც აყვავებდა
XII-XIII ს. ს.-ში მიღწულ. პროვანსულმა პოეზიამ
ძირითადად ლირიკული ფარები გაზავითარა. მისი მთავ-
არი მოტივი არის სიყვარულის მოტივი, რომელიც პრო-
ვანსული სასახლის პოეტების შემოქმედებაში კულტის
ხასიათს ატარებს. ეს იმით აიხსნება, რომ პროვანსული
ტრუბადურები იმ მანდილოსნებს უმღეროდნენ, რომელ-
თაც ემსახურებოდნენ. ასეთ მღვამურბოასთან გვაქვს
საქმე როგორც ფრანგი ტრუბადურების, ისე გერმანელი მი-
ნენზენგერების შემოქმედებაში.

სიყვარულის მოტივის გაშუქებას საესკელო ერთნაირი
ხასიათი აქვს როგორც რანდელი ლირიკაში, ისე ეპოს-
ში — რანდელი რომანში (დრამატული ქაზრები არ შე-

უქმნია დასავლეთ ევროპის კურტუზაული ლიტერატუ-
რას).

დასავლეთ ევროპის სასახლის პოეზიაში სატროფოსა
და სასახლის მსახურების, მათ შორის, პოეტების უიო-
ერთობა ე. წ. „სატროფალი ვასილოსი“ ფორმალა გა-
მონაბატული. სასახლის მსახურები, რომელთაც მიეკუთ-
ნება პოეტები, უშუალოდ არიან დაკავშირებული ქალბ-
ტონთან, რომელიც არის სასახლის ცხოვრების მთავარი
ორგანიზატორი (ფეოდალი მამაკაცი ამ ეპოქში უფრო
საკარგი სპეციფიკით და ომებით არის გატყვევული). აქ-
ნად წარმოადგება თავყანისცემადე და სატროფობადე
აყვანილი მფარვალემა და იმით, რომელსაც მსახური გა-
ნიცდის ქალბტონთან დამოკიდებულებაში, რაც მანდი-
ლოსნის კულტი იმიტება დასავლეთ ევროპის ძველ-
ების სასახლის ლიტერატურაში და ყველაზე ადრე პო-
ვანსული ტრუბადურების შემოქმედებაში გამოიხატა.

პროვანსული პოეზიის სატროფალი ქაზრის უმთავრე-
სად გაცონა წარმოადგენდა. პროვანსული ტრუბადურები
ამ ქაზრის ლტქებაში გამოხატავენ შეყვარებულების მღ-
ვრას, მოთქმას, უკმაყოფილებას და უნიდოდ განწყობილ-
ებას. ეს იმით აიხსნება, რომ ქალბტონს არ შეეძლო ყუ-
რადლება მიქცევა ყველა თავისი მოტროფალითების, რი-
მელიც მას უმსახურებდა და უსაფრთხო ეთავლებდა
ფეფხისტყაოსნის მხოლოდ და მხოლოდ, როგორც მსახური.

სასახლის პოეზიის ცნობილი ფრანგი მკვლევარი
ბ. ოზრი რანდელი სიყვარულის არსს შემდგენარად
ახასიათებს: „რანდების პოეტების შემოქმედებაში სიყვა-
რულის მთლიანი კულტი, ქალის კულტი, რომლებიც ემ-
სახურებიან... რანდელი სიყვარული არის გონებით ნა-
კარხხევი ლოკური კონსტრუქცია და არა ადამიანის
გულის ანალიზი“.

რანდელი სიყვარულისა და ქალის კულტის ასეთ გა-
გებას ძილვე არანდელი ლიტერატურის ყველა მკვლევარ-
ს და მათ შორის ჰეგელიც თავისი ესთეტიკის კურსში.

შუა საუკუნეების გერმანული ლიტერატურის ცნობი-
ლი მკვლევარი ვ. გოლტერი სიყვარულის მოტივის გაგე-
ბას მიწვევს (გერმანული რანდელი პოეზია) უმდგ-
ნაირად ახასიათებს: „მიწვევასიავის არსებითა სხვა-
ური სატროფალი თავადსახელი, რომელიც პირველად
პროვანსში განვითარდა. მას საფუძვლად არ უდგენს სე-
რიოზული სატროფალი კავშირი. ორივე მხარე — შეყვა-
რებული და სატროფო მხოლოდ სახელსა და პატივს ეძიო-
ბენ. პოეტი თავისი სიმღერის საგნად ირჩევს რომელიმე
ნათესავს ან კეთილმყოფელის ცოლს, უმღერის მის უმუ-
ქეობას და უგრძობლობას, მაგრამ ყოველივეს მალავს
სატროფოს სახელს, ან აღნიშნავს მას მანდილოსნის სახე-
ლით“⁵.

გოლტერის ეს დახასიათება ერთნაირად ეხება, რო-
გორც რანდელი ლირიკას, ისე რომანს, უკანასკნელში
უფრო მკაფიოდ გამოვლენად რანდელი სიყვარულის
არსი.

რანდელი რომანი შუა საუკუნეებში იწერებოდა პოე-
მის ფორმით. დასავლეთ ევროპის ძველებში იგი ყველაზე
ადრე გავრცელებული ჩამოყალიბდა და შემდეგ გერმანიაში
პოპულარულად.

საფრანგეთში რანდელი რომანი ვითარდება ცეკ-
ლების სახით. პირველად შექმნა ანტიკურ თემაზე აგე-
ბული რანდელი რომანი; შემდეგ — ბიზანტიურ-აღმოსავ-
ლური და ბერტრუდი კოვებში. ეს უკანასკნელი მსოფ-
ლიო ლიტერატურაში ცნობილი იყო უფრო პოპულარული
სახელწოდებით — მრავალი მაგიდის რანდელი რომანე-
ბის სახელით.

რანდელი რომანის არსისა და მისი ლიტერატურული
ქაზრის თავისებურების გარკვევისათვის უფრო მიზნე-

³ Der Riese im Figerfell ჰუგო ჰუბერტის თარგმანი, 1955,
გვ. 29.
⁴ ვ. ნადირაძე, „რუსთაველის ესთეტიკა“, 1958 წელი, გვ. 104,
214, 260-261.

⁵ П. Обри «Трубадуры и труперы», გვ. 37.
⁶ W. Goltzer, Die deutsche Dichtung im Mittelalter, 1912,
გვ. 270.



ლოანია უკანასკნელი ციკლი, რომელშიაც არჩევენ ორ ჯგუფს: სატრო და აპოკრიფულ-რელიგიური რომანების ჯგუფს. ამათურ უფრო გავრცელებულია პირველი ჯგუფის რომანები. ორივე ჯგუფის რომანების მთავარი გმირები არიან ბრიტების ლეგენდარული მფეე არტურს და მისი რანდები. არტურის თვითთვლი რანდის შესახებ შუა საუკუნეებში შეიქმნა მრავალი რანდული რომანი, რომელთა ერთნაირი სიუჟეტი ჰქონდათ. არტურის რანდები ათასგვარ საგმირო საქმეს ჩაძინა სატროუს გულისთვის, რომლებიც აბსოლუტურად უზრავლის შემთხვევაში არიან ქალბატონები და არა გასათავისო ქალები. მრავალი მაგის რანდები ისევე ემსახურებიან თავთან მანდილოსნებს, როგორც ვასალები სენიორებს. რანდული რომანში სატრო თაყვანისცემის საგანია; ამდენად აქ სიყვარულს კუტებს ხასიათი აქვს, რაც რელიგიური ლიტერატურის არსებობად არის აღებული. დასავლეთ ევროპის რანდულ პოეზიაში ქალი ისეთივე თაყვანისცემის შინადად არის ცქცული, როგორც ღვთისმშობელი — მორწმუნეთა შინადად. ამიტომ, როგორც ეს დამტკიცებულია რანდული ლიტერატურის მთელი რიგი მკვლევარების მიერ, რანდული ლიტერატურა მანდილოსნის მიმართ თაყვანისცემის ხერხეულსახეობის საკლესიო ლირიკისაა. ამდენად მასში არ შეიძლება გამოხატული იყოს ბუნებრივი სიყვარულის გრძობა, როგორც ეს დამახასიათებელია რუსთაველის ეგვიპტისტიკისათვის.

დასავლეთ ევროპის კურტუზიული-რანდული ლიტერატურა არ გამოხატავს ნამდვილი წრფელი სიყვარულის გრძობას, ამ სიტყვის ხალხური გაგებით. ეს გარემოება, როგორც ეს ზეით აღინიშნა, იმითაც აისხნება, რომ რანდული ვალდებულია თავის ქალბატონს ემსახურებოდეს, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ფიცებობდეს. იგი ვალდებულია სახელი და დიდება მოუპოვოს თავის მეფე-გლეხ ქალბატონს და თვითონაც გაითავსა სახელი, როგორც უძლეველმა რანდმა.

დასავლეთ ევროპის რანდული ლიტერატურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ე. წ. შორეული სიყვარულის მოტივი (amor de lohn). იგი იმ საფუძველზე წარმოიშვა, რომ შუა საუკუნეებში, უმეკვიდრო და დარჩენილ, ზედის-მათეული რანდული საგმირო საქმეებს შორეული ქვეყნის იმ უნებინო ქალბატონების სახელზე სჩადიდნენ, რომელთაც თავთან სატროუთებად მიჩნევენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემდეგ მათთან სასაღმდეგო მოწყობილობებზე, ასეთ უტილიტარული საფუძველზე წარმოიშობილი სიყვარული თანდათანობით იქცა გავრცელებულ მოვლენად დასავლეთ ევროპის რანდულ პოეზიაში, რომლის მიხედვით სატრო შეიძლება გასაბოხარო ქალიც ყოფილიყო.

რანდული რომანები დასავლეთ ევროპაში იქმნებოდა ცნობილი და გავრცელებული სიუჟეტების მიხედვით, გარკვეული შაბლონით. ისინი გამოხატავდნენ რანდების დუსტრულულეთ თავადსავალბებს: ტურნირებში, ბრძოლებში და ნადირობაში მათ მონაწილეობას. მათი შინაარსი აღსასევა ყალბი, დაუკრებელი ფანტასტიკური ამბები, სიტუაციები, მოგზაურობათა აღწერებით და სხვა მსგავსი აქისუარით, რანდულ რომანებში არ აქვთ მტკიცე მკერული სიუჟეტური რაკალი და კომპოზიცია; გმირების მოქმედება უზრავლის შემთხვევაში არ გამოხდებიან მათი ხასიათები. რანდების დამახასიათებელია ყალბი პერსონაჟი. ამიტომ დასკანა სერვანტესმა რანდულ რომანებს უკუად "ლონკობტში".

ზემოთქმულიდან არ შეიძლება გამოტანილი იქნას ის რაკალი, თითქოს რუსთაველის თანამედროვე დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში არ გვხვდებოდეს ისეთი ლირიკული თუ ეპიკური ნაწარმოებები, რომლებიც გამოხატული არ იყოს სიყვარულის გრძობა ან სიბრწყინის წინადა ხალხური გაგებით-ასეთ ნაწარმოებად უნდა იქნას მიჩ-

